# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 26 ნოემბერი 1999 №227 (1000) | ფასი 50 თეთრი




## დღეს მკითხველმა სარბიელი მეათასედ მიიღო!

# 1000












*აქ პირველ და ყოველ მეასე „სარბიელს“ ხედავთ: ათასწლეულების მიჯნაზე „სარბიელმა“ თავისი პირველი ათასეულიც გაასრულა. ცხადია, 1000 „სარბიელს“ სასიხარულოც და საკმაოზე მეტი გულსატკენიც უცნობებია მკითხველისთვის, მაგრამ ქართული სპორტი და მისი ერთი მემატიანე დღევანდელობას ვერსად გაურბის. და მაინც, იმედია, ახალი ათასეული და ახალი ათასწლეული მოგვიტანს იმ დიდი ხნის ნანატრ სიხარულს, რასაც ქართული სპორტის ქომაგნი და ჩვენც რა ხანია, ამაოდ ველით.*

## თუ მაია არ ეყოლება საქართველოს ნაკრებს, საქართველოსაც არ ეყოლება თავისი ნაკრები

### თუ ჭადრაკს არ მიეხედა, არ ვითამაშებთ არც ოლიმპიადებზე და არც მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე, აცხადებენ ქართველი მოჭადრაკეები

*ქართულ ჭადრაკში დიდად უსიამოვნო ამბავი მოხდა: 22 ნოემბერს მაია ჩიბურდანიძემ განცხადებით მიმართა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანსა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილს — ჩიბურდანიძე უარს ამბობს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობაზე. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ბათუმში 28 ნოემბერს დაიწყება.*

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



UEFA CUP

## ქეცბაია დაბრუნდა, ბენფიკა განადგურდა!

*წუხელ გამართული უეფას თასის თერთმეტი შეხვედრიდან არცერთი დამთავრებულა ფრედ... ერთი მატჩი კი სულაც სენსაციურად დასრულდა: ესპანურმა „სელტამ“ ოდინდელ ევროპის ჩემპიონთა თასის მომგებ პორტუგალიურ „ბენფიკას“ 7:0 მოუგო... ქართველთაგან ევრომარაქაში მხოლოდ ერთი, ახლახანს ტრავმამომუშებული თემურ ქეცბაია გაერია და არცთუ ურიგოდ, თუმცა მისი „ნიუკასლი“ იტალიურ „რომასთან“ მაინც 0:1 დამარცხდა. მოსკოვურმა ყინვამ კი „სპარტაკ“ — „ლიდსის“ მატჩი ერთი კვირით გადადო, თანაც, რუსეთიდან ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გადაიტანა.*

იხილეთ მეორე გვერდი

REUTERS რომიდან



რომა — ნიუკასლი 1:0. თემურ ქეცბაია რომაელებს — ალესანდრო რინალდის (№ 23) და ეუსებიო დი ფრანჩესკოს დაუსხლტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიური საღამო

წუხელ უეფას თასზე მოთამაშე სამივე იტალიურმა გუნდმა მოიგო. თუმცა, ამათგან მშვიდად მხოლოდ „იუვენტუსი“ შეიძლება იყოს. „ბებერმა ქალბატონმა“ ბერძნული „ოლიმპიაკოსი“ სტუმრად 3:1 დაამარცხა და შემდგომ ეტაპზე გასვლაც, ალბათ, დაიბევა. „პარმამ“ ერთობ სახიფათო ანგარიშით მოუგო ჩემპიონთა ლიგიდან გამოსულ „შტურმს“. აი, „რომამ“ კი... რომში მასპინძლებს მედგრად ესტუმრა „ნიუკასლი“. ინგლისელებმა რომაელებს თავიდანვე აგრესიული თამაში დაუპირისპირეს. განსაკუთრებით კაპიტანი ალან შირერი და ჩვენი თემურ ქეცბაია გამოირჩნენ. ტრავმამოშუშებული ქართველი მწვრთნელმა ბობი რობსონმა თავდასხმაში გაამწესა და მანაც არაერთი ხიფათი შეუქმნა დამხვდურთ. პირველი ტაიმის შუაში მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლიმ რაღაც სასწაულით მოიგერია ქეცბაიას უძლიერესი დარტყმა. თამაშის ბედი კი ფრანჩესკო ტოტის მიერ პენალტით გატანილმა ბურთმა გადაწყვიტა.

ყველაზე დიდი სენსაცია ესპანეთში, კერძოდ, ვიგოში მოხდა, სადაც „სელტამ“ პორტუგალიურ „ბენფიკას“ 7:0 მოუგო... განა „ბენფიკა“ ჩვენებური „ლოკომოტივია“?...

უარველაძეოდ მოთამაშე „აიაქსმა“ შინ თასთა თასის შარშანდელ ფინალისტ „მალიორკასთან“ 0:1 დათმო. გოლი 35-ე წუთზე დიეგო ტრისტანმა გაიტანა.

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
I წრე. 25 ნოემბერი

UEFA CUP

ლიონი (საფრანგეთი) 3:0 ვერდერი (გერმანია)
1:0, 2:0 ანდერსონი (13, 45), 3:0 ვერელი (77)

რეინჯერსი (შოტლანდია) 2:0 დორტმუნდი (გერმანია)
1:0 კოლერი (18 ს.კ.), 2:0 უოლესი (45)

ლანსი (საფრანგეთი) 1:2 კაიზერსლაუტერნი (გერმანია)
0:1 სიკორა (30 ს.კ.), 0:2 ვაგნერი (37), 1:2 შონბერგი (85 ს.კ.)

დეპორტივო (ესპანეთი) 4:2 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
1:0 ოლივარესი (7 ს.კ.), 2:0 პაულეტა (11), 3:0 ჯალმინია (13), 3:1 ვარჟიხა (19), 4:1 დონატო (30), 4:2 გალიეტო (66)

პარმა (იტალია) 2:1 შტურმი (ავსტრია)
1:0 დი ვაიო (16), 1:1 შოპი (23), 2:1 სტანიჩი (61)

აიაქსი (ჰოლანდია) 0:1 მალიორკა (ესპანეთი)
0:1 დიეგო ტრისტანი (35)

რომა (იტალია) 1:0 ნიუკასლი (ინგლისი)
1:0 ტოტი (51პ)
რომა: ანტონიოლი, კაფუ, ძაგო, მარკოს ასუნსაო, ალდაირი, დი ფრანჩესკო, კანდელა, რინალდი, მონტელა, ტოტი, დელვეკიო
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, შარვე, დაბიზასი, ჰიუზი, პისტონე, ლი, სპიდი, სოლანო, შირერი, ქეცბაია (რობინსონი 81)
გაფრთხილება: ძაგო, ალდაირი, შირერი, ტოტი
მსაჯი: კ. კოლომბო (საფრანგეთი)

სელტა (ესპანეთი) 7:0 ბენფიკა (პორტუგალია)
1:0 კარპინი (18პ), 2:0 მაკელელე (30), 3:0 ტურდო (40), 4:0 ხუანფრანი (42), 5:0 ტურდო (50), 6:0 კარპინი (55), 7:0 მოსტოვოი (61)

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 1:3 იუვენტუსი (იტალია)
1:0 იანაკოპულოსი (15), 1:1 ტუდორი (27), 1:2 კოვაჩევიჩი (67), 1:3 ინძაგი (89)

არსენალი (ინგლისი) 3:0 ნანტი (საფრანგეთი)
1:0 ოვერმარსი (13პ), 2:0 უინტერბერნი (81), 3:0 ბერხკამპი (90)

სლავია (ჩეხეთი) 4:1 სტიაუა (რუმინეთი)
1:0 დოსტალეკი (1), 2:0 ჰორვატი (35), 3:0 დოსტალეკი (47), 4:0 დოშეკი (55), 4:1 ლუტუ (81)

სპარტაკი (რუსეთი) — ლიდსი (ინგლისი)
ყინვის გამო გადაიდო

REUTERS გლაზგოდან



რეინჯერსი — დორტმუნდი 2:0. გლაზგოელთა ჰოლანდიელი თავდამსხმელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (№8) და დორტმუნდელთა ბრაზილიელი მცველი ევანილსონი

# ჰა?

ამ „ლოკომოტივი“ — „თბილისის“ სკანდალმა ისე გადაგვიყოლა, ჩვენი ღრმად პატივცემული და პირშავი, თორემ ისე ძველებურად შინდისფერი ნაკრების მესამედან მეხუთე კალათაში ჩამობრძანება როგორღაც გვერდზე დაგვრჩა. არადა, ამ ამბისთვის ყურადღების არმიქცევა, რბილად ვიტყვით, დანაშაულია.

დაახლოებით ისეთივე დანაშაული, როგორსაც ჩაიდენდა ზურაბის დედა („სურამის ციხე“ ხომ გახსოვთ) კედელში ჩატანებული შვილისთვის რომ ზურგი შეექცია. წარმოიდგინეთ, როგორი საქმეა, ზურაბი დულაბშია ჩატანიებული და დედამისი „შვილო, ზურაბ, სანამდისო“ — შეძახილის ნაცვლად — ნუ გეშინია, შვილო, კაი კედელში გატანენ. ქვა კურსებისაა, ცემენტი რუსთავის და მაგრად იქნები, თანაც ხალხი არ დაგივიწყებს და შენზე წიგნიც დაიწერებაო — იძახის. ხომ გვეთანხმებით, რომ ცუდი საქმეა...

აქედან გამომდინარე, რა ვქნათ ახლა ჩვენ, რა ვუთხრათ შინდისფერებს — ყოჩაღ, ბიჭებო, მეხუთე კალათაში რომ მოხვდით, ეს ეპოქალური საქმეა, ახლა ჯგუფში სლოვენია — ალბანეთებს კი არ ჩაგვისვამენ (ეგენი ტელერეპორტაჟებში ფულს არ გვიხდიან), ახლა ჩვენი მეტოქეები იტალია — ინგლის — ესპანეთ — გერმანია იქნებიან (ღმერთო, ეგებ ყველა ერთად), დავსხდეთ მერე, ჯერ ტელეტრანსლიაციებიდან შემოსული ფულები დავთვალოთ, შემდეგ კი ქართული ფეხბურთი ავაღორძინოთო?

არა, ამას ვერ ვეტყვით შინდისფერებს, იმიტომ რომ ეს არ იქნებოდა სწორი ნათქვამი და ერთიცაა — უკრაინა, რუსეთი, რუმინეთი, სლოვენია და ლიტვა რომ შეგვხვდნენ? რა ბუს კვერცხები დავთვალოთ მერე?

ამიტომ, უპრიანია, ქართველურად, დანანებით შევძახოთ — ქართულო ფეხბურთო, სანამდის?

და ისიც, მსოფლიო ფეხბურთის ბეტონებში და ზებეტონებში მოყოლილი სურამელ ზურაბზე საცოდავად გვიპასუხებს — ვაიმე, ჯიგრებოჯან, მეხუთე კალათამდის.

ჰოდა, კარგად შეგვინახე, მეხუთე კალათავ, ჩვენი ფეხბურთი, მანდ ანდორა — მალტა — სომხეთებიც გყავს და ნუ დაგვიჩაგრავ ტოლებში.

### მწვრთნელი საჭიროა... ოღონდ თავის დროზე

თქვენი არ ვიცი და, ოსური „ალანიას“ პოლიტიკის ცოტათი მიკვირს. ფულის ყადრი არ იციან მაგათ. რა ეცათ, რამ გაახელათ, ჯერ არ წასულა გაზაფხული და შემცვლელი რომ უცებ მოუძებნეს, გადასაყრელი აქვთ ტუგრიკები?

გაცლიდი, ბატონო, იმ ულვაშა ამაგდარს ვლადიკავკაზიდან მოსკოვში პატიოსნად გადაბარგებას და მერე, როცა ქათამს კვერცხი მოაწვებოდა, „ალანიას“ კი მორიგი რუსული ჩემპიონატი მოადგებოდა კარს, ავდგებოდი და არანაკლებ პატიოსნად დავუძახებდი გუცაევს.

ამით დაიზოგებოდა ნერვები (ახალი ცოცხის ამბავი არ იცით? ყველაფერს მისებურად ზომავს და ედება), ფული (შეკრებებიო, ახალი ტრანსფერებიო, სპარინგებიო) და ფეხბურთელებიც, ბოლოსდაბოლოს, მამაპაპურად მოისვენებდნენ თავიანთ სახლებში.

მაგრამ, ერთხელაც გავიმეორებთ, ეტყობა, ფულის ყადრი არ იციან ოსეთში..!

სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით, ჩვენ, ქართველებმა.

ამიტომაა, ტოკიოში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრაზე ყველა რომ მიდის, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის გარდა.

მოვა დრო და მწვრთნელიც გვეყოლება. მე შენ გეტყვი, საქმე არ ექნება უზურში მოყვანილი — მეტოქეთა სიას რომ ტოკიოდან ჩამოუწიკწიკებენ, დაჯდეს მერე და მათი სტილის და მანერის შესაბამისი ტაქტიკები შეიმუშაოს.

თუ ვერა და, აი, დარდი: მეხუთე კალათა იმხელაა, ბარე ას საქართველოს დაიტევს „ნაწილ-ნაწილ კი არა, თავის ფეხბურთიანა“.

მეხუთე კალათაზე დაბლა კი ნამდვილად აღარ ჩავვარდებით — საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და ზღვის დონიდან ნამეტნავად დაბლა ყოფნა ფეხბურთელებს აწყენთ.

### ჰა, წამალი უებარი... ანუ სტაბილურობიდან აღორძინებისკენ

საარჩევნო ლოზუნგები გეხსომებათ (რა დიდი დროა გასული) — სტაბილურობაო, აღორძინებაო, საქართველოს გადარჩენაო.

მაგრად უხდება ფეხბურთს ეგეთები. მაგალითები? გიხაროდენ, იმდენია.

მაგალითად, სტაბილურობა: ბოლო წლებია ქართული გუნდები სტაბილურად აგებენ ყველასთან და სტაბილურადვე არცხვენენ ქართული ფეხბურთის სახელს ევროპაში.

ახლა აღორძინებაზეც: ქართული ფეხბურთი აღორძინდება მაშინ, როდესაც მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და ქვეყანა აღორძინდება.

ამას წლები უნდა, წლები უნდა ქვეყნის და შესაბამისად ფეხბურთის აღორძინებასაც.

სანამ ქვეყანა წაქცეულია, წაქცეულია ფეხბურთიც.

მაგრამ მეცნიერება იმდაა გენიალური, დროს ასწრებს და ისეთ რალაცეებს იგონებს, უკვდავების წყალი მონაგონია პირდაპირ.

ჰოდა, ეგებ ფეხბურთის ფეხზე წამოყენების წამალიც გაგვეკითხა სადმე — ისეთი, უცებ და საფუძვლიანად რომ შეცვლის სიტუაციას. წაქცეულს წამოაყენებს, მოძველებულს გაახალგაზრდავებს, მკვდარსაც კი გააცოცხლებს... თქვენი არ ვიცი და ჩემი აზრი ასეთია — „ვიაგრა“ ხომ არ გვეცადა?

ჰა?

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# რუსულმა ყინვამ სპარტაკი და ლიდსი გაყარა

## ისინი ერთმანეთს სოფიაში შეხვდებიან

გუშინ საღამოს მოსკოვში ძლიერმა ქარმა დაუბერა და ჰაერის ტემპერატურა მინუს 18 გრადუსამდე დაეცა. ამან „დინამოს“ სტადიონის ისედაც მძიმე მინდორი საერთოდ უვარგისი გახადა და შვედმა არბიტრმა ანდერს ფრისკმა „სპარტაკ“ — „ლიდსის“ მატჩის გადადება ბრძანა: „ასეთ მოედანზე თამაში შეუძლებელია და იმასაც ვერავინ შეგვპირდება, რომ ხვალისთვის მდგომარეობა გამოსწორდება“ — განაცხადა მსაჯმა.

„არბიტრმა მართებულად გადაწყვიტა. ეს ჩვენს სასარგებლოდ არ მომხდარა. ფრისკი პირველ რიგში, ფეხბურთელების ჯანმრთელობაზე ფიქრობდა. მოსკოველი ქომაგების იმედგაცრუება კარგად მესმის, მაგრამ რა გაეწყობა“ — ეს „ლიდსის“ მწვრთნელის დევიდ ოლირის სიტყვებია. მისივე თქმით, „ლიდსის“ მოთამაშეებმა ხეირიანი ვარჯიშიც ვერ მოახერხეს. გაციების ეშინოდათ და მთელი დღე სასტუმროში ისხდნენ.

გუშინვე გადაწყდა, მატჩი კვირის თავზე, მომავალ ხუთშაბათს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიმართება. ამან „სპარტაკის“ ვიცეპრეზიდენტი გრიგორი ესაულენკო გააცოფა: „ლიდსი“ უსამართლოდ მოიქცა. მათ მოსკოვში ჩამოსვლისთანავე დაიწყეს სიტუაციის დაძაბვა. სიცივეს იმიზეზებდნენ. თუ ყინვა არ მოსწონთ, წავიდნენ და აფრიკაში ითამაშონ. რა გაეწყობა, უეფაში ფაქსს გავგზავნით და ვაცნობებთ, რომ 2 დეკემბერს სოფიაში თამაშზე თანახმანი ვართ“ — თქვა ესაულენკომ. შემდეგ კი კიევის მაგალითი გაიხსენა. ოთხშაბათს კიევში მოსკოვზე კარგი ამინდი არ იყო, მაგრამ „რეალი“ კაცურად მოიქცა და ითამაშა. ინგლისელებმა კი...

„სპარტაკის“ პრეს-მდივნის განცხადებით, მატჩის გადადებით კლუბმა უკვე იზარალა 25 ათასი დოლარი. საერთო ზარალი კი 75 ათასი იქნება, რადგან სოფიის შეხვედრაში მოსკოველები მასპინძლებად ითვლებიან და დებულებით გათვალისწინებული ხარჯებიც მათ უნდა გაიღონ.

აღშფოთდნენ რუსული ტელეარხის ТВЦ-ს მამებიც. მათ პირდაპირი რეპორტაჟი ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ, ოჰ, ეს ინგლისელები... საღამოს კი განაცხადეს, რომ ინტერესი არ გაქნელებიათ და თამაშს სოფიიდანაც აუცილებლად გადასცემენ.

REUTERS მოსკოვიდან



მოსკოველებმა მოინდომეს, მაგრამ „დინამოს“ სტადიონის მინდორს მაინც ვერ უშველეს

საქართველოს ჩემპიონატი

# 13 ტური

# ჩუმათელეთში გზა გაუწმინდავთ

სამტრედია
25 ნოემბერი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
300 (ტევადობა 14 000)

**იბერია 2:1 დილა**

1:0 ლურსმანაშვილი (19), 2:0 გეგეშიძე (77პ), 2:1 ხორგუაშვილი (89)
**იბერია:** ვარდანიძე, კ. მეტრეველი (ხურციძე 78), ჟვანია, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე, ხმალაძე (ბიწაძე 78), გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (დარსაძე 90), ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე; ოდიკაძე, ნ. გიორგაძე
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე (ოლგესაშვილი 51), ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, თაყაძე (დ. მაისურაძე 44), შატაკიშვილი, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, სულთანიშვილი (არუთინიანი 79)
*სათადარიგონი:* მდივანი; კარელიძე, მარეხაშვილი, ვ. სამხარაძე
**გაფრთხილება:** ზ. მეტრეველი (35), თაყაძე (43)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ქიათურა); ა. სამხარაძე (სოხუმი)

**იუზა კაციტაძე სამტრედიიდან**

სააბათო „იბერია" — „დილას" ჩაშლის შესახებ მოგეხსენებათ. გორელებმა ნახევარ საათზე მეტით დააგვიანეს „ეროსი მანჯგალაძეზე" და სამტრედიელებისათვის მუქთი სამი ქულის მიმნიჭებელი ოქმიც გაფორმდა. უგზოობას ტყუილად ჩივითო, ჩუმათელეთთან ჩამოწოლილი მეწყერის ამბავი იმ დღეს მთელმა საქართველომ იცოდა და რაღა თქვენ გეძინათ ჭურშიო. ასე განსაჯეს (და სწორადაც) მაშინ მსაჯ-დელეგატმა. კაცმა რომ თქვას, ქართლელებს ამის გამო პრეტენზია არც გამოუთქვამთ, უთამაშებლად წაგებული „დილა" უსიტყვოდ გაბრუნდა უკან. იმ საღამოსვე იყო, „იბერიას" პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლეიშვილი გვარწმუნებდა, ფედერაციაშიც რომ ისურვონ, ამ მატჩის გადათამაშებაზე არ დავთანხმდებითო, მაგრამ... აკი ისურვა ფედერაციამ (თუ სტკ-მ) და გადათამაშებაც დაინიშნა. ისე, საინტერესოც კია, ზოგს ხომ ათი წუთით დაგვიანებასაც არ პატიობენ. ფორს-მაჟორიო, ბრძანეს და სამტრედიელებს ხუთი დღის შემდეგ მაინც მოუწიათ გორელებთან დაპირისპირება...

თამაშის შედეგს რომ ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მორჩა გორელთა იოლი ცხოვრება, „მერანის" „გორდაზე" გამარჯვებამ მათი გეგმები არივდარია. „დილას" საპრობლემო გაუხდა ზონაში პირველ ოთხეულში მოხვედრა. ამავე კვარტეტში მოსახვედრად „იბერიაც" იბრძვის და, რაღა მარჩიელობა უნდოდა, ცხადი იყო, გუნდები ერთმანეთს არაფერს დაუთმობდნენ.

სუსხი, წვიმა, ჭაობს დამსგავსებული მოედანი (წინადღით აქ ასეთივე პირობებში სათასო „ოკეანე" — „ბათუმი" გაიმართა) იყო ამ მატჩის ატრიბუტები, მაგრამ თუ თამაში, ბრძოლა გწყურია, ყველაფერს ამას არად ჩააგდებ. ასეც მოიქცნენ მეტოქეები.

თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წამი იყო გასული, რომ გორელებმა მასპინძლებს აგრძნობინეს, ამჯერად წასაგებად არ ჩამოვსულვართო. ხორგუაშვილი სახიფათოდ გაიჭრა „იბერიას" ნახევარზე და დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერად დაარტყა კარში. ვარდანიძე ფხიზლობდა და სველი ბურთი ხელიდან არ გავარდნია. ვალში არც სამტრედიელები დარჩნენ და სულ მალე ამ თამაშში ნახევარმცველად გამწესებულმა „იბერიას" კაპიტანმა ააფორიაქა სტუმრები. გეგეშიძემ ბურთიანად შეაღწია საჯარიმოში, დარტყმაც კარგი გამოუვიდა, მაგრამ აქ უკვე სოლოლაშვილმა იმარჯვა. მე-10 წუთზე ისევ ხორგუაშვილმა გაიწია მასპინძელთა კარისკენ. სამტრედიელმა მცველებმა სხვა რომ ვერაფერი იღონეს, თავდამსხმელი ზედ საჯარიმოს წინა ხაზთან წააქციეს. სახიფათო ჯარიმა გახლდათ. შატიკაშვილმაც ძლიერად გაისროლა, ოღონდ ოდნავ გადააცილა ხარიხას.

აი, ამის შემდეგ კი ინიციატივას „იბერია" დაეპატრონა. მასპინძლებმა მობილურად შეუტიეს მეტოქეს, ფლანგებიდან, ცენტრიდან. „დილას" დიდი ჯაფა დაადგა და გამუდმებულ იერიშებს რომ ვეღარ გაუძლო, გოლიც მიიღო. მუმლაძემ მარცხნიდან შეასრულა ჯარიმა, ბურთი გორელთა საჯარიმოში ჩაახვია. კოტე მეტრეველმა მცველებს საჰაერო დუელში აჯობა და თავით გაგზავნა კარისკენ, სოლოლაშვილმა ფეხითღა შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ პირდაპირ გელა ლურსმანაშვილისკენ, რომლის 10 მეტრიდან ძლიერად დამატებული ბადეში აღმოჩნდა.

აქედან მოყოლებული და შესვენებამდე „იბერიას" გაორების ხუთი შესაძლებლობა ჰქონდა და ხუთივე კოტე მეტრეველს, მაგრამ სამტრედიელ ფორვარდს ფატალურად არ უმართლებდა. ჯერ იყო და კარის სიახლოვეს მყოფს, ივეჩიანის ჩაწოდებულზე აუცდა ფეხი. შემდეგ ხმალაძის პასით ვერ ისარგებლა, ახლოდან სუსტად დაარტყა და მეკარემ აუღო, მერე სოლოლაშვილი შეცდა მაღალ ბურთზე გამოსვლისას, მაგრამ მეტრეველს სველ მინდორზე დაუცდა ფეხი და ცარიელ კარში დასარტყმელად ვერ მიწვდა, მეოთხე შემთხვევაში სამტრედიელი მეკარესთან პირისპირ დარჩა და ისევ ტლაპო ჩაერია საქმეში, ბოლოს კი საჯარიმოს გარედან დაარტყა ძლიერად და მცირედით ააცილა მიზანს.

მეორე ნახევარში სტუმრებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, თამაში გათანაბრდა და საგოლე მომენტებმაც იკლო, იკლო კი არა კარგა ხანს მეტოქეები, ფაქტობრივად, რეალურად არც დამუქრებიან ერთმანეთს. მხოლოდ 78-ე წუთზე იყო, მასპინძელთა იერიშისას ივეჩიანმა გაიბრწყინა (არ ვაჭარბებთ). „დილას" საჯარიმოში იგი ორ მცველს მარდად დაუსხლტდა, მესამემ კი (რევაზ ხაჭაპურიძე გახლდათ) უკვე მეკარის ბაქანში აკრძალული ილეთით შეაჩერა და უდავო პენალტი. გეგეშიძემ ზუსტად კი გაგზავნა მეკარისგან მარჯვენა კუთხეში, მაგრამ სერგო კვარაცხელიამ გაამეორებინა (პენალტისტის პარტნიორები დროზე ადრე შეცვივდნენ საჯარიმოში). გეგეშიძემ მეორედაც იმ კუთხეში დაურტყა სოლოლაშვილს და ისევ ზუსტად.

ორი ბურთით დაწინაურებამ, ცოტა არ იყოს, უარყოფითად იმოქმედა მასპინძლებზე. უპირატესობას გორელები დაეუფლნენ და 85-ე წუთზე მარლიშვილს მიეცა გატანის კარგი შანსი, მაგრამ მის ახლოდან დარტყმულს ვარდანიძე გადაელობა თავგანწირულ ნახტომში. ერთის გაქვითვა სტუმრებმა ბოლოსწინა წუთზე მოახერხეს. ოლგესაშვილმა ზუსტად გაუჭრა „იბერიას" საჯარიმოში მყოფ ხორგუაშვილს, მანაც ერთი გახედა კარიდან ოდნავ წინ გამოსულ მეკარეს და უმალ დაუცველ კუთხეში დაურტყა დაბალი. სულ ეს იყო. მეტის გაკეთება „დილამ" ვეღარ მოასწრო და დამარცხებულმა დატოვა მინდორი.

„იბერიამ" კი გაიხარა, მაგრამ ერთი მაინც დარჩა საჯავროდ. ბოლო ტურში, რომელმაც ზონის რვა გუნდი ორად უნდა გაჰყოს, სამტრედიელებს ხობში უწევთ თამაში და იქ მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ, რაშიც მათ ზურაბ მეტრეველი ვეღარ დაეხმარება მეხუთე გაფრთხილების გამო...

და ერთიც. საანგარიშო მატჩი სფფის დელეგატის გარეშე ჩატარდა. როგორც შევიტყვეთ, ფედერაციას ამ თამაშზე (ისევე როგორც წინა, გაუმართავზე) მევლუდ მიმინოშვილი ჰყოლია მივლინებული. ღრმადპატივცემულ დელეგატს, ალბათ, საპატიო მიზეზი ჰქონდა, თორემ ჩუმათელეთში გზა გაუწმინდავთ და...



მამუკა დარჩიას ფოტო

გელა ლურსმანაშვილმა (მარცხნივ) პირველი გოლი გაიტანა



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

ფოთელმა ჯონი შალამბერიძემ (მარცხნივ) „შუქურას" ოთხ-ოთხჯერ გაუტანა

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 13 | 11 | 2 | 0 | 33:5 | 28 | 35 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 17 | 6 | 6 | 0 | 0 | 15:1 | 14 | 18 |
| 2 | კოლხეთი | 13 | 8 | 0 | 5 | 19:15 | 4 | 24 | 6 | 5 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 15 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 |
| 3 | დილა | 13 | 5 | 2 | 6 | 16:22 | -6 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 0 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | -6 | 7 |
| 4 | თსუ | 13 | 4 | 4 | 5 | 12:15 | -3 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 6 |
| 5 | იბერია | 13 | 4 | 3 | 6 | 8:20 | -12 | 15 | 7 | 4 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 13 | 6 | 0 | 2 | 4 | 1:13 | -12 | 2 |
| 6 | მერანი | 13 | 3 | 6 | 4 | 12:12 | 0 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | -1 | 6 |
| 7 | გორდა | 13 | 4 | 1 | 8 | 14:17 | -3 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:4 | 6 | 10 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 8 | ხობი | 13 | 2 | 4 | 7 | 15:23 | -3 | 10 | 6 | 1 | 2 | 3 | 9:10 | -1 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |

# საქართველოს თასი

## მეთექვსმეტედფინალი

საპასუხო მატჩები

### აღმოსავლეთი ზონა

24 ნოემბერი

**აკადემია 1:0 არსენალი**

*პირველი მატჩი 0:0*

1:0 ბახტაძე (39)
**გაფრთხილება:** ჩაჩიბაია (აკადემია), რობაქიძე, ლუდუშაური (ორივე არსენალი)
**გაძევება:** ჩუბინიძე (33, არსენალი)
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

**ზოოვეტი 0:1 სიონი**

*პირველი მატჩი 2:1*

0:1 დ. გოდერძიშვილი (17)
**გაფრთხილება:** სიდამონიძე (სიონი)
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ცხინვალი 0:1 მერანი**

*პირველი მატჩი 0:1*

1:0 ბ. ამბიძე (73)
მარგიევმა ვერ გაიტანა პენალტი (83, ცხინვალი)
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**თბილისი 3:1 ჭაბუკიანი**

*პირველი მატჩი 1:0*

0:1 მჭედლიშვილი (42), 1:1 რუხაძე (56), 2:1 კვარაცხელია (58), 3:1 ი. შენგელია (64)
**გაფრთხილება:** ბურდული (თბილისი), ტალახაძე (ჭაბუკაიანი)
**მსაჯი:** ა. ორდინიძე (ონი)

**ლოკომოტივი 2 1:3 ლოკომოტივი**

*პირველი მატჩი 0:5*

0:1, 0:2 შავგულიძე (58, 68), 1:2 გ. ჯანელიძე (71პ), 1:3 ქებაძე (76)
**გაფრთხილება:** ჩაჩუა (ლოკომოტივი 2)
**მსაჯი:** მ. მაისურაძე (თბილისი)

**ს.ა. იბერია 3:2 ვიტ ჯორჯია**

*პირველი მატჩი 1:4*

1:0 კოჩაძე (27), 2:0 ლვინცაძე (37), 2:1 ა. ბოკერია (52), 2:2 გოცირიძე (83), 3:2 ლვინცაძე (88)
**გაფრთხილება:** ხიდაშელი (იბერია)
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

25 ნოემბერი

**თორი 0:7 დინამო**

*პირველი მატჩი 0:5*

0:1, 0:2, 0:3, 0:4 ალექსიძე, 0:5, 0:6 გ. შენგელია, 0:7 წიტაიშვილი
**მსაჯი:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

### დასავლეთი ზონა

24 ნოემბერი

**მეტალურგი 2:5 თსუ**

*პირველი მატჩი 1:1*

0:1 გ. მიქაძე (15), 0:2 ერაძე (32), 1:2 ფანცხავა (40პ), 1:3 წუწუნავა (64), 2:3 ქურციკიძე (77), 2:4 დეკანოსიძე (79), 2:5 წუწუნავა (84)
**გაფრთხილება:** ინწკირველი (თსუ)
**მსაჯი:** ა. მეშკოვი (თბილისი)

**სამეგრელო 0:4 ტორპედო**

*პირველი მატჩი 0:7*

0:1 იმედაძე (12), 0:2 მეგრელაძე (55), 0:3 მ. ბობოხიძე (74), 0:4 მეგრელაძე (81)
**მსაჯი:** ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**ოკეანე 0:1 ბათუმი**

*პირველი მატჩი 0:2*

0:1 თედორაძე (61)
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**შუქურა 1:6 კოლხეთი**

*პირველი მატჩი 0:6*

0:1, 0:2, 0:3 შალამბერიძე (10, 11, 16), 0:4 პაპავა (41), 0:5 შალამბერიძე (60), 0:6 ბულუხია (67), 1:6 ყულეჯიშვილი (80)
**გაფრთხილება:** ქათამაძე (შუქურა)
**მსაჯი:** კ. მესხი (ზუგდიდი)

**იბერია 2 0:3 სამგურალი**

*პირველი მატჩი 0:0*

0:1 ძაგნიძე (5), 0:2 ძოძუაშვილი (63), 0:3 ი. ხაჭაპურიძე (89)
*ი. ხაჭაპურიძემ ვერ გაიტანა პენალტი (84, სამგურალი)*
**მსაჯი:** დ. სანაია (სოხუმი)

**გურია — ხობი**

*პირველი მატჩი 1:3*

*„ხობმა" 40 წუთი დაიგვიანა, რის თაობაზეც სტკ იმსჯელებს*

**ივერია — გორდა**

*„ივერია" პირველ მატჩზე 5 წუთით დაგვიანების გამო მოხსნილია გათამაშებიდან*

**მარგვეთი — იბერია**

*პირველი მატჩი 0:1*

**მეგრი — დილა**

*პირველი მატჩი 1:4*

*ორივე მატჩი მოგვიანებით გაიმართება*

# რეგიონალური ლიგა

დასავლეთი
„ბ" ზონა
XI ტური

**სამეგრელო 0:3 შუქურა**

*გუშინწინ გამართულმა სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის სხდომამ „სამეგრელოს" წაგება ჩაუთვალა. ჩხოროწყუელებმა მატჩის წინ ფეხბურთელთა მონაწილის ბარათები ვერ წარმოადგინეს, რის გამოც შეხვედრა არ შედგა.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 11 | 9 | 2 | 0 | 36:11 | 29 |
| მეგრი | 11 | 8 | 1 | 2 | 16:9 | 25 |
| კოლხეთი 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 14:12 | 21 |
| ზუგდიდი | 11 | 6 | 2 | 3 | 30:13 | 20 |
| ლაზიკა | 11 | 6 | 2 | 3 | 21:12 | 20 |
| ფაზისი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:17 | 15 |
| სქური | 11 | 4 | 1 | 6 | 18:22 | 13 |
| სამეგრელო | 11 | 3 | 3 | 5 | 16:17 | 12 |
| ბათუმი 2 | 11 | 1 | 6 | 4 | 13:18 | 9 |
| მერცხალი | 11 | 1 | 4 | 6 | 7:14 | 7 |
| ჩელა | 11 | 1 | 2 | 8 | 10:31 | 5 |
| ბახმარო | 10 | 1 | 1 | 8 | 9:25 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი და ამაო შეკრება

## ლოკომოტივი უცნაურად მოიქცა



საპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე თემურ ნამიჭეიშვილი

მავანი იკითხავს, ეს საქმე კიდევ არ დამთავრდაო? ალბათ, არც არასოდეს დამთავრდება. 13 ნოემბრის „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი დაუსრულებელ პროცესად გადაიქცა. იმ სკანდალის გამოძახილი კარგა ხანს ემახსოვრებათ იმათ, ვინც კვლავაც მოიწადინებს ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრებზე დასწრებას და ყურადღებით დააკვირდება, თუ რა ბედი ეწევა მსაჯის მიერ დანიშნულ თერთმეტმეტრიანს...

ეს საქმე მხოლოდ დასჯილი მსაჯის, გურამ ასკაროვლისთვის და ორი დისკვალიფიცირებული ლოკომოტიველი ფეხბურთელისთვის დამთავრდა. საკითხავი ისღაა — მიელზო კეისარს კეისრისა?..

გუშინ ერთხელაც შეიკრიბნენ ნაცნობი სახეები. ამჯერად უცხო გარემოში. თბილისის რეგიონული ტრანსპორტის პროკურორის თემურ ნამიჭეიშვილის კაბინეტში გაგვიმასპინძლდნენ. ბატონი თემური სფფ-ს საპელაციო კომიტეტის თავმჯდომარეა და სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო „ლოკომოტივმა“ სწორედ მას წარუდგინა საპელაციო საჩივარი.

თემურ ნამიჭეიშვილთან ერთად საპელაციო კომიტეტში კიდევ ორი კაცია — ვეტერანი ფეხბურთელი ვლადიმერ ელოშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე გივი ჯიშიაშვილი. ქართულ ფეხბურთში წარმოშობილ ნებისმიერ სადავო საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სწორედ ამ სამეულის პრეროგატივაა და მისი განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, როცა ხსენებულ კომიტეტს მომჩივანი მიმართავს და მტყუან-მართალის გარჩევის საქმეს მიანდობს. „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამაც გამოიყენა ეს უფლება და ყველაზე ზემდგომ ინსტანციას სამთაბაზიანი საპელაციო საჩივარი წარუდგინა, მაგრამ მის განხილვაზე რატომღაც არ გამოცხადდა...

ახალი ფედერაციის ერთწლიანი არსებობის მანძილზე ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საქმეში ჩარევისთვის საპელაციო კომიტეტს მოუხმეს.

ზუსტად 16 საათზე კომიტეტთან ერთად თემურ ნამიჭეიშვილის კაბინეტში შემდეგი პირები შეიკრიბნენ: ანატოლი მილჩენკო — სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე, ზვიად დარასელი — სადისციპლინო კომიტეტის წევრი, გია ფირცხალავა — საშეჯიბრო განყოფილების უფროსი, „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩის დელეგატი, მამუკა კვარაცხელია — სფფ-ს საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენელი და ბადრი ქარქაშაძე — საშეჯიბრო განყოფილების მუშაკი. მომჩივანი „ლოკომოტივის“ მხარე არ ჩანდა.

კიდევ ერთხელ ნახეს 13 ნოემბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერის ის კადრები, რომელიც ასახავს მსაჯ ასკაროვლის მიერ მეორე ტაიმის მიწურულს რკინიგზელთა კარში დანიშნულ პენალტს და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

16 საათი და 13 წუთი. „ლოკომოტივის“ წარმომადგენლებს ამაოდ ველით. ჟურნალისტთა თხოვნით, მამუკა კვარაცხელია გვაცნობს საპელაციო საჩივრის სრულ ტექსტს, რომელსაც ხელს აწერს კლუბის პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე. საჩივარში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, რომ მსაჯმა გუნდები დროზე ადრე მოსწყვიტა თამაშს, თუმც პირველ პუნქტში „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი სადისციპლინო კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების უკანონოდ მიღებას აფიქსირებდა — საბოლოო განაჩენი სტკ-მ 18 ნოემბერს, 14 საათზე და 30 წუთზე ქვორუმის არარსებობის დროს გამოიტანაო. ამ ბრალდების უსაფუძვლობა ზვიად დარასელმა დაასაბუთა.

16 საათი და 25 წუთი. თემურ ნამიჭეიშვილმა საპელაციო კომიტეტის წევრებს მიმართა — ვინაიდან მომჩივანი მხარე არ გამოცხადდა, საქმის განხილვა სამშაბათისთვის გადავდოთო. ვლადიმერ ელოშვილი და გივი ჯიშიაშვილი თავმჯდომარის წინადადებას დაეთანხმნენ. 25 წუთის განმავლობაში „ლოკომოტივის“ მესვეურებთან ტელეფონით დაკავშირების მცდელობამ შედეგი არ გამოიღო.

— თუ თავად არ აინტერესებთ საქმის განხილვა, ეს მათთვისაა საზიანო — ითქვა სხდომაზე.

— იურისპრუდენციაში ამგვარ ფაქტებს არაერთხელ ჰქონია ადგილი. თუ საპელაციო საჩივრის შემტანი რამდენჯერმე არ გამოცხადდება შესაბამისი ინსტანციის შეკრებაზე, საქმე განუხილველი დარჩება და მორჩა — გაგვარკვია პროკურორმა ნამიჭეიშვილმა.

საპელაციო კომიტეტის პირველი შეკრება ამაო გამოდგა. ერთწლიანი არსებობის მანძილზე მისი პირველად შემწუხებელი თბილისის „ლოკომოტივის“ უცნაურად მოქცევის გამო. მავანი იტყვის, რკინიგზელები ხავსს ეჭიდებიან და ეტყობა, თვითონაც მიხვდნენო ამას. ეჭვის შეტანა ასეთ მსჯელობაშიც შეიძლება. უეჭველი მხოლოდ ისაა, რომ „ლოკომოტივმა“ უცნაურად მოქცევა და დუმილი ამჯობინა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით...

**ხვიჩა სანიძიძე**



„ლოკომოტივი“ — „დინამო“ 1:2. რკინიგზელთა კაპიტანი პაატა ბარნოვი მსაჯ გურამ ასკაროვლის რაღაცას უხსნის...



მამუკა კვარაცხელია, ზვიად დარასელი, თემურ ნამიჭეიშვილი, გივი ჯიშიაშვილი და ვლადიმერ ელოშვილი 13 ნოემბრის „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩის ვიდეოჩანაწერს უყურებენ

# დიალოგი აქტუალურ თემაზე

აუუ, ეს რა გაიგონა, ბიძიკო, ჩემმა ყურებმა. ტყუილი გამიგია, მაგრამ ასეთი? ფეხბურთს თავი დავანებოთ და, ამნაირი ტყუილის მოგონებას მართლა უნდა ნიჭი. რაო, რა თქვა იმ კაცმა, ძმიშვილო, ფეხბურთელები გამილახა მსაჯმაო, ხომ? ე, მაგას ჰქვია გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო. არა, მოფიქრება არ გინდოდა?

არაფერი გამოვა მასეთი ლაპარაკით. მეგონა, ეშველა საქმეს, არიქა, მიაკვლიეს ჩაწყობილს და ნაღრაშალს-მეთქი. საქმეში ხარ? შენც არ მომიკვდე, ადგნენ და სულ სხვა ყური მოუძებნეს ქოთანს, ისევ მსაჯზე და ფეხბურთელებზე გადატეხეს ჯოხი. კაი, ბატონო, დავუშვათ დასასჯელები იყვნენ და სწორადაც დასაჯეს, იმას რა ეშველება იმას, ჩაწყობილი იყო თამაშიო, რომ ითქვა. კომისია შეიქმნა და შევამოწმებთო. კომისია უშველის, ბიძია, საქმეს? კომისია იმისაა, საქმე გაწელოს და გააწვრილოს, რამდენი კაცია, იმდენი აზრიაო, ხომ გაგიგია, ჰოდა, ამდენ ღრიტინში ყველას დაავიწყდება ის ნათქვამი და სარეველებიც ახალი და ახალი ამოვა.

ამდენს რომ გელაპარაკები, ნუ იფიქრებ, დაბერდა, მოცლილია და გულს იოხებსო. კი, ერთიცაა, მეორეც და მესამეც, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, მართალს რომ ვლაპარაკობ. მართალ ნათქვამს კი, ვინც უნდა თქვას ის, ბიძიკო, კაი ყური და ფიქრი უნდა. მოისმინე, დაალაგე, მოხარშე შენებურად და ეცადე სწორი დასკვნა და გადაწყვეტილება მიიღო. შენს მართალ ნამოქმედარს რომ შეხედავს ქომაგი, იფიქრებს — ა, კაცი, ამას მართლა ჰყვარებია ფეხბურთიო და ერთი ხელით თუ გიჭერდა მხარს, დრო რომ მოვა, მეორე ხელსაც აგიწევს.

ამიტომაა, მეწყინა მიფუჩეჩებას რომ უპირებენ იმ მსაჯის ნათქვამს. ბარათი ააფრიალა იმ კაცმა, სახელი და გვარი თქვა და ახლა თავად ხომ არ დაიქირავებს დეტექტივს საქმის სწორად გამოსაძიებლად. მართალი გითხრა, არც მოინდომებს, შეიძლება კიდევ მოხვდეს და იმიტომ.

მე თუ მკითხავ, ყველაზე საჭირო და სკანდალური სწორედ იმ მსაჯმა თქვა და მის ნათქვამს უნდოდა გამოდევნება მაშინვე, ცუდი სუნი რომ უდიოდა საქმეს, ეს მატჩის დროსაც გამოჩნდა და თუკი გამოსაძიებელი დროზე არ გამოიძიეს, ფეხბურთი დაგვიმძორდება და სუნი მერე ნახეთ.

არ არის ჩვენი ფეხბურთის უბედურება მსაჯებში და ფეხბურთელებში, ბიძიკო. ის მთლად სასაცილოა, მსაჯების დამალვა რომ შემოიღეს მოდაში. რა, გაზეთში გებულობდნენ მსაჯების ვინაობას გუნდები? მეტი არაა ჩემი მტერი და თუ გინდა მასეც იყოს, რამდენი თამაშიც შესვენებაზე გაკეთებულა, იმდენი კაი ამბავი შენც და მეც.

დამალავენ თუ არა, ვერ გაიგებს ვინც მოინდომებს. კი, გეთანხმები, რომ აქვთ მაგის უფლება, მაგრამ რას შველის ვითომ ეს? არ ვიცი და რომ ვუყურებ, არც მაგათ იციან კარგად.

ახლა დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი და თავსაც ვერ დავდებ, მაგრამ ასე გავიგე, ის კაცი, ვისაც მსაჯისთვის ჯიბეში ბარათი ჩაუცურებია, გარიგებებში და ჩაწყობებში გვარიანად ჭიპმოჭრილი ვინმე ყოფილა და ესეც საყურადღებოა, რომ იცოდე. ერთი კაცის კუთხეში მიმწყვდევას არ უნდა დიდი ხლაფორთი და თუკი მართლა გაკეთებული აქვს გლახა საქმე, სადღაც რაღაც დასცდება, უეჭველია ეს. ე, ამაზე უნდა ემუშავათ, თუკი ფეხბურთზე მართლა შესტკივათ გული, თორემ იმ დაწყევლილ მატჩში მსაჯმა პენალტი არასწორად თუ დანიშნა, ამით ქვეყანა არ დაქცეულა. ერთი პენალტით არც იწყება და არც მთავრდება ფეხბურთი, ჩაწყობა-გარიგებები კი ნამეტანი გლახა რამეა.

ამდენი ხანია, გელაპარაკები და ვატყობ, ერთსა და იგივეს ვუტრიალებ სულ. მტკივა და იმიტომ, ვიცი, რომელია მთავარი სატკივარი და იმიტომ.

ისინი კი, ვისაც არასწორი პენალტი უფრო მნიშვნელოვანი ჰგონიათ, ვიდრე იმ საწყალი მსაჯის ნათქვამდანასაბუთები, ან ცუდი ხალხია, ანაც არაპროფესიონალები.

ასე მჯერა და ასე ვიცი მე.

# გიორგი დემეტრაძე კიევის დინამოელია

## ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება, რამდენი ჩაუთვალა ვალერი ლობანოვსკიმ ვლადიმერ გუცაევის ალანიას

რამდენიმე დღეში ვლადიკავკაზის „ალანიას“ ქართველი ფორვარდი, 23 წლის გიორგი დემეტრაძე ოფიციალურად გააფორმებს კონტრაქტს კიევის „დინამოსთან“.

„ალანიასთან მოსაგვარებელი ფორმალობებიღა დარჩა, დღე-დღეზე დემეტრაძე დინამოელი იქნება“ — განუცხადა გუშინ სააგენტო როიტერის კიევური კლუბის წარმომადგენელმა ევგენი კოტელნიკოვმა.

ჯერჯერობით არ სახელდება თანხა, რომლისთვისაც შეელია ახლა უკვე ვლადიმერ გუცაევის „ალანია“ რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს.

არაოფიციალური მონაცემებით, თავიდან „ალანია“ 5,5 მილიონ დოლარს ითხოვდა.

შეგახსენებთ, რომ დემეტრაძის ტრანსფერი სულ რაღაც 10 დღეში განხორციელდა. 15 ნოემბერს გიორგის ტელეფონით ვალერი ლობანოვსკი შეეხმიანა. 16-ში დემეტრაძე უკვე კიეველებთან ერთად ვარჯიშობდა. „გასინჯვაზე მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა“ — აღნიშნა „დინამოს“ პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა, რომელიც კვირის დასაწყისში ძალიან შეშფოთებული იყო „ალანიას“ არარეალური მოთხოვნებით.

ამ 10 დღის განმავლობაში დემეტრაძემ რამდენჯერმე ივარჯიშა კლუბთან ერთად, მონაწილეობდა ორმხრივ თამაშებში. ქართველი მინი-ფეხბურთშიც გამოსცადეს. დემე ასევე დაესწრო „დინამოს“ შეხვედრას უკრაინის ჩემპიონატში ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ და ჩემპიონთა ლიგაში მადრიდის „რეალთან“.

კიევის „დინამო“ დემეტრაძის გადაბირებას წლის დასაწყისშიც ცდილობდა, მაგრამ მაშინ ლობანოვსკიმ ქართველს კალინინგრადის „ბალტიკის“ უზბეკი ლეგიონერი მაქსიმ შაცკიხი ამჯობინა. დემეტრაძის შეძენა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ლობანოვსკის იმედები შაცკიხმა ვერ გაამართლა. კიევის „დინამოს“ გარდა, დემეტრაძისადმი ინტერესს ფრანგული „ოსერი“, ინგლისური „არსენალი“, ჰოლანდიის „პსვ ეინდჰოვენი“ და მოსკოვის „დინამოც“ იჩენდნენ. თუმცა, როგორც ხედავთ, ყველას კიევმა აჯობა. „დინამომ“ ასევე წარმატებით დაასრულა მეორე ტრანსფერზე მუშაობა. ლობანოვსკიმ ცხვირწინ ააცალა ამსტერდამის „აიაქსს“ უკრაინელი მეკარე მარუშაკი, რომელიც პირველლიგელი „ლვოვის“ საკუთრება იყო.

კიევის „დინამო“ დემეტრაძისთვის მეხუთე კლუბია. აქამდე ქართველ ფორვარდს უთამაშია თელავის „კახეთში“, თბილისის „დინამოში“, როტერდამის „ფეიენოორდსა“ და ვლადიკავკაზის „ალანიაში“. ყველაზე დიდ წარმატებას დემემ „დინამოსა“ და „ალანიაში“ მიაღწია. პირველში იგი ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მოგვიანებით კი ეს მიღწევა რუსეთშიც გაიმეორა.

დემეტრაძეს 10-ჯერ ჩაუცვამს საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურა. საოცარია, მაგრამ გოლი ნაკრებში ჯერ არ გაუტანია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიევის „დინამოსთვის“ ეს მესამე ქართველი ლეგიონერია. დღევანდელი „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერის, კახი კალაძის გარდა, კიევში სოხუმის „ცხუმისა“ და საქართველოს ყოფილ საუკეთესო ფეხბურთელს, მიხეილ ჯიშკარიანსაც უთამაშია. დემეტრაძე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეხმარება „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში, თუ გუნდი მეოთხედფინალში გაალწევს.



რუსეთის ჩემპიონატის ბომბარდირი გიორგი დემეტრაძე

**სიმონ მენაბდე**



ვალერი გაზაევი



ვლადიმერ გუცაევი

[illegible] ფოტო

# ალანია

## გაზაევი — იესთედეი გუცაევი — ახალი ერა

მაშ, ასე. ვლადიკავკაზის „ალანიას“ მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი ვლადიმერ გუცაევმა შეცვალა. ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელოვნების სახლში ამ ფაქტთან დაკავშირებით დიდი ზარ-ზეიმი გაიმართა. საპატიო სტუმრებს კამერული ორკესტრი მიესალმა. მისმა სოლისტმა სახელოვანი „ბითლზის“ რეპერტუარიდან ცნობილი სიმღერა „იესთედეი“ შეასრულა და დამსწრე საზოგადოებას „ალანიას“ გუშინდელი დღე გაახსენა. სიმღერა პირადად ვალერი გაზაევს მიეძღვნა. იგი ემოციებს ვერ ფარავდა:

— ჩემთვის იოლი არ იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. თუმცა უკვე გადავდგი ეს ნაბიჯი და მსურს, ახალ ხელმძღვანელობას ვუსურვო, მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ. მთავარი ის კი არაა, თუ ვინ დგას „ალანიას“ საჭესთან — გაზაევი, გუცაევი, პეტროვი თუ სიდოროვი. მთავარია იმ პიროვნებას ესმოდეს, რომ სათავეში უდგას გუნდს, რომელიც ეროვნული სიამაყის განსახიერებაა.

ღელავდა ვლადიმერ გუცაევიც:

— მიხარია, რომ მენდეთ და „ალანიას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დამნიშნეთ. ვალერი გაზაევთან ოც წელზე მეტია, ვმეგობრობ. ამბობენ, რომ მან ჩრდილოეთ ოსეთის ფეხბურთისთვის უდიდესი საქმე გააკეთა. მე სხვაგვარად ვიტყვი — გაზაევმა შეუძლებელი შეძლო. რატომღაც 1971 წელი გამახსენდა, როცა თბილისის „დინამოში“ თამაში დავიწყე. იმ დროს თავდასხმაში დიდი სლავა მეტრეველი ბრწყინავდა. წასვლისას სწორედ მან გადმომცა თავისი მაისურა და მას შემდეგ 16 წელი ვითამაშე. მართალია, დღეს გაზაევი მაისურას არ მიტოვებს, მაგრამ მისი სურვილი, ღირსეულად გავაგრძელო მემკვიდრეობა, ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს...

ძველის გაცილებისა და ახლის დანიშვნის საზეიმო ცერემონიალს ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ძასოხოვიც დაესწრო. მას გვერდს უმშვენებდა „ალანიას“ ახალდანიშნული პრეზიდენტი სერგეი ტაკოევი, რომელმაც გუცაევს კლუბის ფინანსური სტაბილურობა აღუთქვა.

ვალერი გაზაევი უხვად დაასაჩუქრეს. თუმცა ყველაზე დიდი საჩუქარი „ალანიას“ ექსთავკაცს რესპუბლიკის პრეზიდენტმა გაუკეთა, ძასოხოვმა ვალერი გიორგის ძეს სუფთა ჯიშის ბედაური აჩუქა.

ჩრდილოეთ ოსეთის წინამძღოლმა ვლადიმერ გუცაევის დანიშვნის თაობაზე შემდეგი თქვა:

— ჩვენ რამდენიმე კანდიდატურა განვიხილეთ. პირველივე მსჯელობისას გუცაევის მხარდამჭერები მრავლობდნენ და ბოლოს და ბოლოს მას ალტერნატივა არ მოეძებნა. გაზაევი და გუცაევი სამამულო ფეხბურთის ორი თვალსაჩინო წარმომადგენელია. პირველმა „ალანია“ აქამდე დაუპყრობელ სიმაღლეებზე აიყვანა, მეორეს კი დიდი მუშაობა მოუწევს, რათა ჩვენი ნდობა გაამართლოს. ერთი წუთითაც არ დავუშვებთ იმას, რომ გუნდმა დაღმასვლა დაიწყოს.

ცერემონიის შემდეგ მინი-პრესკონფერენცია გაიმართა. ვლადიმერ გუცაევს კლუბის სატრანსფერო პოლიტიკის შესახებ რამდენიმე კითხვა დაუსვეს. ახალმა მწვრთნელმა კონკრეტული საუბრისგან თავი შეიკავა. ძალიან ბევრს აინტერესებდა „ალანიას“ მთავარი გოლეადორის, გიორგი დემეტრაძის მომავალი. დემეტრაძეზე გუცაევმა განაცხადა:

— მე ძალიან მინდა, რომ იგი დარჩეს, მაგრამ თვითონ ოცნებობს ევროპის რომელიმე სოლიდურ გუნდში თამაშზე... თუ მართლა გამოჩნდნენ ასეთი კლუბები, ეს მომგებიანი იქნება როგორც დემეტრაძისთვის, ასევე „ალანიასთვის“, რომელიც საკმაოდ დიდ თანხას მიიღებს. რაც შეეხება დანაკლისის შევსებას, ჩვენ აუცილებლად მოვიყვანთ დემეტრაძის დარ ფორვარდს.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ბოლნისელები მოიწამლნენ და იმუქრებიან

საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. კვირას, 28 ნოემბერს, „ა“ და „ბ“ ზონის რვა მატჩია დაგეგმილი. „ბ“ ზონისგან განსხვავებით, „ა“-ში ყველაფერი გარკვეულია, თუმცა ერთი მატჩი თავისი პრინციპულობით მაინც გამოირჩევა. ბოლნისში „სიონი“ ერთგულ ქომაგებთან ერთად ქვეყნის ათგზის ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ ელის.

მართალია, „სიონმაც“ და „დინამომაც“ დასახულ მიზანს მიაღწიეს, მაგრამ ეს მატჩი რომ ბოლო ტურში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული იქნება, ფაქტია. ბოლნისელები „დინამოსთან“ ყოველთვის მობილიზებულნი და საბრძოლველად განწყობილნი თამაშობენ, მეთერთმეტედ გაჩემპიონებისთვის მებრძოლ თბილისელებს კი ბოლნისში მოპოვებული ქულები მეორე ეტაპზე გამოადგებათ. ამიტომ ორივე გუნდი გამარჯვებისთვის იბრძოლებს. მასპინძლები იმუქრებიან კიდეც, ერთი სული გვაქვს, „დინამო“ როდის ჩამოვა, ამ მატჩისთვის ყველანი განსაკუთრებულად ვემზადებითო.

ბოლო დროს ჩინებულ ფორმაში მყოფი „სიონი“ წინა ტურში „ბათუმს“ ესტუმრა და ბევრისთვის მოულოდნელად 0:4 შერცხვა. ის შეხვედრა ბოლნისელებმა აშკარად ჩააგდეს, თუმცა ამასაც თავისი მიზეზი ჰქონია. ბათუმში მიმავალ სიონელებს სურამთან შეუსვენიათ და უსაუზმიათ. მთელი გუნდი მაშინვე მოიწამლაო, გვითხრა გუშინ ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა სპარტაკ არჩვაძემ. მისივე თქმით, ამჟამად ფეხბურთელები უკეთესად არიან და ვარჯიშობენ კიდეც. მხოლოდ ნახევარმცველი თემურ სამხარაძე ვერ მომჯობინდა. იგი კვლავაც ავადაა და, ალბათ, მატჩის გამოტოვებაც მოუწევს. თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელდა მურმან გოგოლაძე, რომელიც ვარჯიშს გუშინ შეუდგა. დანარჩენები, ჯანზე არიან და „დინამოსთანაც“ თავს არ შევირცხვენთო, დასძინა საუბრის ბოლოს არჩვაძემ.

ასე რომ, ბოლნისელები საკმაოდ სერიოზულად ემზადებიან. მათ მონდომებას თუ ალას და ფანების გულშემატკივრობასაც დავუმატებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ „დინამოს“ მიმდინარე სეზონში, ალბათ, ყველაზე რთული მატჩი ელის.

**ვანო ოქროპირიძე**

# ვიტალი დარასელია ცსკა-ში რჩება

გუშინ უკრაინული ცსკა-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ერთბაშად 11 ფეხბურთელი დააყენოს ტრანსფერზე. მათ შორის მეკარე ოვსიენკო, მცველები გრეგული, ილჩენკო, პინკოვსკი, პოლიაკოვი, ნახევარმცველები ნოვახაცკი, გოგოლი, მოროზი, სელეზნიოვი და ფორვარდები კორენევი და კოვალჩუკი.

მათი ბედი არ გაიზიარა ქართველმა ლეგიონერმა, ვიტალი დარასელია — უმცროსმა. ეს ფეხბურთელი სეზონის წინ დაიმტვრა და გუნდს ვერ ეხმარებოდა. ორიოდე კვირაა, იგი კვლავ შეუდგა ვარჯიშს.

ცსკა-ს, რომელიც უკრაინული პირველობის ერთ-ერთი აუტსაიდერია, განუზრახავს, პირველი წრის შემდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერდეს, რათა ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ გაუჭირდეს.

თუმცა არ არის გამორიცხული, დარასელიამ, ფორმაში რომც შევიდეს, მაინც დატოვოს კიევის არმიელთა გუნდი. დიდი ვიტალის ვაჟს აღმოსავლეთ ევროპის ორი დიდი გუნდი — კიევის „დინამო“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“ აკვირდება.

**სიმონ მენაბდე**

# კურბისი ტოშაკის გზას გაუყენეს

## გუშინ მარსელის „ოლიმპიკის“ მთავარმა მწვრთნელმა როლან კურბისმა დაკავებული თანამდებობა დატოვა

საფრანგეთის საპორტო ქალაქ მარსელის გუნდი „ოლიმპიკი“ არც თუ ისე დამაჯერებლად გამოიყურება. საშინაო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში მეტად საჭირო ქულები დაკარგა და სრულიად სამართლიანად იმყოფება გათამაშების ცხრილის ზუსტად შუაში, მე-9 პოზიციაზე. სულ ბოლო, მე-16 ტურის მატჩში მარსელელებმა საშინაო შეხვედრა დათმეს „ოსერთან“ — 0:1. გუნდის გულშემატკივრები თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ „ოლიმპიკი“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მეორე ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა და იმედი ჰქონდათ, მათი რჩეული იქ მაინც აჩვენებდა ჩვეულ თამაშს. ოთხშაბათს „ველოდრომის“ სტადიონზე გამართულმა მატჩმა კი მათ ამ ოცნებას წყალი გადაასხა. „ოლიმპიკი“ ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში, საკუთარ მოედანზე, 0:2 დამარცხდა რომის „ლაციოსთან“. თუმცა ხუთი ტური კიდევ წინაა, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ იმავე ჯგუფში ლონდონის „ჩელსი“ და როტერდამის „ფეიენოორდი“ ასპარეზობენ, მარსელელებს მართლაც რომ დიდი საფიქრალი გაუჩნდათ.

ეს ყოველივე „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელობაზე უკეთ ვის ექნებოდა გაცნობიერებული და მათაც შებასამისი გადაწყვეტილებები მიიღეს — გუნდის მთავარი მწვრთნელი როლან კურბისი გაათავისუფლეს. მის ადგილზე კი კლუბის ყოფილი ფეხბურთელი, ახალგაზრდა სპეციალისტი — ბერნარ კაზონი დანიშნეს. კურბისმა გადადგომის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში მოკრძალებით თქვა: „დავიღალე, დასვენება მჭირდება. ჯერჯერობით, ალბათ, არანაირ წინადადებას არ განვიხილავ. სამწუხაროდ, სხვას ვერაფერს გეტყვით, რადგან „ოლიმპიკის“ პრეზიდენტ რობერ ლუი დრეიფუსს შევპირდი, კლუბის მომავალი გეგმების შესახებ არანაირ კომენტარს არ გავაკეთებდი, რადგან გუნდს შაბათს ერთობ სერიოზული მატჩი ელის ჩემპიონატის მორიგ ტურში სტუმრად — „ნანსისთან“. რაც შეეხება ჩემს შემცვლელს, ვთვლი, რომ კაზონი საუკეთესო კანდიდატი იყო. მან კარგად იცის გუნდის შინაური სამზარეულო“.

ასე დაშორდა გუნდს 46 წლის ფეხბურთის სპეციალისტი, რომელიც 70-იან წლებში „ოლიმპიკში“ ასპარეზობდა და მასთან ერთად 1972 წელს საფრანგეთის ჩემპიონატი აქვს მოგებული.



როლან კურბისი

## ინგლისი

I დივიზიონი

**იფსვიჩი 1:0 ვულვზი**

1:0 შოუკროფტი (56)

**მანჩესტერ სიტი 3:1 ბარნსლი**

1:0 ტეილორი (6), 2:0 გოტერი (10), 2:1 ტომასი (64), 3:1 ჰორლოკი (73)

**ნოტინგემი 2:0 პორტსმუთი**

1:0 ჯონი (6), 2:0 ბეკი (11)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 19 | 13 | 3 | 3 | 30:12 | 42 |
| ჩარლტონი | 18 | 12 | 2 | 4 | 34:19 | 38 |
| ჰადერსფილდი | 20 | 11 | 4 | 5 | 37:22 | 37 |
| ბარნსლი | 19 | 11 | 1 | 7 | 36:30 | 34 |
| იფსვიჩი | 19 | 9 | 5 | 5 | 32:22 | 32 |
| ბირმინგემი | 19 | 8 | 6 | 5 | 31:22 | 30 |
| ბოლტონი | 19 | 8 | 6 | 5 | 29:20 | 30 |
| ფულემი | 19 | 7 | 8 | 4 | 21:17 | 29 |
| ქუინზ პარკი | 19 | 7 | 7 | 5 | 27:24 | 28 |
| სტოკპორტი | 19 | 7 | 7 | 5 | 23:26 | 28 |
| ვულვზი | 18 | 6 | 8 | 4 | 19:17 | 26 |
| ნორვიჩი | 19 | 6 | 7 | 6 | 16:16 | 25 |
| ვესტ ბრომვიჩი | 18 | 5 | 9 | 4 | 18:17 | 24 |
| ტრანმერი | 20 | 6 | 5 | 9 | 27:30 | 23 |
| გრიმსბი | 19 | 6 | 4 | 9 | 19:31 | 22 |
| ნოტინგემი | 19 | 5 | 6 | 8 | 23:24 | 21 |
| პორტვეილი | 20 | 5 | 5 | 10 | 26:30 | 20 |
| კრ. პალასი | 18 | 5 | 5 | 8 | 25:31 | 20 |
| პორტსმუთი | 20 | 5 | 5 | 10 | 25:35 | 20 |
| ბლექბერნი | 16 | 4 | 7 | 5 | 18:17 | 19 |
| უოლსოლი | 20 | 4 | 6 | 10 | 17:30 | 18 |
| ქრიუ | 18 | 4 | 5 | 9 | 18:29 | 17 |
| შეფილდ იუნ. | 19 | 4 | 5 | 10 | 21:33 | 17 |
| სუინდონი | 20 | 3 | 6 | 11 | 14:32 | 15 |

## ალბანეთი

მე-10 ტური. შკიპონია — ბილიში 2:0; დინამო — ელბასანი 2:1; ტირანა — აპოლონია 7:0; ფლამურტარი — ლუშნია 0:3; ვლაჟნია — შკუმბინი 2:1; შკენდერბო — პარტიზანი 1:0; ტეუტა — ტომორი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტეუტა | 10 | 7 | 1 | 2 | 14:4 | 22 |
| ტირანა | 10 | 5 | 3 | 2 | 15:4 | 18 |
| ტომორი | 10 | 5 | 3 | 2 | 11:7 | 18 |
| ლუშნია | 10 | 5 | 2 | 3 | 14:9 | 17 |
| შკიპონია | 10 | 4 | 4 | 2 | 8:4 | 16 |
| დინამო | 10 | 4 | 3 | 3 | 12:10 | 15 |
| ვლაჟნია | 10 | 4 | 2 | 4 | 11:12 | 14 |
| ელბასანი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:11 | 14 |
| ბილიში | 10 | 3 | 4 | 3 | 14:15 | 13 |
| შკუმბინი | 10 | 2 | 5 | 3 | 10:12 | 11 |
| შკენდერბო | 10 | 3 | 2 | 5 | 8:11 | 11 |
| პარტიზანი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:12 | 10 |
| ფლამურტარი | 10 | 2 | 1 | 7 | 10:19 | 7 |
| აპოლონია | 10 | 0 | 4 | 4 | 3:21 | 4 |

## ბრაზილია

პლეი ოფი. III ტური

**ვასკუ და გამა 1:1 ვიტორია**

**კორინთიანსი 1:1 გუარანი**

**პონტე პრეტა 2:3 სან პაულუ**

„ატლეტიკო მინეირომ“ ბრაზილიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ნახევარფინალის საგზური ორი მატჩის ჯამში მოიპოვა. დანარჩენი ნახევარფინალისტების გამოსავლენად მესამე შეხვედრების ჩატარება გახდა საჭირო.

ბრაზილიაში წესად აქვთ, ტური ისე არ ჩაივლის, მსაჯს თავი არ გაუტეხონ, ან ვინმე არ ცემონ. „პონტე პრეტა“—„სან პაულუს“ მატჩშიც ასე მოხდა. წინა ორი თამაშის ჯამში გუნდებს თანაბარი ქულები და ასევე ბურთების თანაბარი შეფარდება ჰქონდათ, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრის ფრედ დასრულების შემთხვევაში, გამარჯვებული „პონტე პრეტა“ გამოდიოდა. ამ გუნდს მეტოქის მოედანზე მეტი გოლი გაეტანა. როდესაც ანგარიში 1:0 იყო „პონტეს“ სასარგებლოდ, კლუბის ნახევარმცველმა პიამ მსაჯის ფუნქციების შესრულება თავის თავზე აიღო. მან საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელში აიღო და არბიტრს გამოუცხადა, უხეშად მეთამაშნენ და ჯარიმა უნდა დავარტყაო. მსაჯი ერთხანს კი დაიბნა, მაგრამ შემდეგ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მან „პონტეს“ კარში პენალტის დანიშვნა ბრძანა, რომელიც რაიმ ზუსტად შეასრულა. მეორე ტაიმში, როდესაც ანგარიში უკვე 2:2 იყო, აუტზე გასული ბურთის მომწოდებელმა ბიჭმა დროის გაყვანა დაიწყო. სტუმართა ნახევარმცველმა ვაგნერმა ვერ მოითმინა და ბიჭი შემოელახა. ვაგნერი გააძევეს. ნაცემმა ბავშვმა ის სიცილით და მანჭვა-გრეხით გააცილა. სანპაულუელები ამ ინციდენტმა ძალიან გაალიზიანა. მათ მეტი გააფთრებით შეუტიეს და გამარჯვების გოლიც შეაგდეს. „სან პაულუ“ ნახევარფინალში კი გავიდა, მაგრამ მათმა მწვრთნელმა გვარიანი შიში ჭამა. საწყალი კაცი მთელი მატჩის განმავლობაში ტრიბუნებიდან ნასროლ ქვებს იგერიებდა.

# ანიელისა და ანიერის შავ-თეთრი სამყარო



ბოლო დროს „იუვენტუსს“ სიხარულის საბაბი მოუმრავლდა

„იუვენტუსის“ ფეხბურთელებმა გაოცებისგან ვარჯიში შეწყვიტეს, როდესაც ტრიბუნისკენ მიიხედეს და კლუბის საპატიო პრეზიდენტს, მხცოვან ბიზნესმენს ჯოვანი ანიელის შეავლეს თვალი. სინიორ ანიელის პირადად მოსურვებია ბიჭებთან მისვლა, მადლობის თქმა და მათი წახალისება.

„ფიატის“ დიდი ბოსის აღფრთოვანება სერია A-ს ბოლო ტურში, „მილანთან“ 3:1 გამარჯვებას გამოუწვევია.

„კვირას „ლაციოსთან“ გელით თამაში და ვგონებ, იგი ორივე გუნდისთვის უდიდესი გამოცდა იქნება. როგორც ჩვენ, ასევე ისინი, ხომ ჩემპიონის ტიტულისთვის ვიბრძვით“ — უთხრა მოხუცმა ბიჭებს — „ახლა ცხრილის სათავეში მოკალათებულ კონკურენტებს ჩვენი სუნთქვა აწუხებთ. გუნდი ჩინებულად გამოიყურება. როგორც ჩანს, ყველანი კარგ ფორმაში ხართ“.

როგორც ჩანს, „იუვენტუსი“ მართლაც აღმასვლას განიცდის და ამას შავ-თეთრთა თავდამსხმელი ფილიპო ინძაგიც ადასტურებს.

„კლასით ბევრი ვერ შეგვედრება“ — განაცხადა ფორვარდმა, რომელმაც „მილანთან“ ზემოხსენებულ შეხვედრაში ზებრისებური მაისურით თავისი მე-60 გოლი გაიტანა — „მაისურაზე რიცხვი 60, ჯერ კიდევ „ტორინოსთან“ შეხვედრაში დავიწერე, რადგან ვიცოდი, რომ მესამოცე გოლთან ძალიან ახლოს ვიყავი. ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს ტურინულ დერბიში ცუდად მეთამაშოს, მაგრამ თავდამსხმელი ვარ, ხოლო თავდამსხმელისთვის გოლი იგივეა, რაც ყოველდღიური კვება“.

სხვათა შორის, ინძაგი გახლავთ ერთი იმ სამთაგანი, რომელიც იუვენტუსელთაგან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობის მაძიებელთა სიაშია შეყვანილი. მის გარდა სიაში ედგარ დავიდსი და ზინედინ ზიდანი არიან.

„მთავარია არ მოვდუნდეთ, ეს დაუშვებელია. ყოველ თამაშში ჩვენი შესაძლებლობების ასი პროცენტი უნდა გამოვავლინოთ“ — ამბობს ინძაგი და დასძენს — „იუვე“ ერთსულოვანი გუნდია. დიდი მადლიერებით მინდა ვახსენო ჩემი ყველა თანაგუნდელი. ისინიც, ვისაც სათადარიგოთა სკამზე უწევს სხდომა და ისინიც, ტრიბუნიდან რომ გვადევნებენ თვალს. ეს დიდებული ხალხია, რომელიც ყოველ წუთას მზადაა, დაშავებული „მეგობარი შეცვალოს“.

ბოლო დროს, ტურინში, ხშირად ადარებენ მარჩელო ლიპის დროინდელსა და ახლანდელ „იუვენტუსს“. ინძაგი ამაში მემკვიდრეობითობას ხედავს:

„ჩვენ მყარი საფუძველი დაგვხვდა და მასზე დაყრდნობით დღითიდღე ვვითარდებით, გვიძლიერდება რწმენა და კვლავ ძველებურ ფორმაში შევდივართ. „იუვენტუსი“ სკუდეტოსთვის იბრძვის, თუმცა ჯერ რაიმეზე საუბარი ძალიან ადრეა. ხომ ხედავთ, „ლაციო“ დაუმარცხებელ გუნდად იყო მიჩნეული, მაგრამ რომაულ დერბიში განადგურდა. სერია A-ში ბევრი ძლიერი გუნდია, რომელთა ანგარიშგაუწევლობა დაუშვებელია. უნდა ვიფიქროთ „ფიორენტინაზე“, „პარმაზე“... და მაინც, „იუვენტუსის“ ბადალი ბევრი არ არის“.

და კიდევ, „იუვენტუსი“ მხოლოდ გუნდი არ არის, ეს კომერციაცაა. როგორ ხვდება იგი მესამე ათასწლეულს? „პროსეკო ანერით“, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, ჯანკარლო ანერის პროდუქცია გახლავთ, რას აკეთებენ იტალიაში ახალარჩეული პრემიერ მინისტრები? ისინი „ანერის“ ბოთლს ხსნიან და სადღეგრძელოს ამბობენ. რას აკეთებენ მილიონერები, მომგებიანი კონტრაქტის დადების შემდეგ? ცხადია, იმავეს და აი, ახლა საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგება ახალი „ანერი“, ძველებური ხარისხით, ოღონდ შავ-თეთრი ეტიკეტით. ორი ათასი ბოთლი იტალიაშივე დარჩება, ხოლო ერთ ამდენს უცხოეთში ელიან.

1997 წელს, ასწლოვანი იუბილეს აღსანიშნავად საგანგებო სადღეგრძელოსთვის „იუვენტუსმა“ სწორედ „ანერი“ აირჩიან.

„მოხარული ვარ, რომ მადლობის გადახდას შევძლებ“ — ამბობს ჯანკარლო ანერი — „შავ-თეთრი სამლიტრიანი ბოთლები ჩვენ უკვე შეგვიკვეთეს პეკინიდან, მალტიდან, პარიზიდან და ბრიუსელიდან“.

ერთი ბოთლის ფასი? დაახლოებით 130 დოლარი.

ბაპუნა ძედია

# ზაჰოვიჩი უკმაყოფილოა

სლოვენიის ნაკრებისა და ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ ნახევარმცველი ზლატკო ზაჰოვიჩი აცხადებს, რომ კლუბის დატოვება სურს. მიზეზი გუნდთან ცუდი ურთიერთობაა. ზაჰოვიჩის თქმით, მისი მენეჯერი უკვე იმყოფებოდა ათენში და 15,8 მილიონდოლარიანი კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე გამართა მოლაპარაკებები. თუმც შეთანხმება ჩიხში მოექცა. შეგახსენებთ, რომ წლეულს ივლისში სწორედ ამ თანხის საფასურად გადავიდა ზაჰოვიჩი პორტუგალიური „პორტუდან“ ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“. სლოვენიელი, „ოლიმპიაკოსის“ ნომერ მეორე ძვირადღირებული შენაძენია. ამ მაჩვენებლით იგი ბრაზილიელ ჯოვანის ჩამორჩება, რომელმაც სეზონის დაწყებამდე კატალონიური გრანდი — „ბარსელონა“ დატოვა და ბერძნულ კლუბს შეუერთდა.

## ფეხბურთის რუკასთან



არგენტინელმა მცველმა ხორხე მარტინესმა, რომელიც ამჟამად ესპანური „რეალ სარაგოსას“ ღირსებას იცავს, სეზონის ბოლომდე გააგრძელა კლუბთან კონტრაქტი, ესპანეთში არგენტინული „ინდეპენდიენტედან“ გადაბარგებული მარტინესი პრიმერადივიზიონის წლევანდელ სეზონში მხოლოდ ექვსჯერ გამოჩნდა „სარაგოსას“ რიგებში. ამბობენ, ფეხბურთელი გუნდს სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე, დეკემბერში დატოვებსო, როგორც მარტინესის აგენტმა ოსკარ სეტემბრიონიმ განაცხადა, იგი თანახმაა, სეზონის ბოლომდე ესპანეთში დარჩეს.

გერმანიის ნაკრებმა მომავალ ევროპის ჩემპიონატზე სავარჯიშო ბაზად ჰოლანდიის ქალაქი ვაალსი დაასახელა, რადგან ეს დასახლება მხოლოდ ხუთი კილომეტრითაა დაშორებული ჰოლანდია-გერმანიის საზღვართან. ვაალსი ჩემპიონატის მეორე მასპინძელ ქვეყანასთან, ბელგიასთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს.

იტალიურ გრანდ მილანის „ინტერს“ რუმინული ბუქარესტის „დინამოდან“ თავდამსხმელის — ადრიან მუტუს გადაბირება სურს. 20 წლის ფორვარდი რუმინეთის ჩემპიონატის ბომბარდირია, მას 18 შეხვედრაში 18 გოლი აქვს გატანილი. საეჭვოა, რომ მუტუ „ინტერს“ სეზონის ბოლომდე შეუერთდეს, რადგან მილანურ გუნდში ხუთი არაევროკავშირელი ასპარეზობს. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ფორვარდი ალბათ ჩაამთავრებს რუმინეთის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონს და „ინტერს“ შემდეგ შეუერთდება. მილანური გუნდი, სავარაუდოდ, ნიგერიელ მცველ ტარიბო ვესტს გამოემშვიდობება. მცველი ბოლო დროს შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და არაევროკავშირელი ფეხბურთელია.

ინგლისურმა კომპანია planetfootball.com-მა მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა ფეხბურთის სპეციალისტებს, რომლებიც ამჟამად უმუშევრად არიან. მწვრთნელებს შეეძლებათ, ინტერნეტის ქსელის მეშვეობით აწარმოონ მოლაპარაკებები სხვადასხვა კლუბებთან, გაუგზავნონ მათ თავიანთი მონაცემები და კონტრაქტის პირობები. კომპანია planetfootball საკმაოდ ცნობილია ინგლისში. მისი მომსახურებით უკვე პრემიერლიგის 12-მა და ინგლისის პირველი დივიზიონის 9 კლუბმა ისარგებლა. მწვრთნელთა საინფორმაციო გვერდის მისამართია: http://www.leaguemanagers.com

იტალიური „რომას“ ბრაზილიელი მცველი ანტონიო ძაგო სერია A-ს სადისციპლინო კომიტეტმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა ყოვლად გაუმართლებელი საქციელის გამო — რომაულ დერბიში მან ლაციოელ სიმეონეს შეაფურთხა. ეს მატჩის მთავარმა არბიტრმა ვერ შენიშნა, თუმც სატელევიზიო გამეორებაზე ყველაფერი აშკარად გამოჩნდა. ძაგოს სერია A-ს მომავალი ტურის შეხვედრების გამოტოვება მოუწევს, რომელსაც „რომა“ „უდინეზესთან“, „ბოლონიასთან“ და „ლეჩესთან“ ჩაატარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. C ჯგუფი

### დინამო 1:2 რეალი

0:1 მორიენტესი (17), 0:2 რაული (48), 1:2 რებროვი (85 პ)
დინამო: შოვკოვსკი, მამედოვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, გუსინი, იაშკინი, რებროვი, კონოვალოვი (შაცკიხი 46)
რეალი: ბიზარი, მიჩელ სალგადო (ივან კამპო 28), ჟულიო სეზარი, რობერტო კარლოსი, კარემბუ, ზეედორფი (კარანკა 90), ივან ელგუერა, გუტი, სავიო (მანუელ სანჩისი 71), რაული, მორიენტესი
მსაჯი: დ. ელერი (ინგლისი)

წლევანდელ სეზონში მადრიდის „რეალი" მეტად უცნაურად გამოიყურება. სამეფო კლუბისთვის შინაურ ჩემპიონატში თამაშის მოგება ლამის აუხდენელ ოცნებად ქცეულა. ამის საპირისპიროდ, ჩემპიონთა ლიგაში მადრიდელებს ჯერჯერობით სერიოზული პრობლემა არ შექმნიათ. სამშაბათს, საევროპო დებიუტი ჰქონდა ვისენტე დელ ბოსკეს. ტოშაკის მემკვიდრემ კარგად იცის, მას მხოლოდ ბრწყინვალე შედეგი შეუნარჩუნებს თანამდებობას. სპეციალისტები უკვე წილისყრის შემდეგ აღნიშნავდნენ, ესპანელებს უკრაინულ ყინვაში თამაში გაუჭირდებათო. ეს ფაქტი დელ ბოსკეს დამატებით თავსატეხს უჩენდა. თავის მხრივ, არც დინამოელები ყოფილან დალხინებულნი. როგორც ჩანს, კიეველებს სათამაშო პიკი შარშან ჰქონდათ. ლიგის მიმდინარე გათამაშების მეორე ეტაპზე „დინამომ" რის ვაი-ვაგლახით გააღწია. ამას დავუმატოთ ნაკრების სენსაციური მარცხიც სლოვენიელებთან.

ჯარისკაცებმა მინდორი თოვლისგან გაწმინდეს, წითელი ბურთიც მოიძებნა და თამაშიც დაიწყო. პირველივე წუთებიდან სტუმრებმა მჭიდრო პრესინგს მიმართეს. პირველი გოლი მეჩვიდმეტე წუთზე გავიდა. რობერტო კარლოსი ჩვეულებისამებრ თავისი ფლანგიდან შეტევაში ჩაერთო და მეტოქის კარის გასწვრივ ჩააწოდა. ახლო ძელთან რაული იდგა, თუმცა კი ბურთი გაატარა. შორეულ ძელთან ფერნანდო მორიენტესი უმეთვალყურეოდ იყო მიტოვებული, მან ბურთს ფეხი მიარტყა და — 0:1.

მასპინძლებმა ცენტრიდან დაიწყეს და პირველივე შეტევა რებროვის გოლით დასრულდა. გულშემატკივრებს ზეიმი არ დასცალდათ, მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. საერთოდ, „დინამოს" თამაშს აშკარად აკლდა ორგანიზებულობა. მათი შეტევები ქაოსური იყო. შესაბამისად, ალბანო ბიზარის (რომელიც კარგა ხანია, ტრავმირებულ ბოდო ილგნერს ცვლის) დიდი ჯაფა არ დასდგომია. მადრიდელთა მეკარე მატჩის მსვლელობისას მოწინააღმდეგის თავდამსხმელთა ნაცვლად, ყინვას უფრო ებრძოდა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან სამი წუთი იყო გასული, რომ რაულმა მეორედ დალაშქრა „დინამოს" კარი. „რეალის" კაპიტანმა წინ გამოსული ალექსანდრ შოვკოვსკი შენიშნა და საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი თავზე გადაუგდო. თამაშის ხასიათი არც ამის შემდეგ შეცვლილა. მასპინძლებმა ვერა და ვერ ააწყვეს კომბინაციური თამაში. ისინი ძირითადად შორეული დარტყმებით ცდილობდნენ შედეგის მიღწევას, რაც არ გამოუვიდათ. მატჩის მიწურულს ერთი ბურთის გაქვითვა „დინამომ" მაინც მოახერხა, ეს რებროვმა ზუსტად შესრულებული პენალტით შეძლო.

პრესკონფერენციაზე სამეფო კლუბის ახალმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ თქვა: „შეხვედრა მეტად მძიმე მეტეოპირობებში ჩატარდა. ამიტომ ჩვენს დღევანდელ თამაშს გმირული შემიძლია ვუწოდო. მთელმა გუნდმა მონდომებით ითამაშა და გამარჯვება დამსახურებულად მოვიპოვეთ".

ახალგამოჯანმრთელებული ვალერი ლობანოვსკი მატჩს კი ესწრებოდა, მაგრამ უკმაყოფილო მწვრთნელი საფინალო სასტვენისთანავე გასახდელში გაუჩინარდა. მის ნაცვლად კომენტარი ალექსეი მიხაილიჩენკომ გააკეთა: „ფეხბურთელებმა მოყინულ მინდორზე ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლეს, წაგებას არ შევუშინებივართ. ეს მხოლოდ პირველი თამაში იყო. გეხსომებათ, პირველი ეტაპიც ასეთივე ცუდი შედეგით დავიწყეთ".

აქვე ვიტყვით, რომ კახა კალაძეს ორი გაფრთხილების გამო არ უთამაშია.

### რუსენბორგი 1:1 ბაიერნი

0:1 იანკერი (10), 1:1 სკამელსრუდი (47)
რუსენბორგი: იამტფალი, ბასმა, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, ვინსნესი (დალუმი 70), სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, კარეუ, სტრანდი
ბაიერნი: კანი, ბაბელი, კუფური, პ. ანდერსონი, შოლი (ციკლერი 81), ეფენბერგი, პაულო სერჟიო (სანტა კრუზი 78), ფინკი, ტარნატი, იანკერი, სალიჰამიჯიჩი
მსაჯი: ს. ბრაში (იტალია)

მატჩის წინ „ბაიერნის" პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს უთქვამს, ჩვენთვის ფრეც კარგი შედეგი იქნებაო. მან სამი წლის წინანდელი სიტყვებისთვისაც ბოდიში მოიხადა. მაშინ კაიზერ ფრანცმა განაცხადა, „რუსენბორგის" მსგავსი გუნდები ჩემპიონთა ლიგაში თამაშს არ იმსახურებენო. მიუნხენელთა პრეზიდენტის პროგნოზი გამართლდა — შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა.

მატჩი, განსაკუთრებით მისი პირველი ტაიმი, სტუმართა სრული უპირატესობით წარიმართა. ოთხშაბათს ლიგაში გამართული შეხვედრებიდან ყველაზე სწრაფი გოლი კარსტენ იანკერმა შეაგდო. მან დაახლოებით 15 მეტრიდან დალაშქრა იორნ იამტფალის კარი. პირველ ნახევარში ნორვეგიელთა მცველებს ერთგვარი დაბნეულობა ეტყობოდათ. მათ კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა. ბოსნიელი ჰასან სალიჰამიჯიჩის უძლიერესი შორეული დარტყმა იამტფალმა კუთხურზე გაჭირვებით გადააგდო. ტაიმის მიწურულს პაულო სერჟიომ ბურთი ძელს გაარტყა.

შესვენების შემდეგ, 47-ე წუთზე, „ბაიერნის" საჯარიმოს ხაზთან თამაშის წესი დაირღვა. ჯარიმა ბენტ სკამელსრუდმა შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ ორმხრივი შეტევები არ შეწყვეტილა. იანკერის დარტყმული, კარის ძელს ოდნავ ასცდა. ბოლო წუთებზე შეცვლაზე შესულ ტორე ანდრე დალუმს ბრწყინვალე შანსი ჰქონდა, მაგრამ...

გერმანელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა მატჩის შემდეგ განაცხადა: „პირველი ტაიმი დამსახურებულად მოვიგეთ, სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩვენ კიდევ ორი ასპროცენტიანი შანსი გვქონდა, რომლებიც ვერ გამოვიყენეთ. თუმცა ერთი ასეთი მომენტი მასპინძლებმაც შექმნეს. მეორე ტაიმში „რუსენბორგი" ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. სკამელსრუდის გოლი კი მართლაც საუცხოო იყო".

ნორვეგიელთა მენეჯერმა ნილს არნე ეგენმა თქვა: „მატჩის შედეგით კმაყოფილი ვარ, ჩემი ფეხბურთელების თამაშით — არა. პირველ ნახევარში ბიჭები საშინლად ირჯებოდნენ. საბედნიეროდ, შესვენების შემდეგ ყველაფერი გამოსწორდა".

*II ტური. 7 დეკემბერი: ბაიერნი — დინამო; რეალი — რუსენბორგი*



რუსენბორგი — ბაიერნი 1:1. ტრონჰეიმელი ერიკ ჰოფტუნი, მიუნხენელ შტეფან ეფენბერგს გაურბის

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 29.II | 7.XII | 14.III | 2:1 | 3 |
| 2 | ბაიერნი | 8.III | | 14.III | 7.XII | 1:1 | 1 |
| 3 | რუსენბორგი | 22.III | 1:1 | | 8.III | 1:1 | 1 |
| 4 | დინამო | 1:2 | 22.III | 29.II | | 1:2 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. D ჯგუფი

### მარსელი 0:2 ლაციო

0:1 სტანკოვიჩი (64), 0:2 სერჟიო კონსეისაო (78)
მარსელი: პორატო, პერესი (მორისი 67), ფიშერი, ბერიზო, გალასი, ბრანდო, ლუქსენი, დალმა, პირესი, დიუგარი, დიავარა (რავანელი 57)
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, სერჟიო კონსეისაო, სენსინი, დ. სტანკოვიჩი, ნედვედი (ალმეიდა 82), მანჩინი (ვერონი 74), სალასი (ბოკშიჩი 79)
მსაჯი: მ. დიას ვეგა (ესპანეთი)

ჩემპიონთა ლიგაში გასამართ ყოველ მატჩს გუნდები სრული საბრძოლო განწყობით ხვდებიან. ამ შეხვედრაში „მარსელს" და „ლაციოს" ისიც უნდა დაემტკიცებინათ, რომ ეროვნულ ჩემპიონატებში ბოლოდროინდელი წარუმატებლობები დროებითი მოვლენაა. ფრანგები ჩემპიონატში მეცხრე ადგილზე არიან. „ოსერთან" დამარცხების შემდეგ გულშემატკივრები როლან კურბისის გადაყენებას ითხოვენ. „ლაციო" გასულ უქმეებზე დედაქალაქურ დერბიში „რომასთან" სამარცხვინოდ დამარცხდა. მარსელში ჩასულ სვენ გორან ერიკსონს უთქვამს: „რომასთან" წაგების შემდეგ საშინლად გვლანძღავენ. მეშინია, ამგვარმა კრიტიკამ ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენა არ დაუკარგოს". როგორც მატჩის შედეგიდან ჩანს, იტალიელებმა გულშემატკივართა სიყვარული დაიბრუნეს, კურბისს კი მრავალი შეურაცხმყოფელი სიტყვების მოსმენა მოუწევს.

ანგარიში 64-ე წუთზე გაიხსნა. ჯუზეპე პანკარომ საკმაოდ გრძელი და, რაც მთავარია, ზუსტი პასი გაუკეთა დეიან სტანკოვიჩს. იუგოსლაველმაც თანაგუნდელები არ გააწბილა და თავურით გაიტანა. თოთხმეტი წუთის შემდეგ მასპინძლებმა უხეში შეცდომა დაუშვეს. მარსელო სალასი და სერჟიო კონსეისაო მეტოქის საჯარიმოში შეიჭრნენ. ფრანგთაგან სტეფან პორატოს გარდა იქ არავინ იმყოფებოდა, მეკარემ სალასისკენ გაიწია. ჩილელმაც არ გარისკა და კონსეისაოს მიაწოდა, პორტუგალიელმაც ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

კონსეისაოს პირველ ტაიმშიც ჰქონდა ორი ხელსაყრელი მომენტი. მე-16 წუთზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ფეხბურთელის დარტყმული პორატომ ფეხით მოიგერია. შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე, პორტუგალიელმა შორეულ ძელს ოდნავ ააცილა.

სახიფათოდ უტევდა „მარსელიც". მე-6 წუთზე სტეფან დალმას ჩაწოდებული კაბა დიავარამ მარკეჯანის კარისკენ ზუსტად გადაგზავნა, მაგრამ გვერდით მსაჯს ალამი უკვე აწეული ჰქონდა. ფრანგი თამაშგარე მდგომარეობაში იყო. დიავარა ლიგის წინა შეხვედრაში ხორვატული „კროაციას" წინააღმდეგ თამაშობდა. მაშინ მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და გოლიც შეაგდო. ფეხბურთელმა თქვა, იმედი მაქვს, ძირითად შემადგენლობაში ადგილს დავიმკვიდრებო. კურბისმაც „ლაციოსთან" მატჩში თავიდანვე შეიყვანა. თუმცა დიავარას აქტიურობას შედეგი არ მოუტანია და იგი რავანელიმ შეცვალა. ჭაღარა იტალიელს მონდომება არ აკლდა. მით უმეტეს, მას თანამემამულეთათვის საკუთარი ძალის კიდევ ერთხელ ჩვენება სურდა. რავანელის გარჯაც ამაო გამოდგა. კარგად დაიწყეს თამაში დალმამ და ლუქსენმაც, თუმცა მეორე ტაიმში მთელი მათი გუნდი რიტმიდან იყო ამოვარდნილი.

მატჩის მიწურულს იტალიელებმა უხეში შეცდომა დაუშვეს. „მარსელი" გაააფთრებით უტევდა, თუმცა მათ დროის სიმცირის გამო რაიმეს შეცვლა არ შეეძლოთ. ამ პერიოდში სტუმრებმა ყვითელი ბარათების მთელი თაიგული დაიმსახურეს. მომდევნო თამაშში „ჩელსის" წინააღმდეგ „ლაციოს" სტანკოვიჩი, პანკარო და მიხაილოვიჩი არ ეყოლება.

მიუხედავად ამისა, ერიკსონი აღფრთოვანებული დარჩა: „ბრწყინვალედ ვითამაშეთ და სტარტზევე სამი ქულა ავიღეთ. ჩვენ უძლიერესი გუნდი გვყავს. ვფიქრობ, ყველა დარწმუნდა, „რომასთან" დამარცხება შემთხვევითობა იყო".



მარსელი — ლაციო 0:2. მარსელელი იანიკ ფიშერი (მარცხნივ), რომაელი მარსელო სალასის წინააღმდეგ

### ჩელსი 3:1 ფეიენოორდი

1:0 ბაბაიარო (45), 2:0, 3:0 ფლო (67, 86), 3:1 ხულიო კრუზი (90)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, პეტრესკუ, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, დეშამპი (დალა ბონა 88), უაიზი, პოიეტი (დი მატეო 88), ძოლა, ფლო
ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელ[illegible]ონტერმანი, ბოსველტი, ვან ფოსენი (სამარეჯიჩი 60), [illegible]ესერი, ვან ვონდერენი, კალუ, დალ ტომასონი (ხულიო კრუზი 58), ვან გასტელი, სომალია
მსაჯი: ხ. გარსია არანდა (ესპანეთი)

ოთხშაბათს გამართული მატჩებიდან, ყველაზე ნაკლები ინტრიგა ამ თამაშს ჰქონდა. „ჩელსი" აშკარა ფავორიტად ითვლებოდა და თავის ქომაგებს იმედიც გაუმართლა. შეხვედრა ცალკარას ჰგავდა, თუმცა პირველი გოლი მხოლოდ 45-ე წუთზე გავიდა. ძალთა თანაფარდობას სტატისტიკაც ასახავს. პირველ ტაიმში მასპინძლებმა კუთხური თოთხმეტჯერ მოაწოდეს, სტუმრებმა — მხოლოდ ერთხელ. ლონდონელებმა გოლი მეცამეტე კუთხურიდან შეაგდეს. ბურთი ჩვეულებისამებრ კაპიტანმა დენის უაიზმა ჩააწოდა. მას რუმინელი დან პეტრესკუ დახვდა და ნიგერიელ სელესტინ ბაბაიაროს გადასცა, ამ უკანასკნელმა „ჩელსი" დააწინაურა. მეორე ტაიმში ტორე ანდრე ფლოს რიგიც დადგა. 67-ე წუთზე ბაბაიაროს დარტყმული ძელს მოხვდა. ახლეტილ ბურთთან პირველი ფლო მიიჭრა და ანგარიში ორამდე გაზარდა, ხოლო 86-ე წუთზე, ნორვეგიელს ასისტენტობა ჯანფრანკო ძოლამ გაუწია. მსაჯის საფინალო სასტვენის წინ არგენტინელმა ხულიო კრუზმა ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა. თუმცა გატანილ გოლში კრუზზე მეტად მარსელ დესაის მოუქნელის ბრალი. მან საკუთარ საჯარიმოსთან უხეში შეცდომა დაუშვა.

„ჩელსის" კიდევ არაერთი შანსი ჰქონდა. კარგი მომენტები გააფუჭეს გუსტავო პოიეტმა, პეტრესკუმ, ძოლამ, იმავე ფლომ. ფაქტობრივად, თითოეულმა ლონდონელმა ფეხბურთელმა შექმნა საგოლე მომენტები. ჰოლანდიელთა სლოვაკ მეკარე დუდეკს უდიდესი ჯაფა დაადგა და რამდენჯერმე რთული ბურთიც მოიგერია. მისი კოლეგა, ედ დე გუი კი უფრო მშვიდად იყო. ადრე ეს მეკარე სწორედ „ფეიენოორდის" ღირსებას იცავდა და კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო.

მატჩის შემდეგ სტუმართა მხცოვან მწვრთნელ ლეო ბეენჰაკერს იმედის ნატამალიც არ შერჩენოდა: „ჩვენ არანაირი შანსი არ გვქონდა. „ჩელსი" საუკეთესოდ თამაშობდა და დამსახურებულად მოგვიგო".

იტალიელ ჯანლუკა ვიალის კი დასამწუხრებელი არაფერი ჰქონდა: „დღეს კმაყოფილი ვარ. ყველაფერი გამოგვდიოდა. ახლა მთავარია, ეს დონე შევინარჩუნოთ. სხვანაირად „ლაციოს" და „მარსელის" დამარცხება გაგვიჭირდება".

აღსანიშნავია, რომ „ჩელსის" საკუთარ მინდორზე ზედიზედ 32 თამაში არ წაუგია.

*II ტური. 7 დეკემბერი: ფეიენოორდი — მარსელი; ლაციო — ჩელსი*

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | | 22.III | 3:1 | 8.III | 3:1 | 3 |
| 2 | ლაციო | 7.XII | | 29.II | 14.III | 2:0 | 3 |
| 3 | ფეიენოორდი | 14.III | 8.III | | 7.XII | 1:3 | 0 |
| 4 | მარსელი | 29.II | 0:2 | 22.III | | 0:2 | 0 |

# ფული, ფული და ფული

## დელ პიერო ერთ მატჩში საშუალოდ 90 ათას გირვანქას იღებს



ალესანდრო დელ პიეროს (№10) ფეხბურთელთა შორის ყველაზე მაღალი ანაზღაურება აქვს



სტივ მაკმანამანი



პატრიკ კლუივერტი

## ყველაზე დიდხელფასიანები

### იტალია

| | | |
|---|---|---|
| ალესანდრო დელ პიერო | (იუვენტუსი) | 69 230 |
| კრისტიან ვიერი | (ინტერი) | 55 769 |
| რონალდო | (ინტერი) | 50 000 |
| ხუან ვერონი | (ლაციო) | 48 076 |
| ფილიპო ინძაგი | (იუვენტუსი) | 41 208 |
| ალესანდრო ნესტა | (ლაციო) | 40 384 |
| გაბრიელ ბატისტუტა | (ფიორენტინა) | 34 615 |
| რობერტო ბაჯო | (ინტერი) | 34 340 |
| ჟორჟ ვეა | (მილანი) | 34 340 |
| პაველ ნედვედი | (ლაციო) | 32 692 |
| ოლივერ ბირჰოფი | (მილანი) | 26 923 |
| ფრანჩესკო ტოტი | (რომა) | 26 923 |
| ედგარ დავიდსი | (იუვენტუსი) | 26 923 |
| ზინედინ ზიდანი | (იუვენტუსი) | 25 000 |
| პაოლო მალდინი | (მილანი) | 23 076 |

### ინგლისი

| | | |
|---|---|---|
| ალან შირერი | (ნიუკასლი) | 28 000 |
| მაიკლ ოუენი | (ლივერპული) | 24 000 |
| დანკან ფერგიუსონი | (ნიუკასლი) | 21 000 |
| კრის სატონი | (ჩელსი) | 21 000 |
| მარსელ დესაი | (ჩელსი) | 20 000 |
| ნვანკვო კანუ | (არსენალი) | 20 000 |
| პატრიკ ვიეირა | (არსენალი) | 20 000 |
| ემანუელ პეტი | (არსენალი) | 20 000 |
| დევიდ ბექემი | (მანჩესტერი) | 17 500 |
| როი კინი | (მანჩესტერი) | 17 500 |
| რაიან გიგზი | (მანჩესტერი) | 17 500 |
| დავიდ ჟინოლა | (ტოტენჰემი) | 14 000 |
| დიონ დაბლინი | (ასტონ ვილა) | 14 000 |
| ლეს ფერდინანდი | (ტოტენჰემი) | 14 000 |

### გერმანია

| | | |
|---|---|---|
| შტეფან ეფენბერგი | (ბაიერნი) | 48 076 |
| კრასიმირ ბალაკოვი | (შტუტგარტი) | 48 076 |
| ჯოვანი ელბერი | (ბაიერნი) | 32 692 |
| ანდრეას მიოლერი | (დორტმუნდი) | 30 769 |
| ზე რობერტო | (ლევერკუზენი) | 28 846 |
| ფრედი ბობიჩი | (დორტმუნდი) | 25 000 |
| ჩირიაკო სფორცა | (კაიზერსლაუტერნი) | 25 000 |
| იური ჯორკაეფი | (კაიზერსლაუტერნი) | 23 076 |
| ვიქტორ იკპება | (დორტმუნდი) | 21 153 |
| დარიუშ ვოში | (ჰერტა) | 21 153 |

### ესპანეთი

| | | |
|---|---|---|
| სტივ მაკმანამანი | (რეალი) | 65 384 |
| პატრიკ კლუივერტი | (ბარსელონა) | 57 692 |
| ნიკოლა ანელკა | (რეალი) | 55 769 |
| ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი | (ატლეტიკო) | 44 230 |
| რობერტო კარლოსი | (რეალი) | 40 000 |
| რაული | (რეალი) | 40 000 |
| იარი ლიტმანენი | (ბარსელონა) | 38 461 |
| რონალდ დე ბური | (ბარსელონა) | 25 000 |
| ფრენკ დე ბური | (ბარსელონა) | 25 000 |
| რივალდო | (ბარსელონა) | 25 000 |
| ლუიშ ფიგუ | (ბარსელონა) | 25 000 |

### საფრანგეთი

| | | |
|---|---|---|
| ფაბიენ ბარტეზი | (მონაკო) | 42 307 |
| სონი ანდერსონი | (ლიონი) | 26 923 |
| რობერ პირესი | (მარსელი) | 26 923 |
| მარკო სიმონე | (მონაკო) | 23 076 |
| ფაბრიციო რავანელი | (მარსელი) | 23 076 |
| ალი ბენარბია | (პარი სენ ჟერნენი) | 23 076 |
| ტონი ვერელი | (ლიონი) | 21 153 |
| ჯეი-ჯეი ოკოჩა | (პარი სენ ჟერმენი) | 19 230 |
| ფლორიან მორისი | (მარსელი) | 19 230 |
| ბერნარ ლამა | (პარი სენ ჟერმენი) | 17 307 |

*თანხები მოცემულია ინგლისურ გირვანქებში (1£–1,6$) და გახლავთ ფეხბურთელების ერთი კვირის გასამრჯელო, გადასახადების გადახდის შემდეგ. აქ არ იგულისხმება სარეკლამო შემოსავალი, პრემიები და ა. შ.*

მთავარია თუ არა ფული ცხოვრებაში? ეს მარადიული კითხვა კაცობრიობას, ალბათ, მანამ შეაწუხებს, სანამ დედამიწა იარსებებს, ანაც კომუნიზმი დამყარდება. ასეა, ვისთვის ფულია ყველაფერი, ვისთვის კიდევ იდეა, ან სხვა რაღაც-რაღაცეები. ამათ ერთმანეთისა არასოდეს ესმით და სულელებიც კი ჰგონიათ ერთურთი, თუმცა...

ევროპული ფეხბურთი რომ სხვადასხვა კუპიურებით გაბერილ ტომარას დაემსგავსა, ესეც ნაღდია. ხარისხიანი მასალით არის თუ არა შეკერილი ეს ტომარა, რამდენს გაუძლებს? ემანდ ერთხელაც არ გასკდეს და ყველაფერი ქარმა არ წაიღოსო, ავი ენებისგან გაიგონებთ. თუმცა, რა და როგორ იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს. ჩვენ კი საფინანსო ექსპერტობის არც პრეტენზია გვაქვს და, სიმართლე რომ ითქვას, არც სურვილი. უბრალოდ, გვინდა წარმოგიდგინოთ ჟურნალ „უორლდ სოკერში“ გამოქვეყნებული ყველაზე დიდხელფასიანი ფეხბურთელების სია. აღმოჩნდა, რომ ასეთებში პირველი იტალიური „იუვენტუსის“ ვარსკვლავი ალესანდრო დელ პიეროა, მეორე-მადრიდის „რეალის“ ინგლისელი სტივ მაკმანამანი, მესამე — „ბარსელონას“ ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტი. დელ პიერო კვირაში 69 ათას გირვანქაზე მეტს იღებს, რაც დაახლოებით 110 ათასი ამერიკული დოლარია (220 ათასი ჩვენებური ლარი). იცით, რამდენს უხდიან კვირაში საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს? გამოვთვალეთ და დაახლოებით 16 გირვანქა მივიღეთ. ისიც ხანდახან დაგვიანებით. თუმცა, სულ არარაობას... ახლა რა გამოდის, დელ პიეროს საშუალო ქართველ ფეხბურთელზე 4300-ჯერ მეტი ხელფასი აქვს... მერედა, არის კი მათ შორის ამხელა სხვაობა? იმათ რომ ჰკითხოთ, არის, ამათ კი... ამათსას რას გაიგებ...

მაგრამ დავანებოთ თავი უსარგებლო ლაპარაკს. სჯობს, ისევ რეალურ სამყაროს, „უორლდ სოკერის“ მონაცემებსა და ყბადაღებულ ფულის ტომარას დავუბრუნდეთ. დელ პიეროს ახალი კონტრაქტი ხუთწლიანია და 2004 წლის 30 ივნისამდე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელი 37 მილიონ გირვანქას მიიღებს. გადასახადების გადახდის შემდეგ ამ თანხიდან 18 მილიონი დარჩება. ანუ ეს არის ის სუფთა ფული, რომელსაც დელ პიერო ჩაიჯიბავს. გამოდის, მოთამაშეს წელიწადში 3,6 მილიონ გირვანქას (კვირაში 69 230) გადაუხდიან. თუ გავითვალისწინებთ, რომ სეზონში დაახლოებით ორმოც თამაშს ატარებს, ერთი მატჩის ანაზღაურება საშუალოდ 90 ათასი გამოვა. ამას დაამატეთ ის 3,3 მილიონი, რომელსაც დელ პიერო სარეკლამო თუ კომერციული რეკლამებიდან იღებს. არადა, არ იკითხავთ, ვისთან აქვს ფეხბურთელს ხელშეკრულებები? „კოკა კოლასთან“, „ადიდასთან“, „უოლტ დისნეისთან“... ალბათ, კმარა.

ახალი კონტრაქტის პირობებს „იუვენტუსის“ საპატიო პრეზიდენტი ჯანი ანიელი ხელმძღვანელობდა და ვარსკვლავის ჯამაგირიც თავად განსაზღვრა. დელ პიერო კი ერთობ გაუკვირვებია თავისი პირველობის ცნობას: „მართალი გითხრათ, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ყველაზე დიდხელფასიანი მოთამაშე გავხდებოდი. იმიტომ, რომ სხვის ჯიბეში არასოდეს ვიცქირები და არ ვიცი, რამდენს იღებენ ჩემი მეგობრები. ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერი კონტრაქტი, კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით ფორმდება და რამდენიმე წელიწადში ის, შესაძლოა, ახლოსაც ვერ მივიდეს ახლებთან“ — ამბობს დელ პიერო. და მართლაც, ვინ იცის, რა იქნება ორი-სამი წლის შემდეგ? ერთი ნათელია, ეტყობა, „იუვეს“ ძალიან სჭირდება დელ პიერო. სხვა რა შეიძლება ვთქვათ, კონტრაქტი იმ დროს გაუფორმეს, როცა მოთამაშე მძიმედ იყო დაშავებული, ამდენად, მისი მომავალიც გაურკვეველი გახლდათ. დელ პიერო 1998 წლის ნოემბერში „უდინეზესთან“ მატჩში დაშავდა და მას მერე ხეირიანად აღარც უთამაშია. თანაც, „იუვენტუსისთვის“ სახელებს მნიშვნელობა არ აქვს. გაიხსენეთ, როგორი ფეხბურთელები გაყიდეს ბოლო წლებში: ჯანლუკა ვიალი, რობერტო ბაჯო, კრისტიან ვიერი, ალენ ბოკშიჩი, ფაბრიციო რავანელი... აქ გადამწყვეტი, ალბათ, დელ პიეროს ახალგაზრდული ასაკი აღმოჩნდა. 9 ნოემბერს მას 25 წელი შეუსრულდა და ჯერ ყველაფერი წინ აქვს. თანაც, „იუვეს“ ქომაგებისთვის ალესანდრო უსაყვარლესი კაცია და ანიელის მის გაყიდვას კარგა ხანს არ აპატიებდნენ.

„იუვენტუსსა“ და დელ პიეროს შორის ერთი ასეთი შეთანხმებაც არსებობს. კლუბს უფლება აქვს, ფეხბურთელის გამოსახულება საკუთარი სარეკლამო საქმიანობისთვის გამოიყენოს. აქაც მოგების დაახლოებით ხუთი პროცენტი მოთამაშეს ეკუთვნის, ერთიც მის აგენტს.

ერთი სიტყვით, ყველგან ფულია, მაგრამ როცა ჩამონათვალს გაეცნობით, ბუნებრივია, იკითხავთ, რატომ უნდა ჰქონდეს, მაგალითად, ანელკას რივალდოზე ან ფიგუზე ორჯერ მეტი, ან სატონს ბექემზე მაღალი ჯამაგირი? აი, აქ ჩვენმა ფეხბურთელებმა შეიძლება თავი დაიმშვიდონ. გამოდის, ხელფასი მთლად ვერ ასახავს მოთამაშეთა კლასსა და დონეს. ამიტომ მათსა და დელ პიეროს შორის არსებული „დეფიციტში გარღვევაც“ პირობითი ყოფილა. ვითომ ასეა?..

ბოლოს კი ისევ კაცობრიობის მარადიული კითხვა გავიხსენოთ და ამის თაობაზე „იუვეს“ მეათე ნომერს მოვუსმინოთ: „ფული ცხოვრებას გიადვილებს და ამიტომაა აუცილებელი. მაგრამ, სამწუხაროდ, გაცილებით მნიშვნელოვანი რაღაცეებიც არსებობს, რომლებსაც ფულით ვერ იყიდი...“

ახლა კი, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნით ფულთან მიმართებაში, თავად განსაზღვრეთ, როგორი კაცია დელ პიერო და ეკუთვნის თუ არა ამხელა ჯამაგირი.

**სოლომონ გულისაშვილი**

# გვსურს ევროპაშიც ვიბატონოთ

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ფიორენტინასთან“ წააგო. ტრაგედია, ცხადია, არ მომხდარა, მაგრამ... ადრე „ჩელსისთანაც“ დამარცხდა 0:5. ტრაგედია არც ეს ყოფილა, მაგრამ... იქ, „მარსელმაც“ მოუგო... დიდი გუნდის დიდებული გარემარბი, რაიან გიგზი ამტკიცებს, რომ ის და მისი თანაგუნდელები გამარჯვებებს უწინდელივით მონწყურებულნი არიან.



რაიან გიგზი (№11) და გაბრიელ ბატისტუტა

**— „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა თასის მფლობელია, მაგრამ გასულ სეზონთან შედარებით არათანაბრად თამაშობს...**

— ისევე, როგორც გასულ სეზონში, ახლაც ყოველ შეხვედრაში მოედანზე მხოლოდ ერთი მიზნით, მოსაგებად გავდივართ. მართალია ჩემპიონთა თასის შეხვედრებში ჯერჯერობით საუკეთესო ფეხბურთს ვერ ვაჩვენებთ, მაგრამ ეს შეიძლება სახის ცვლასაც მივაწეროთ. გასული სეზონის წარმატებათა შემდეგ ახალი შეჯიბრებები ცუდად არ დაგვიწყია.

**— ევროშეჯიბრება პრემიერლიგაზე მნიშვნელოვანია?**

— ჩემი აზრით, პრემიერლიგა პრიორიტეტულად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ევროპაზე გაცილებით წინაც არ გვმართებს მისი დაყენება. უპირატესობა ოდნავი უნდა იყოს. როგორც დამტკიცდა, ყოველი საერთაშორისო მატჩი პრემიერლიგის საუკეთესო გუნდებთან თამაშის ტოლფასია. ახალი წესების თანახმად, თითოეულ ქვეყანას რამდენიმე გუნდი გაჰყავს შეჯიბრებაში, ზოგს სამიც კი, მაგრამ უფსკრულის პირას ყოფნას თავი რომ აარიდო, ჯობს ჩემპიონი გახდე და ისე მოხვდე იქ.

**— ძნელია 90-იან წლებში მოპოვებული წარმატებების ზიდვა?**

— ადამიანს გონებაში ყოველთვის წარმატების მიღწევა გიტრიალებს, მაგრამ ცხოვრება გართულდა. ჩემპიონთა ლიგაში გუნდების რაოდენობა გაზარდეს, რაც თამაშების რაოდენობის გაზრდას ნიშნავდა. იმავდროულად იმატა შინაურმა ზეწოლამაც და გამოვიდა, რომ ყოველ კვირაში ორი ან სამი რთული მატჩის ჩატარება გვიწევს. ასეთი კალენდარი დიდძალ ენერგიას ითხოვს. ამიტომაც არის, რომ ბევრი გუნდი შემადგენლობებს ატრიალებს. ყველა შეხვედრის ერთი და იმავე თერთმეტი ფეხბურთელით ჩატარება გამორიცხულია.

**— რასაკვირველია „იუნაიტედსაც“ ბევრი ფეხბურთელი ჰყავს.**

— ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ მაღალი კლასის მოთამაშეები გვყავს. „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეუძლია შემადგენლობა ცვალოს და ამით მოედანზე ფეხბურთელთა ურთიერთგაგებას ფაქტობრივად ზარალი არ მიაყენოს. ამ მხრივ ბევრ გუნდს პრობლემა აქვს, ოღონდ ჩვენ, ხანდახან, იღბალი აგვერევა ხოლმე. ხომ გახსოვთ „ჩელსისთან“ რა ბედი გვეწია.

**— ჩემპიონთა თასის მოპოვების შემდეგ გამარჯვებათა წყურვილი ხომ არ დაგიოკდათ? ფერგიუსონი ძველებურად შემართებულია?**

— მოტივაცია ძველებურია და ამაში ეჭვი არ მეპარება. რა პრობლემა იყო მისთვის თანამდებობიდან გადადგომა? აი, ამ სიმაღლეზე ადგილის შენარჩუნება და აღმასვლის გაგრძელება კი ნამდვილად ღირსეული ამოცანაა. არა, ფერგიუსონში გასულ სეზონთან შედარებით ცვლილება არ მომხდარა. პირიქით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ის კიდევ უფრო მონდომებული გახლავთ.

**— მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ ამხელა წარმატების შემდეგ მოტივაცია არ დაგიკარგავთ. სამი ჯილდოს ერთდროულად მოპოვების შემდეგ ახალი სეზონის დაწყება არ გაგიჭირდათ?**

— ძნელი იყო. ასეთი დასაწყისი არც მახსოვს, ვინაიდან ერთი მხრივ გასული სეზონის ამბები, ხოლო მეორე მხრივ ჩემპიონთა ლიგაში თამაშების რაოდენობის გაზრდამ თამაშობდა როლს. პლუს, ბევრი ფეხბურთელი დაშავებული იყო, მაგრამ მაინც წარმატებათა მოპოვება ჩვეულებრივ გვინდა. როგორც მწვრთნელს, ასევე ფეხბურთელებს გვსურს ისევე ვიბატონოთ ევროპაში, როგორც ინგლისში ვბატონობთ. თუ რაიმე მიზანი არსებობს, სწორედ ესაა.

**— რაიან, უცხოეთში წასვლაზე რას ფიქრობთ? „იუნაიტედში“ მიღწეული დიდი შედეგების შემდეგ, იქნებ რაღაც ახალი გენახათ?**

— დღეს არა. ჯერ „იუნაიტედთან“ კონტრაქტით განსაზღვრული სამი წელიწადი მაკავშირებს, მერე კი ვინ იცის. თუ ამ სამ წელიწადში ევროპის ჩემპიონთა თასი ისევ მოვიპოვეთ, იქნებ მართლაც დამჭირდეს რაიმე სიახლე.

**— კონტრაქტის ვადა რომ ამოგეწურებათ ბოსმანურად ხომ არ წახვალთ?**

— დღეს საქმე ისეა, რომ ხელშეკრულებები არაფერს ნიშნავს. ხომ ხედავთ, ხალხი კონტრაქტის შუაში სტოვებს გუნდებს, მაგრამ ჩემთვის „მანჩესტერ იუნაიტედი“ იმდენს ნიშნავს, რომ როცა საქმე საქმეზე მიდგება, სიკეთეს სიკეთით ვუპასუხებ.

**— და როი კინი დარჩება?**

— მე მასთან არ მილაპარაკია და ვგონებ, რას აპირებს მარტო როიმ იცის. ყველას იმედი აქვს, რომ დარჩება, იმიტომ, რომ ის დიდებული ფეხბურთელია და დიდებული ბიჭიც გახლავთ. თუ წავა, ვეება სიცარიელე დაგვრჩება შესავსებად, თუმცა გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ბოლოს და ბოლოს ერიკ კანტონა შევცვალეთ.

365-დან
თარგმნა
**მიხეილ სურგულაძემ**



დევიდ ბექემი



ალბერტ აინშტაინი

# დევიდ ბექემი და ალბერტ აინშტაინი

დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰოვარდ გარდნერმა ბრძანა, რომ დევიდ ბექემს სრულიად შესაძლებელია ალბერტ აინშტაინის დარი ინტელექტი ჰქონდეს...

მაშ ასე, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავს, რომელსაც ხალხის სიყვარული უპირატესად ბურთის საჯარიმოში მოხერხებულად ჩაკიდებისთვის მოუპოვებია, მეოცე საუკუნის უდიდეს მოაზროვნეებს უტოლებენ და ამას აკეთებს მეცნიერი, რომელიც 15 წელიწადზე მეტია ინტელექტთა შესწავლას ემსახურება. მრავალსახა ინტელექტის თეორიის განვითარებაში ჰოვარდ გარდნერს დიდი წვლილი მიუძღვის.

თეორია ღაღადებს, რომ არსებობს ინტელექტის სულ მცირე რვა კატეგორია, მათემატიკურით დაწყებული მუსიკალურით დამთავრებული. შესაბამისად, საერთო კოეფიციენტის გამოყვანა მცდარია. ხალხი შეიძლება იყოს ემოციურად ინტელექტუალური, ლოგიკურად ინტელექტუალური, მათემატიკურად ინტელექტუალური ან მუსიკალურად ინტელექტუალური.

ასეთი თეორია ეგრეთ წოდებული სხეულისმიერი ინტელექტის ცნების შემოღების საშუალებას იძლევა და თუ ეს ასეა, მაშინ ამ კატეგორიაში ბექემი შეიძლება გაუტოლდეს ლოგიკური ინტელექტის კატეგორიის წარმომადგენელ აინშტაინს.

ბექემს საკუთარი სხეულის კონტროლის უნარი აქვს და თან იმდენად განვითარებული, რომ პროფესორ გარდნერის აზრით, იგი უტოლდება აინშტაინის სამყაროს აღქმისა და მეცნიერულად შეფასების უნარს.

მაგრამ ბექემის სამწუხაროდ მრავალსახა ინტელექტის თეორიას ყველა არ იზიარებს. ბევრისთვის ინტელექტი კვლავაც პრობლემათა ამოხსნის უნარს ნიშნავს და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ დევიდი, მისი თანამემამულე ჟურნალისტების აზრით, კლასიფიკაციაში ადგილს აინშტაინისგან მეტისმეტად შორს, სადღაც ბოლოში მყარად ინარჩუნებს.

# რეკორდი, რომლის გაუმჯობესება შეუძლებელია

რეკორდები ფეხბურთშიც არსებობს. აი, მათგან ბოლო: ინგლისის მესამე დივიზიონში, „სუონსისა“ და „დარლინგტონის“ შეხვედრაში, „სუონსის“ იამაიკელი თავდამსხმელი, უოლტერ ბოიდი მოედანზე შესვლიდან ნულ (0) წამში გააძევეს.

ბოიდმა თანაგუნდელი შეხვედრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე შეცვალა. მსაჯს, კლაივ უილკისს ის-ის იყო უნდა ჩაესტვინა და ფეხბურთელთათვის თამაშის გაგრძელების ნება დაერთო — თამაში საჯარიმო დარტყმით უნდა განახლებულიყო — რომ იამაიკელი გაქანდა და დარლინგტონელ მარტინ გრეის უხეშად ეძგერა.

ამრიგად, ბოიდს შეხვედრაში ერთი წამითაც არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა ფიზიკურად მოედანზე 57 წამი დაჰყო.

„ბოიდმა ხელი გაიქნია და მეტოქეს შეეხო. ეს უხეშობად მივიჩნიე“ — განმარტა არბიტრმა უილკისმა.

ფეხბურთის სტატისტიკოსთა ასოციაციის წარმომადგენელმა, რეი სპილერმა განაცხადა: „ეს ამბავი რეკორდების წიგნში მოხვდება, როგორც მოთამაშის ნულ წამში გაძევება. მართალია, ბოიდმა მოედანზე გარკვეული დრო გაატარა, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით შეხვედრა შეჩერებული გახლდათ და მისი გაგრძელება მხოლოდ მსაჯის სასტვენის შემდეგ იყო შესაძლებელი. ვინაიდან მსაჯს არ დაუსტვენია, უნდა ჩავთვალოთ, რომ ბოიდს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია“.

მალე გაძევების უწინდელი რეკორდი „ბოლონიას“ ფეხბურთელს, ჯუზეპე ლორენცოს ეკუთვნოდა. იგი 1990 წელს, „პარმასთან“ შეხვედრაში, 10 წამში გააძევეს მოედნიდან, თუმცა ამჯერად ისეთი რეკორდი დამყარდა, რომლის გაუმჯობესება ფიზიკურადაა შეუძლებელი.

ბოიდმა „სუონსიში“ გასულ თვეში დაიწყო თამაში და ორი გოლის გატანა მოასწრო. რაც შეეხება „სუონსისა“ და „დარლინგტონის“ შეხვედრას, იგი 0:0 დასრულდა.



უოლტერ ბოიდი

# კერპთან თამაში

ფრანგმა მსოფლიოს ჩემპიონმა ზინედინ ზიდანმა და მისი ახალგაზრდობის კერპმა, ურუგვაელმა ენცო ფრანჩესკოლიმ შესაძლოა ერთად ითამაშონ „ოლიმპიკის“ ყოფილ ნახევარმცველ ბერნარ პარდოსადმი მიძღვნილ მატჩში, რომელიც 20 დეკემბერს მარსელში, „ველოდრომის“ სტადიონზე ჩატარდება. თავად წარმოიდგინეთ, ზიდანი, რომელიც მარსელშია დაბადებული, 80-იან წლებში „ველოდრომის“ სტადიონის ტრიბუნიდან იმდენად დამტკბარა იმხანად „ოლიმპიკში“ მოასპარეზე ფრანჩესკოლის თამაშის ცქერით, რომ თავისი შვილისთვის დიდი ურუგვაელის პატივსაცემად ენცო დაურქმევია. თუმც ფრანგს ბედმა გაუღიმა და მაინც მოასწრო თავისი კერპის წინააღმდეგ თამაში. ეს 1996 წელს მოხდა, როდესაც იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, საკონტინენტთაშორისო თასის შეხვედრაში, ერთმანეთს ჩემპიონთა თასის იმჟამინდელი მფლობელი — ტურინის „იუვენტუსი“ და სამხრეთ ამერიკის კლუბთა ჩემპიონი — არგენტინული „რივერ პლეიტი“ ხვდებოდნენ. ძნელი მისახვედრი არ გახლავთ, რომ ზიდანი „იუვენტუსის“ რიგებს იცავდა, ხოლო ფრანჩესკოლი — „რივერ პლეიტისას“. იმ შეხვედრაში ევროპელებმა იმარჯვეს, 1:0 დაამარცხეს მეტოქე.

20 დეკემბერს გასამართ მატჩში ერთმანეთის წინააღმდეგ მარსელის „ოლიმპიკი“ (უმეტესწილად ყოფილი ფეხბურთელები) და მსოფლიოს ნაკრები წარდგებიან. მონაწილეთა შორის ისეთი დიდი ფეხბურთელები სახელდებიან, როგორიც ერიკ კანტონა, ჟან ტიგანა, ემილიო ბუტრაგენიო, კრის უოდლი, ჟან-პიერ პაპენი იყვნენ, თანამედროვე ფეხბურთის წარმომადგენლებიდან მაყურებელი ალენ ბოკშიჩს, მარსელ დესაის, ლორან ბლანსა და ფაბიენ ბარტეზს იხილავს.

**ვაჟა ლომიძე**

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 040 | ულმი — შალკე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 041 | ფრაიბურგი — შტუტგარტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 27 ნოემბერი | | | |
| 042 | ვოლფსბურგი — ჰერტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 043 | არმინია — ლევერკუზენი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 044 | ჰანზა — უნტერჰახინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 045 | მიუნხენი — ბაიერნი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 046 | ვერდერი — ჰამბურგი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 047 | აინტრახტი — კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 048 | დორტმუნდი — დუისბურგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 049 | კიოლნი — ჰანოვერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 050 | კოტბუსი — ალემანია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 051 | კიკერსი — მაინცი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 27 ნოემბერი | | | |
| 052 | ბოხუმი — ფორტუნა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 053 | ზანქტ პაული — კარლსრუე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 054 | მიონხენგლადბახი — ვალდჰოფი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 055 | ბერლინი — ოფენბახი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 056 | ობერჰაუზენი — ქემნიცი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 29 ნოემბერი | | | |
| 057 | ფიურტი — ნიურნბერგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 058 | ქოვენთრი — ლესტერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 059 | ევერტონი — ასტონ ვილა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 060 | მიდლსბრო — უიმბლდონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 061 | უოტფორდი — სანდერლენდი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 062 | ვესტ ჰემი — ლივერპული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 063 | ლიდსი — საუთჰემპტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 064 | ნიუკასლი — ტოტენჰემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 065 | არსენალი — დერბი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 066 | ჩელსი — ბრედფორდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 067 | უოლსოლი — ფულემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 27 ნოემბერი | | | |
| 068 | ბირმინგემი — სუინდონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 069 | ბლექბერნი — სტოკპორტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 070 | ჩარლტონი — პორტ ვეილი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 071 | კრისტალ პალასი — ნოტინგემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 072 | იფსვიჩი — ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 073 | მანჩესტერ სიტი — ჰადერსფილდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 074 | პორტსმუთი — ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 075 | ქუინზ პარკი — ბარნსლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 076 | ტრანმერი — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 077 | ვესტ ბრომვიჩი — შეფილდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 078 | გრიმსბი — ნორვიჩი (17$^{00}$) | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 079 | ბლეკპული — კემბრიჯი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 080 | ბორნმუთი — მილუოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 081 | როვერსი — ლუტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 082 | ბერი — პრესტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 083 | კარდიფი — ჯილინგემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 084 | ჩესტერფილდი — ოქსფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 085 | ნოტსი — ბრისტოლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 086 | ოლდემი — რექსემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 087 | რედინგი — სკანთორპი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 088 | სტოკი — კოლჩესტერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 089 | უიგანი — ბარნლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 090 | უიკომბი — ბრენტფორდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 091 | ბრაიტონი — ნორთჰემპტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 092 | კარლაისლი — როტერჰემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 093 | ჩელტენემი — ლეიტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 094 | ჩესტერი — სუონსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 095 | ექსეტერი — ტორკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 096 | ჰალიფაქსი — მენსფილდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 097 | ლინკოლნი — როჩდეილი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 098 | მაკლსფილდი — ჰარტლპული | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 099 | პიტერბრო — ბარნეტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 100 | შრიუსბერი — ჰალი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 101 | საუთენდი — დარლინგტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 102 | იორკი — პლიმუთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 103 | ნანსი — მარსელი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| 104 | ლე ავრი — მონაკო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 105 | სენტ ეტიენი — სტრასბური | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 106 | მონპელიე — პსჟ | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 107 | ტრუა — მეცი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 108 | რენი — ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 109 | სედანი — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 110 | ლანსი — ბორდო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 111 | ბასტია — ლიონი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### იტალია. სერია A. XI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 112 | პიაჩენცა — ვერონა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 113 | ბოლონია — ფიორენტინა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 114 | კალიარი — ბარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 115 | ლეჩე — ვენეცია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 116 | მილანი — პარმა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 117 | რეჯინა — ინტერი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| 118 | ტორინო — პერუჯა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 119 | უდინეზე — რომა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 120 | ლაციო — იუვენტუსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### იტალია. სერია B. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 121 | ატალანტა — ჯენოა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 122 | ბრეშა — ვიჩენცა | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 123 | კიევო — ჩეზენა | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 124 | კოზენცა — ნაპოლი | 2,8 | 2,6 | 2,5 |
| 125 | ემპოლი — სალერნიტანა | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 126 | ფერმანა — მონცა | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 127 | რავენა — ტერნანა | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 128 | სამპდორია — ტრევიზო | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 129 | სავოია — პესკარა | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| | 29 ნოემბერი | | | |
| 130 | პისტოიეზე — ალძანო | 2,5 | 2,6 | 2,8 |

### იტალია. სერია C1/A. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 ნოემბერი | | | |
| 131 | ლეკო — კრემონეზე | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 132 | ლივორნო — ლუკეზე | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 133 | ლუმეცანე — ჩიტადელა | 2,7 | 2,6 | 2,6 |
| 134 | მონტევარკი — კარარეზე | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 135 | რეჯანა — კომო | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 136 | სანდონა — პიზა | 3,8 | 2,6 | 2,0 |
| 137 | სიენა — მოდენა | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 138 | სპალ — ბრეშელო | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 139 | ვარეზე — ალბინოლეფე | 1,9 | 2,6 | 4,2 |

### იტალია. სერია C1/B. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 ნოემბერი | | | |
| 140 | არეცო — ატლეტიკო | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 141 | აველინო — გუალდო | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 142 | დი სანგრო — პალერმო | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 143 | კატანია — ასკოლი | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 144 | კროტონე — ბენევენტო | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 145 | ჯულიანოვა — ნოჩერინა | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 146 | სტაბია — ვიტერბეზე | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 147 | ლოდიჯანი — ფ. ანდრია | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 148 | მარსალა — ანკონა | 4,0 | 2,7 | 1,9 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 155 | სევილია — მალაგა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 149 | ესპანიოლი — ალავესი | 1,2 | 2,9 | [illegible] |
| 150 | რასინგი — ბეტისი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 151 | სარაგოსა — ვალიადოლიდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 152 | სელტა — რეალი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 153 | სოსიედადი — ნუმანსია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 154 | ატლეტიკო — დეპორტივო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 156 | ოვიედო — ვალენსია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 157 | მალიორკა — ბარსელონა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 158 | რაიო ვალეკანო — ბილბაო | 2,0 | 2,9 | 3,4 |


ეროვნული ბიბლიოთეკა


### ესპანეთი. II დივიზიონი. XVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 165 | კომპოსტელა — ეიბარი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 167 | ლას პალმასი — ბადახოსი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 169 | ლეიდა — სალამანკა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 159 | უელვა — ესტრემადურა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 160 | ტოლედო — სპორტინგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 161 | მერიდა — ტენერიფე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 162 | ატლეტიკო B — ლევანტე (15$^{00}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 163 | ლეგანესი — ვილიარეალი (15$^{00}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 164 | ოსასუნა — ელჩე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 166 | კორდობა — ხეტაფე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 168 | ლოგრონიესი — ალბასეტე | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### პორტუგალია. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 170 | მარიტიმუ — ბელენენსეში | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 27 ნოემბერი | | | |
| 171 | სპორტინგი — ლეირია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 172 | ამადორა — ჟილ ვისენტე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 173 | სეტუბალი — ალვერკა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 175 | გიმარაეში — რიუ ავე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 176 | სანტა კლარა — ბრაგა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 177 | სალგეირუში — პორტუ | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 29 ნოემბერი | | | |
| 174 | ბენფიკა — კამპომაიორენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 178 | ფარენსე — ბოავიშტა | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### ჰოლანდია. XIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 179 | ჰერენვენი — კამბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 27 ნოემბერი | | | |
| 180 | სიტარდი — ნაიმეგენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 181 | ტვენტე — ტილბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 182 | ალკმაარი — აიაქსი (17$^{30}$) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 183 | გრააფსხაპი — ვიტესი (17$^{30}$) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 184 | ფეიენოორდი — პსვ (16$^{00}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 185 | ვალვაიკი — სპარტა (17$^{30}$) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 186 | უტრეხტი — დენ ბოსხი (17$^{30}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 30 ნოემბერი | | | |
| 187 | როდა — მაასტრიხტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ბელგია. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 188 | ბრიუგე — ლიერსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 27 ნოემბერი | | | |
| 189 | სენტ ტრუიდენი — ბევერენი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 190 | ლოკერენი — მუსკრონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 191 | ანდერლეხტი — გენკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 192 | მეხელენი — ვესტერლო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 193 | გეელი — ლომელი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 194 | ბეერსხოტი — შარლერუა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 195 | აალსტი — სტარდარდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 196 | ჰარელბეკე — გენტი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### საბერძნეთი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 ნოემბერი | | | |
| 197 | კალამატა — პანიონიოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 198 | პანილიაკოსი — ირაკლისი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 199 | აპოლონი — პროდეფტიკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 200 | ოლიმპიაკოსი — ეთნიკოსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 201 | კავალა — პანაჰაიკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 202 | იონიკოსი — პანათინაიკოსი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 203 | ტრიკალა — ქსანთი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 204 | არისი — პაოკ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 205 | აეკ — ოფი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ჩეხეთი. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 206 | სიგმა — ბუდეიოვიცე | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 207 | ვიკტორია — ტეპლიცე (13¹⁵) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 208 | ლიბერეცი — ბანიკი (16³⁰) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 209 | ბლშანი — ბოჰემიანსი (16³⁰) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 210 | ოპავა — იაბლონეცი (16³⁰) | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 211 | პ. კრალოვე — დუკლა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 212 | დრნოვიცე — სპარტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 29 ნოემბერი | | | |
| 213 | სლავია — ბრნო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### თურქეთი. X ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 214 | ანკარაგიუჯიუ — ბეშიქთაში | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 27 ნოემბერი | | | |
| 215 | ანთალია — ფენერბაჰჩე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 216 | ადანა — გენჩლერბირლიგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 217 | გაზიანთეფი — ვანი (15³⁰) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 218 | ისთანბული — ქოჯაელი (16⁰⁰) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 219 | ალთაი — სამსუნი (16⁰⁰) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 220 | გალათასარაი — ერზურუმი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 221 | ტრაბზონი — დენიზლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 222 | ბურსა — გიოზთეფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### შოტლანდია. XVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 223 | დანდი იუნაიტედი — სენტ ჯონსტონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 224 | ჰიბერნიანი — აბერდინი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 225 | კილმარნოკი — ჰართსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 226 | რეინჯერსი — დანდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 227 | მოზერუელი — სელტიკი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

### ავსტრია. XXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 228 | ლუსტენაუ — ტიროლი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 27 ნოემბერი | | | |
| 229 | აუსტრია — ლინცერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 230 | რიდი — გრაცერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 231 | ზალცბურგი — ბრეგენცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 30 ნოემბერი | | | |
| 232 | შტურმი — რაპიდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### შვეიცარია. XX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 233 | ბაზელი — ლოზანა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 234 | ქსამაქსი — ლუცერნი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 235 | არაუ — ციურიხი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 236 | გრასჰოპერი — დელემონი (17³⁰) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 237 | ლუგანო — სენტ გალენი (17³⁰) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 238 | ივერდონი — სერვეტი (17³⁰) | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### დანია. XVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 239 | ოდენსე — ბრიონდბიუ | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 240 | სილკებორგი — ორჰუსი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 241 | კოპენჰაგენი — ვიბორგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 242 | აკადემისკი — ოლბორგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 243 | ესბიერგი — ლიუნგბიუ | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 244 | ჰერფიოლგე — ვაილე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### საკონტინენტთაშორისო თასი (ტოკიოში)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 30 ნოემბერი | | | |
| 525 | მანჩესტერი — პალმეირასი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია. XIII ტური | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი. XVII ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| იტალია. XI ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. XIII ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია. XII ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ბელგია. XV ტური | 27 და ნაკლები | 1,9 | 29 და მეტი | 1,9 |
| საბერძნეთი. X ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ჩეხეთი. XV ტური | 19 და ნაკლები | 1,9 | 21 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი. X ტური | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |

### კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 851 | ბოსტონი — მილუოკი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 852 | ფილადელფია — კლივლენდი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 853 | შარლოტი — ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 854 | დეტროიტი — ატლანტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 855 | ინდიანა — ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 856 | სან ანტონიო — ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 857 | დენვერი — მინესოტა | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 858 | იუტა — ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 859 | ლეიკერსი — ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 860 | საკრამენტო — გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 861 | პორტლენდი — ჰიუსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 862 | სიეტლი — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | 27 ნოემბერი | | | |
| 863 | ნიუ იორკი — ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 864 | მაიამი — ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 865 | ატლანტა — ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 866 | კლივლენდი — შარლოტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 867 | მილუოკი — ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 868 | მინესოტა — ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 869 | დალასი — ჩიკაგო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 870 | სან ანტონიო — დენვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 871 | ფინიქსი — ნიუ ჯერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 872 | კლიპერსი — პორტლენდი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 873 | გოლდენ სტეიტი — ტორონტო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 874 | დეტროიტი — ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 875 | სიეტლი — ინდიანა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | 29 ნოემბერი | | | |
| 876 | ნიუ იორკი — დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 877 | მაიამი — საკრამენტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 878 | იუტა — გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 879 | პორტლენდი — ინდიანა | 1,15 | 12,0 | 4,0 |

### კალათბურთი. ე.ჩ. შესარჩევი მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 880 | სლოვაკეთი — ინგლისი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 881 | უნგრეთი — ხორვატია | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 882 | შვეიცარია — ლატვია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 883 | ბელარუსი — პოლონეთი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 884 | საბერძნეთი — ჩეხეთი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 885 | ავსტრია — ესტონეთი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 886 | ჰოლანდია — შვედეთი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 887 | ბოსნია — ისრაელი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 888 | ფინეთი — ბულგარეთი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 889 | პორტუგალია — უკრაინა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 890 | მაკედონია — სლოვენია | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 891 | ისლანდია — ბელგია | 4,0 | 12,0 | 1,15 |

### ჰოკეი. NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 ნოემბერი | | | |
| 892 | ფილადელფია — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 893 | ბოსტონი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 894 | დალასი — ანაჰაიმი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 895 | ბუფალო — სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 896 | ვაშინგტონი — ნეშვილი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 897 | პიტსბურგი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 898 | ტამპა ბეი — კაროლინა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 899 | ფლორიდა — რეინჯერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 900 | დეტროიტი — ედმონტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 901 | ფინიქსი — კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | 27 ნოემბერი | | | |
| 902 | ლოს ანჯელესი — სან ხოსე | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 903 | ტორონტო — ედმონტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 904 | მონრეალი — ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 905 | აილენდერსი — ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 906 | კაროლინა — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 907 | ფლორიდა — ატლანტა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 908 | სენტ ლუისი — ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 909 | ნეშვილი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 910 | კოლორადო — კალგარი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 911 | ოტავა — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 912 | დეტროიტი — ფინიქსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 913 | ტამპა ბეი — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 914 | ბოსტონი — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 915 | ატლანტა — დალასი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 916 | სან ხოსე — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | 29 ნოემბერი | | | |
| 917 | ტორონტო — ვაშინგტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ჩხეიძემ, აზოტელი ვარო



ბადრი კოთილაძის ფოტო

რევაზ ჩხეიძე

საქართველოს ჩემპიონატი

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების უკანახაზელმა რევაზ ჩხეიძემ, მოგეხსენებათ, უკანასკნელი ორი სეზონი ისრაელში გაატარა, სადაც მეორე ლიგის კლუბ, ცვატის „ჰაპოელში“ თამაშობდა.

ამ ერთი თვის წინ კი ჩხირო სამშობლოში დაბრუნდა და ახალი ნავსაყუდელის ძიებას შეუდგა. უფრო სწორედ, მისი მენეჯერები, ბულგარელი ნიკოლაი ტენევი და მავანი ებრაელი აგენტი ყოფილან დაინტერესებულნი ჩხეიძის ტრანსფერით, ჰქონია კიდეც ქართველს მეტ-ნაკლებად კონკრეტული წინადადებები და ამას წინათ, ალბათ, ამიტომაც უთხრა „სარბიელს“: საქართველოში თამაშს არ გამოვრიცხავ, მაგრამ დიდი შანსია და ჩემი სურვილიც ის არის, სადმე სხვაგან, საზღვარგარეთ გავაგრძელო კარიერა.

როგორც ამბობდნენ, ყველაზე რეალურია, ჩხეიძემ თამაში რუმინეთში გააგრძელოს. ჩვენთან საუბრისას ეს თავად კალათბურთელმაც არ უარყო, მაგრამ სულ ახლახან ყველანაირ ჭორმართალს თუ მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღო, თუ რატომ, ამასაც გეტყვით.

თბილისში ჩამოსულ ჩხეიძეს საჩემპიონო ამბიციამოძალებულმა ქართულმა კლუბებმა მოსვენება დაუკარგეს. თითქმის ყველამ თავისი პირობა შესთავაზა ჩვენში ერთ-ერთ ძლიერ უკანახაზელს და საბოლოო არჩევანიც თავად კალათბურთელზე მიდგა.

ჩხირო არ აჩქარდა, ყველაფერი აწონდაწონა და...

„გადაწყვეტილი ამბავია, შეგიძლიათ უკვე „აზოტის“ მოთამაშედ ჩამთვალოთ. ამ კლუბის დაინტერესება იმდენად დიდი გამოდგა, რომ შესაძლო უცხოურ ვარიანტებზეც ხელი ავიღე, ჩემს მენეჯერებს აღარ დაველოდე, ასე ჩავთვალე საჭიროდ. ამ გუნდთან უკვე შევუდექი ვარჯიშს, ყველაფერი ნორმალურად აეწყო და ვფიქრობ, სეზონის ბოლომდე აქვე დავრჩები“ — გვითხრა წუხელ რევაზ ჩხეიძემ.

მაშ ასე, კიდევ ერთი ლეგიონერი დაუბრუნდა სამშობლოს, კიდევ ერთი მაღალი კლასის მოთამაშე შეემატა ეროვნულ პირველობას...

საკითხავი ერთიღაა, როდის ვიხილავთ ჩხიროს ვიცე-ჩემპიონთა რიგებში. ამისათვის ხომ მთელი რიგი ფორმალობებია მოსაგვარებელი. ფაქტი კი ერთია, კალათბურთის ფედერაციას ჩხეიძის სახელზე ჯერ არ გაუცია ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ლიცენზია.

— დებულების მიხედვით, 28 თებერვლამდე კლუბებს ნებისმიერი კალათბურთელის დამატება შეუძლიათ. ოღონდ, იმ მოთამაშემ ფედერაციაში შესაბამისი საბუთი უნდა წარადგინოს, რომ თავისუფალი აგენტია და არსად არ თამაშობს. ჩხეიძის შემთხვევაშიც ასე იქნება, როგორც კი ისრაელიდან ჩამოგვივა განთავისუფლების ფურცელი, ჩვენგან არ შეფერხდება, დაუბრკოლებლად მიიღებს ლიცენზიას — ეს ფედერაციის გენერალური მდივნის, აკაკი მეგრელაძის სიტყვებია.

**გიორგი ბიძაშვილი**

# ევროპის ჩემპიონატი 2001

შესარჩევი ეტაპი. I ტური. 24 ნოემბერი

## A ჯგუფი

### ინგლისი 60:73 შვეიცარია

ინგლისი: ოსტინი (6), ბეიკერი, ბაკნელი (10), ჩუნგი (2), გარდინერი (13), ჰესლემი (14), ჰერიმენი (2), მენსა-ბონსუ (4), ვაითი (4), ვილიამსი (5)

შვეიცარია: ბერნასკონი, ბორტერი, დინერვო (8), გრიმესი (16), კოლერი (7), მრაზეკი (17), სასელა (14), ვალისი (11)

### ლატვია 68:72 უნგრეთი

ლატვია: ბაგაცკისი (16), ბერნატსი (3), ჰელმანისი (5), რ. მიგლინიეკსი (8), პურნისი, სნეპსი (6), შტურმსი (6), ვალტერსი (9), ვიტოლსი (6), ზეიდაკსი (9)

უნგრეთი: ციგლერი, ფოდორი (9), გულიაში (27), ჰალმი (10), კალმანი (10), მესაროში (1), ნემეტი (3), შიტკუ (12)

### ხორვატია 88:54 სლოვაკეთი

ხორვატია: გირიჩეკი (10), კრსტიჩი (14), მარიჩი (5), მრშიჩი (12), მულაომეროვიჩი (7), პოლიაკი, პრკაჩინი (11), რუჟიჩი (5), სესარი (9), ვუიჩინი (15)

სლოვაკეთი: ონდრუშკა (16), ბალაზი, ბოჰუნიცკი (2), ლოვიკი (6), მიხალიკი, მიჩუდა (13), სნოპკო (13), სვიტეკი, ტიმკო, ვიმერი (4)

## B ჯგუფი

### ესტონეთი 59:70 საბერძნეთი

ესტონეთი: არმპალუ, კანდიმაა, კულამი (16), კუუსმაა (13), ლიივაკი, მეცტაკი (10), მიუურსეპი (11), პარნი (3), პეჰკა (5), რუმა (1)

საბერძნეთი: ბუდურისი (4), ხაცისი, ეკონომუ (15), იანულისი (10), კაკიუსისი (6), კალაიძისი (12), ლიადელისი (9), დიკუდისი (3), პაპადოპულოსი, სიგალასი (11)

### პოლონეთი 81:73 ავსტრია

პოლონეთი: პლუტა (19), ზიელინსკი (13), ვილანგოვსკი (11), იანკოვსკი (7), ვოიჩიკი, ჰიზი (15), კორიტეკი (9), დრიია (4), შიბილსკი (3), ბლუმჩინსკი

ავსტრია: ასჩერიჩი (34), ბუგელშაიმი (2), ფრიტცი (8), ჰაიდა (3), კოგლერი, ლუტცი (5), მადერი (6), მოშიკი (8), ვოლჩიჩი (7)

### ჩეხეთი 91:70 ბელარუსი

ჩეხეთი: ბეჩკა (9), ჩუდეკი (3), დვორჟაკი, სოკოლოვსკი (11), სტანეკი (13), ტრნკა (2), ვაჰალა (14), ი. ველში (9), პ. ველში (1), ზიდეკი (29)

ბელარუსი: ბოიდაკოვი (8), კორშუკი (2), კული (20), კუზმინი (5), კრივანოსი (4), ლაშკევიჩი, მეშჩერიაკოვი (16), პინტიკოვი (6), როდიონოვი (8), სვეტნიკი (1)

## C ჯგუფი

### ისრაელი 90:61 ჰოლანდია

ისრაელი: გუდესი (2), ჰენფელდი (10), კატაში (17), ლუბინი (3), მუხტარი (4), საფარი (2), შეფერი (17), შელეფი (16), შტეინჰაუერი (14), თურჯემანი (5)

ჰოლანდია: დე ფრისი (3), ელსონი (20), გუდეე (3), ჰამინკი (6), ჰაინენი, ჰუაიბენსი, კრიგერი (10), ნაპარი (3), ვან დენ ბრუკი (3), ვან დერ სლუისი (13)

### შვედეთი 96:101 ფინეთი

შვედეთი: აულანდერი (7), ბერგსტრიომი (20), ბლომი (19), გერკე (8), ჰაკანსონი (2), ლარსონი (19), პეტერსონი (8), სალსტრიომი (2), სტიუმერი (11)

ფინეთი: კუისმა (29), ლააკსონენი (2), ლეჰტონენი (3), ლუჰტანენი (20), მატინენი (20), პეჰკონენი (2), პრატესი (14), რანიკო (11)

### ბულგარეთი 72:74 ბოსნია

ბულგარეთი: დიმიტროვი (23), დრუმევი (2), მინჩევი (6), მლადენოვი (7), ნატოვი (10), პეტროვი (11), რადიონოვი, სტოიკოვი (13)

ბოსნია: ფირიჩი (6), ჰუკიჩი (8), კაპრიმანოვიჩი (6), ლერიჩი (10), მარკოვიჩი (20), მირკოვიჩი (9), ოვჩინა (15)

## D ჯგუფი

### უკრაინა 66:44 ისლანდია

უკრაინა: ბაზელევსკი, დროზდოვი, ხარჩენკო (4), ხრიაპა (6), ლოხმანჩუკი (13), მედვედენკო (16), მოლჩანოვი (6), მურზინი (2), რაევსკი (6), იაილო (13)

ისლანდია: არნარსონი (12), ბოუ (5), ბრაგასონი (9), ფ. ჰარდარსონი (13), ჰ. ჰარდარსონი, ჰაუკსონი, ოლაფსონი (2), სტეფანსონი (3), სტურლუსონი, ვილბერგსონი

### ბელგია 69:61 მაკედონია

ბელგია: ბაიერი, დიუპონი (6), გუტალსი (4), ჟომინი (11), ლამბრეხტი (2), ლაუვერსი (8), ლორიდონი (8), საპენბერგსი (4), სტრიულენსი (16), ვან ჰაელე (10)

მაკედონია: ბლაჟევსკი (9), ბოჩევსკი (3), ჩეკოვსკი (6), დუგანოვი, ილიევსკი, იოვანოვსკი (4), კნიაზევი, კურტოვიკი (2), სიმიკი (3), სტეფანოვი (34)

### სლოვენია 89:58 პორტუგალია

სლოვენია: ბეჩიროვიჩი (2), ბრეჟეცი (8), დანეუ (8), დრაგშიჩი (3), იაგოდნიკი (14), იურკოვიჩი (17), კრალევიჩი (10), მილიჩი (17), ზდოვცი (10)

პორტუგალია: ამორიმი (5), ანტუნეში (19), აზევედუ (2), დე სოუზა, და სილვა (4), პინტუ (20), სიმაო, მაჩადო (1), ოლივეირა (2), ტავარეში (5)

*მეორე ტური გაიმართება 27 ნოემბერს*



REUTERS თელ ავივიდან

ისრაელი — ჰოლანდია 90:61. ჰოლანდიელ გეერტ ჰამინკს (ბურთით) ტომერ შტეინჰაუერი (მარცხნივ) და გაი გუდესი გადაეღობნენ

რეგულარული ჩემპიონატი

# უფრთხილდით პატარ[illegible]



REUTERS მაიამიდან

მაიამი — ატლანტა. დიკემბე მუტომბო (№55) მაიამელ ალონზო მურნინგს დაეჯახა

24 ნოემბერი

### მინესოტა 81:88 პორტლენდი

მინესოტა: შჩერბიაკი (26), ბრენდონი (22)
პორტლენდი: სტუდემაიერი (18), სმიტი (18)

### მილუოკი 102:95 ჩიკაგო

მილუოკი: რობინსონი (22)
ჩიკაგო: ბრენდი (16)

### ორლანდო 112:100 დალასი

ორლანდო: არმსტრონგი (33 ქულა, 14 პასი, 5 ჩაჭრა)
დალასი: ფინლი (35), ნოვიცკი (20)

### მაიამი 93:91 ატლანტა

მაიამი: მურნინგი (25 ქულა, 13 მოხსნა)
ატლანტა: რაიდერი (28), მუტომბო (20 ქულა, 18 მოხსნა)

### შარლოტი 89:73 ვანკუვერი

შარლოტი: ჯონსი (14)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (15 ქულა, 21 მოხსნა)

### ბოსტონი 98:121 სან ანტონიო

ბოსტონი: ვილიამსი (16)
სან ანტონიო: დანკანი (31 ქულა, 15 მოხსნა), ელი (25)

### ლეიკერსი 90:82 იუტა

ლეიკერსი: ონილი (39 ქულა, 18 მოხსნა), რაისი (21)
იუტა: მელოუნი (22 ქულა, 12 მოხსნა)

### ფილადელფია 93:101 ვაშინგტონი

ფილადელფია: მაკკი (17)
ვაშინგტონი: მიურეი (19)

### გოლდენ სტეიტი 84:92 ნიუ ჯერსი

გოლდენ სტეიტი: ფარმერი (19)
ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (22 ქულა, 11 მოხსნა), ნიუმენი (22 ქულა, 10 მოხსნა), მარბერი (21)

### დენვერი 109:84 ტორონტო

დენვერი: ვან ექსელი (19)
ტორონტო: კარტერი (16)

წინა დღით კლივლენდში დამარცხებულმა „პორტლენდმა“ ძალა მოიკრიფა და „მინესოტას“ სტუმრად მოუგო. მართალი რომ ითქვას, „პორტლენდს“ ძალის მოსაკრეფი არაფერი სჭირს. ამ გუნდს იმდენი კარგი მოთამაშე ჰყავს, რომ მისი შემადგენლობიდან ორი კარგი გუნდი თავისუფლად გამოიჭრება. ასე რომ, მწვრთნელი მაიკლ დანლივი იმაზე არ ნერვიულობს, ერთ დაძაბულ თამაშში ბიჭები დამელღლებიან და მეორეს ჩააფლავებენო. მას ტრავმების უფრო უნდა ეშინოდეს. ამ მხრივ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა, თუ არ ჩავთვლით ბრაიან გრანტის ტრავმას, რომელიც თავდამსხმელს ჯერაც არ მოშუშებია, თუმცა მისი არყოფნა „ბლეიზერსს“ არც ეტყობა. გუნდი წყნარი ოკეანის დივიზიონის ცხრილის პირველ საფეხურზე იწონებდა თავს და „კლივლენდთან“ რომ არ წაეგო, იმ ადგილს „საკრამენტოს“ არ დაუთმობდა.

„მინესოტა“ ჯაბანი გუნდი სულაც არაა და შინ ნებისმიერ მეტოქესთან მხოლოდ გამარჯვების პრეტენზია აქვს. კიდეც იგებდნენ მასპინძლები, მეორე ტაიმის წინ ანგარიში 40:36 იყო მათ სასარგებლოდ, მაგრამ „პორტლენდის“ ვარსკვლავთა ლეგიონიდან ყველაზე პატარამ, დეიმონ სტუდემაიერმა (მისი სიმაღლე სულ რაღაც 178 სანტიმეტრია), მესამე მეოთხედში 16 ქულა ჩააგდო, თავისიანებს ეს დრო 11 ქულით მოაგებინა და მასპინძლებს გარჯა წყალში ჩაუყარა.

მოიგო კიდევ ერთმა წყნაროკეანელმა გრანდმა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“. მისი მეტოქე თვით „იუტა“ გახლდათ, მაგრამ „ლეიკერსს“ ორი უპირატესობა ჰქონდა, ჯერ ერთი, შინ თამაშობდა და მეორეც — ჰყავს ისეთი კაცი, როგორიც შაკილ ონილია. უკვე კარგა ხანია, ლიგაში მასზე ძლიერი ცენტრი არ მოიძებნება. მართალია, „იუტაშიც“ ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ჯანიანი კალათბურთელი კარლ მელოუნი თამაშობს, მაგრამ იგი ონილზე ბევრად ასაკოვანია, თან თავდამსხმელია და არა ცენტრი, ამდენად ბევრადაც დაბალი. მიუხედავად იმისა, რომ კობი ბრაიანტი ტრავმირებულია, „ლეიკერსი“ მაინც მოწინავეთა შორისაა და არც „იუტას“ დამარცხება გასჭირვებია. მასპინძლებმა პირველივე წუთებში ხელთ იგდეს უპირატესობა და სტუმრები ახლოს არ გაიკარეს.

„ორლანდო მეჯიქმა“ სეზონის დაწყებამდე ყველა წამყვანი მოთამაშე სხვა გუნდებს დაურიგა და თითქოს იგი ყველა კანონზომიერების მიხედვით ცხრილის ფსკერზე უნდა დაფუძნებულიყო, მაგრამ მოხდა სხვაგვარად. მას აღმოაჩნდა ერთი კარგი მოთამაშე, დარელ არმსტრონგი, რომელიც „ორლანდოს“ ჩაძირვის საშუალება არ აძლევს. ფლორიდელები მისი ძალისხმევით არცთუ იშვიათად ახერხებენ გამარჯვებას. ივარგა ახალმა მწვრთნელმა დოკ რივერსმაც, რომელიც რამდენიმე წლის წინ მოთამაშე გახლდათ, ახლა კი „ორლანდოს“ დამრიგებელია. „დალასთან“ შეხვედრაში არმსტრონგმა დიდად გამოიდო თავი და 33 ქულით და 14 პასით ერთბაშად ორ მაჩვენებელში — დაამყარა პირადი რეკორდები.

**ირაკლი ფირაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალოსნობა

# პატარა მუტლუ დიდია



გათურქებული ბულგარელი ჰალილ მუტლუ სულ რაღაც 56 კილოს იწონის, მაგრამ ამ პატარა კაცში ისეთ ძალ-ღონეს დაუბუდებია, რომ აგერ ათენში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯერ 137,5 კილოიანი შტანგა აიტაცა იოლად, მერე 165 კილოც აჰკრა, ორჭიდში 302, 5 კილოგრამი დაუგროვდა და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლითაც დაიმშვენა მკერდი. ეგ ყველაფერი კარგი, მართლაც რა შეედრება მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, მაგრამ მუტლუს ვაჟკაცობა სხვა რამით უფრო დასაფასებელი. ჰალილმა ერთბაშად სამი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, თან მეტოქეებზე მისი უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ დანარჩენ 34 ძალოსანს გამარჯვების არანაირი შანსი არ დაუტოვა. ამის დასტურად ისიც იკმარებს, რომ მუტლუმ მეორე ადგილზე გასულ რუმინელ ადრიან ჟიგუს მთელი ოცი კილოთი აჯობა. ეტყობა, ჰალილი საკუთარ შესაძლებლობებში იმდენად იყო დარწმუნებული, რომ თავს უფლება მისცა, 165 კილოგრამიანი შტანგა თავს ზემოთ სჭეროდა, ამ დროს კი მეტოქეებისთვის ენა გამოეყო და მერე გულიანადაც გაეცინა. მაგრამ, როგორც ზოგ-ზოგნი ამბობენ, მუტლუ ამ საქციელით თავის უცნობილეს თვისტომს, მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უძლიერეს ძალოსანს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ნაიმ სულეიმანოღლუს იწვევდაო, რომელიც იქვე, ფიცარნაგთან მოკალათებულიყო და ბერძენი ტელეოპერატორების ყურადღების ცენტრშიც იყო მოქცეული.



REUTERS

გალაბინ ბოევსკი



ჰალილ მუტლუ

საქმე ისაა, რომ „ჯიბის ჰერაკლედ" მონათლული სულეიმანოღლუ კარგა ხანია ფიცარნაგზე აღარ გასულა, თუმცა ამას წინათ საქვეყნოდ განაცხადა, ცნობილ ბულგარელ მწვრთნელ ივან აბაჯიევთან დავიწყე ვარჯიში და სიდნეის ოლიმპიადის ოქრო მინდა მოვიგოო. ერთი პირობა იმასაც ამბობდნენ, სულეიმანოღლუ ათენშიც იასპარეზებსო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, ნაიმი მსოფლიოს ჩემპიონატს მხოლოდ მაყურებლად ეწვია. იქნებ გაიკვირვოთ, მუტლუს სულეიმანოღლუსთან რა ხელი აქვსო? საქმე ისაა, რომ ორივე ძალოსანი თურქეთში ძალიან პოპულარულია, ჰოდა, ჰალილ მუტლუსაც თურმე არაფრად ეპიტნავება სულეიმანოღლუს სპორტში მობრუნება, აქაოდა, ჩემზე ბევრი ტიტული დაუგროვდება და თურქთა შორის ჩემზე დაფასებული შეიქნებაო. არადა, არც მას აკლია მედალ-ჯილდოები — ჰალილი მსოფლიოს ჩემპიონატების 7 ოქროსა და 5 ვერცხლის მფლობელია, პირველობა არც ატლანტის ოლიმპიადაზე დაუთმო ვინმეს.

ამ თურქ ჰალილზე ლაპარაკი აქვე დავასრულოთ და ახლა ისიც უნდა ვთქვათ, მით უფრო, სხვა წონებში ძალოსნებმაც გამოჰკრეს რეკორდებს ხელი. 69 კილოში ბულგარელმა გალაბინ ბოევსკიმ ატაცში სარეკორდო, 162,5 კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, აკვრაშიც რიგიანად გაისარჯა (195) და ოქროც ბულგარეთის გზას გაუყენა.

62-ში ჩინელმა ლე მაოშენგმა ორჭიდში 320 კგ დააგროვა და ფავორიტად შერაცხული ბერძენი ლეონიდას საბანისი ვერცხლსღა დააჯერა. ამ წონაში ჩვენებურმა დავით პავლიაშვილმაც იასპარეზა: მან ორჭიდში მხოლოდ 267,5 კგ მოაგროვა და 35 ძალოსანს შორის ოცდამეხუთე იყო.

**სოსო კოტორეიშვილი**

**ტექნიკური შედეგები**

56 კგ

1. ჰალილ მუტლუ (თურქეთი) — 302,5 კგ (137,5+165)
2. ადრიან ჟიგუ (რუმინეთი) — 282,5 (125+157,5)
3. ვანგ შინიანი (ტაივანი) — 280 (122,5+157,5)

62 კგ

1. ლე მაოშენგი (ჩინეთი) — 320 კგ (180+140)
2. ლეონიდას საბანისი (საბერძნეთი) — 315 (170+145)
3. სევდალინ მინჩევი (ბულგარეთი) — 315 (172,5+142,5)

69 კგ

1. გალაბინ ბოევსკი (ბულგარეთი) — 357,5 კგ (195+162,5)
2. გეორგიოს ცელილისი (საბერძნეთი) — 345 (190+195)
3. ვალერიოს ლეონიდისი (საბერძნეთი) — 340 (187,5+152,5)

ჩოგბურთი

# ვერშემდგარი დუელი

ჰანოვერი. გერმანია. **ATP**-ის მსოფლიოს ჩემპიონატი.
დარბაზი, ჰარდი
საპრიზო 3,6 მილიონი $

## წითელი ჯგუფი

**ანდრე აგასი (1, აშშ) — პიტ სამპრასი (5, აშშ) 6:2, 6:2**

ჩოგბურთში ყოველთვის არსებობდა მოთამაშეთა წყვილი, რომელთა მეტოქეობას განსაკუთრებული ელფერი, ეშხი გააჩნდა. ბორგი — მაკინროი, ბეკერი — ედბერგის დაპირისპირებათა 90-იანი წლების შესატყვისად ორი დიდი ამერიკელის — პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის შეხვედრები იქცა.

„ანდრესთან თამაში ყოველთვის გამორჩეულია. მე ის მტრად არასოდეს მიმაჩნდა, ერთმანეთს დიდ პატივს ვცემდით. როგორც ორი განსხვავებული ხასიათის ამერიკელი, ჩვენი ორთაბრძოლები თითქოს სიმბოლურ ხასიათსაც ატარებს" — მიაჩნია „პისტოლ პიტს".

„ცოტათი უცნაურია, რომ ასე ადრე ვხვდებით ტურნირზე ერთმანეთს, მაგრამ ეს ატმოსფეროს არაფერს მოაკლებს — აღნიშნა წინა დღით აგასიმ — იგი ამბობს, რომ კარგად გრძნობს თავს და მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ არ უნდა დავუჯერო. მძიმე, მაგრამ სასიამოვნო შეხვედრა მელის".

ხოტორა ამერიკელის პროგნოზი მხოლოდ სანახევროდ გამართლდა: თუ სამპრასისთვის არა, მისთვის მაინც მატჩი მართლაც სასიამოვნო გამოდგა, მაგრამ მოსალოდნელზე გაცილებით იოლი.

აქამდე პირად შეხვედრათა ანგარიში 16:10 იყო სამპრასის სასარგებლოდ, თანაც წლეულს სამივე მატჩი, უიმბლდონის ფინალის ჩათვლით, პიტმა სეტის წაუგებლად მოიგო. ამჯერად ცოტა სხვაგვარი სიტუაცია იყო: ბერძნული წარმოშობის ამერიკელს ზურგისა და ბარძაყის ტრავმების გამო თითქმის სამი თვე გაუცდა, აგასი კი მსოფლიოს პირველ ჩოგნად დამკვიდრდა და კარიერაში, ალბათ, საუკეთესო ფორმაშიც გახლავთ.

შეხვედრას მეტად პრინციპული მნიშვნელობაც ჰქონდა: აგასის უნდა დაემტკიცებინა, რომ კლასიფიკაციის სათავეში მთავარი მეტოქის არყოფნის ხარჯზე არ მოხვედრილა.

მატჩის დასაწყისში მცირე უპირატესობას უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონი ფლობდა, მეტოქის პირველ ორ მოწოდებაზე ბრეიკ-პოინტებიც ჰქონდა, მაგრამ აგასიმ მძიმე სიტუაციიდან თავი დაიძვრინა.



REUTERS

ანდრე აგასი



გუსტავო კუერტენი

დაახლოებით თხუთმეტი წუთის მანძილზე ორივე ამერიკელი შესანიშნავად ირჯებოდა. უკანა ხაზიდან აგასის მძიმე არტილერიას სამპრასი ბადესთან შთამბეჭდავი დარტყმებით და ათლეტური სმეშებით პასუხობდა.

მაგრამ ხოტორა ამერიკელმა თანდათან სამიზნე გაისწორა, შეცდომები სავსებით ამოფხვრა თამაშიდან და აღმოჩნდა, რომ სამპრასი ჯერ კიდევ არ იყო მზად გამოწვევისთვის: მან მზარდ ზეწოლას ვერ გაუძლო, მეტოქის მიღებების შიშით ორმაგებს უხშირა და მალე კორტზე სტატისტის ფუნქციაღა შერჩა.

უფრო და უფრო უკეთ მოთამაშე აგასიმ კი დამსჯელი მიღებებითა და უზუსტესი შემოვლებულებით სულ გაილაღა, მეტოქე არ დაინდო და ტყუპისცალივით მსგავს ორივე სეტში 1:2-დან ზედიზედ 5 გეიმი მოიგო, რასაც ზუსტად ერთი საათი დაახარჯა.

„იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ არა გუნებაწამხდარი. უბრალოდ, იმ ანდრეს შევეჩეხე, რომელიც ამ წუთისთვის საუკეთესოა მსოფლიოში. მართალია, ცოტა სათამაშო პრაქტიკა მაკლდა, მაგრამ მან დღეს აშკარად მაჯობა" — განაცხადა მატჩის შემდეგ სამპრასმა.

თავის მხრივ აგასიმაც თავისი მიაგო მეტოქეს: „თუნდაც საუკეთესო ფორმაში ვიყო, როდესაც პიტიც კარგად თამაშობს, 6:2, 6:2-ს ვერასოდეს მოვუგებ. ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ ბოლო სამ თვეში სულ ორი მატჩი ჰქონდა ჩატარებული, რის გამოც ხანგრძლივი გათამაშების დროს თავს უხერხულად გრძნობდა და მეტისმეტად რისკავდა მათ შესამოკლებლად".

ანდრემ არც ის გამორიცხა, რომ კვირას ფინალში ისევ სამპრასთან მოუხდება შეხვედრა: „მე უფრო მეთოდურად ვთამაშობ, ის კი ყუმბარასავით იფეთქებს ხოლმე. მას ელვის უსწრაფესად შეუძლია საუკეთესო ფორმაში ჩადგომა, როგორც წლეულს უიმბლდონზე, სადაც ლაზარესავით მკვდრეთით აღდგა, არადა, მანამდე ბევრმა ჩამოწერა კიდეც".

**გუსტავო კუერტენი (3, ბრაზილია) — ნიკოლას ლაპენტი (8, ეკვადორი) 6:1, 6:2.**

ორი სამხრეთამერიკელის შეხვედრა შავი ასოებით ჩაიწერება მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში და მთავარი ფავორიტიც იქნება წლის ყველაზე უარესი მატჩის კატეგორიაში.

კუერტენი და ლაპენტი დიდი ხნის მეგობრები არიან, თავის დროზე იუნიორებში როლან გაროსზეც კი უმარჯვიათ წყვილებში, ამიტომ ცოტა ძნელი გასაგები იყო, რატომ ურტყამდნენ თითოეულ ბურთს შეშლილი სახეებით და ისეთი გამეტებით, თითქოს მეტოქის დასახიჩრება სურდათ.

სამწუხაროდ, გამეტებით მოქნეული ფორჰენდ-ბექჰენდები უმეტესად ბადეში ან კორტს მიღმა ვარდებოდა, ისევე, როგორც პირველ-მეორე მოწოდებების უმრავლესობა. ამ მოკლე, 50-წუთიან შეხვედრაში ლაპენტიმ 9 ორმაგი შეცდომის გაკეთება მოასწრო, ტაშის საღირალი დარტყმა ერთადერთხელ განახორციელა და ზუსტად ისეთივე ანგარიშით დამარცხდა, როგორც პირველ ტურში ანდრე აგასისთან.

„საკუთარ თავს ვეკითხები, რა მოხდა-მეთქი, ამაზე ფიქრიც კი მიჭირს. ასეთი კარგი სეზონის ბოლოს ჰანოვერში მოხვედრა და გუშინდელის, ან დღევანდელის მსგავსად თამაში სხვა თუ არაფერი, ძალიან საწყენია" — განაცხადა ლაპენტიმ.

ორი ტურის შემდეგ წითელ ჯგუფში მეტად გაურკვეველი სატურნირო მდგომარეობაა: ზედიზედ ორი მოგების მიუხედავად, ნახევარფინალის საგზური აგასისაც კი არ გაუნაღდებია, რაღაც მცირე შანსებს კი ლაპენტიც ინარჩუნებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ანდრე აგასი** | 2 | 2 | 0 | 4:0 |
| **გუსტავო კუერტენი** | 2 | 1 | 1 | 2:2 |
| **პიტ სამპრასი** | 2 | 1 | 1 | 2:2 |
| **ნიკოლას ლაპენტი** | 2 | 0 | 2 | 0:4 |

## თეთრი ჯგუფი

**ტომას ენკვისტი (4, შვედეთი) — ნიკოლას კიფერი (6, გერმანია) 6:4, 7:5.**

ნიკოლას კიფერი პირველი გერმანელია, ვინც 1996-ში ბორის ბეკერის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა მოახერხა, ამიტომ მთელი ტურნირის მანძილზე თანამემამულეთა მხურვალე მხარდაჭერა გარანტირებული აქვს, მით უმეტეს, რომ წარმოშობით სწორედ ჰანოვერელი გახლავთ.

თავისი ყოფილი შეგირდების საქომაგოდ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი „ბუმ-ბუმ ბორისიც" კი გამოცხადდა, რომელსაც ბოლო ხანებში კიფერთან მაინცდამაინც ტკბილი ურთიერთობა აღარა აქვს.

უნდა ითქვას, რომ წაგების მიუხედავად, 23 წლის გერმანელს თავი არ შეურცხვენია, ჯანიანი დარტყმებით შესანიშნავ ფორმაში მყოფ ენკვისტს ბევრი საფიქრალიც გაუჩინა, ოღონდ ბოლოს დიდი ხნის უთამაშებლობა მაინც დაეტყო: კიფერს კოჭის მყესების დაზიანების გამო ოთხი კვირაა, არსად ეასპარეზა და ფეხის კუნთების კრუნჩხვებმა შეიწირა.

„მე კი მინდოდა, მერბინა, მაგრამ ჩემს ფეხებს — არა, ალბათ, ცოტა ელექტრო შოკი არ მაწყენდა. კარგია, რომ კოჭის ტრავმას მაინც არ შეუხსენებია თავი. იქნებ, მაინც მოვახერხო ნახევარფინალში გასვლა" — აღნიშნა კიფერმა.

**ავთანდილ სვანიძე**

# თუ მაია არ ეყოლება საქართველოს ნაკრებს, საქართველოსაც არ ეყოლება თავისი ნაკრები

დასაწყისი პირველ გვერდზე

მაია ჩიბურდანიძის გადაწყვეტილება სულაც არ ყოფილა „მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა". აქამდეც სერიოზული ლაპარკი იყო იმის თაობაზე, რომ შეიძლებოდა, საქართველოს ნაკრები მაიას გარეშე დარჩენილიყო. პირველად ეს ჭადრაკის სასახლეში, 16 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა. მაშინ ზურაბ აზმაიფარაშვილმა განაცხადა, რომ ჭადრაკის ფედერაციასა და სპორტის დეპარტამენტს შორის ურთიერთობაში ბევრი პრობლემა დაგროვდა, უპირველესად კი ფინანსური საკითხებია მოსაგვარებელიო. მისივე თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში საკმაოდ მძიმე შედეგები იყო მოსალოდნელი და ასეც მოხდა. ის, რაც გუშინ ძალიან ძნელად დასაჯერებელი იყო, დღეს უკვე რეალობაა. საქართველოს პირველი გუნდის სახელით ასპარეზობაზე უარს ამბობს მოჭადრაკე, რომელმაც ქალთა საჭადრაკო სამყაროში მთელი ეპოქა შექმნა.

24 ნოემბერს ჭადრაკის ფედერაციაში პრეზიდიუმის რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: მაია ჩიბურდანიძის განცხადება და ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდების საბოლოო დაკომპლექტება. სხდომაზე მიწვეული გახლდათ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, რომლის, რბილად რომ ვთქვათ, მკვახე გამონათქვამებმა (იგულისხმება ცნობილი რადიოინტერვიუ) საკმაო გამოხმაურება ჰპოვა ჭადრაკის მოყვარულთა შორის. თუმცა ასათიანი ამ სხდომაზე არ მისულა. მის ნაცვლად ფედერაციაში მურთაზ მნათობიშვილი გამოცხადდა.

პრეზიდიუმის სხდომაზე გაკეთდა შემდეგი განცხადება: საქართველოს სპორტის დეპარტამენტი დამნაშავეა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასა და სპორტის დეპარტამენტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობაში.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია სრულ თანაგრძნობას უცხადებს მაია ჩიბურდანიძეს თავის გადაწყვეტილებაში და ამასთან იმასაც აღნიშნავს, რომ მას ეს განცხადება მარტო თავისი სახელით არ გაუკეთებია. ქვეყნის პირველი მოჭადრაკე მარტო თავისი პრობლემების მოგვარებას არ ითხოვს, ის მთელი ქვეყნის წამყვანი მოჭადრაკეების სახელით ლაპარაკობს. მაია ჩიბურდანიძემ ამ მძიმე ტვირთის ზიდვა თავის თავზე



ზურაბ აზმაიფარაშვილი

აიღო და იცოდა, რომ სპორტის დეპარტამენტის მხრიდან ამგვარი რეაქცია იქნებოდა, თუმცა მთლად ასეთსაც არ ელოდა. მისი სიტყვებით, მის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი უკიდურესი სასოწარკვეთილების გამოვლინებაა და თუ ამის შემდეგაც არ ატყდა ქვეყანაში განგაში, მაშინ საერთოდ აზრი დაეკარგება ნებისმიერ მოღვაწეობას ჭადრაკის და მთლიანად სპორტის სფეროში.

დეპარტამენტის წარმომადგენელი მურთაზ მნათობიშვილი ძირითადად დაეთანხმა მაია ჩიბურდანიძის პრეტენზიებს, ოღონდ იქვე აღნიშნა, ადრესატი შეცდომითაა მითითებულიო. ამაზე ზურაბ აზმაიფარაშვილმა განაცხადა, რომ ჭადრაკის ფედერაცია მთავრობასთან ურთიერთობას სპორტის დეპარტამენტის მეშვეობით ახორციელებს, რომელიც ასევე სამთავრობო სტრუქტურაა. პირველ რიგში სწორედ სპორტის დეპარტამენტია პასუხისმგებელი ნებისმიერი პრობლემის მოუგვარებლობაზე ჭადრაკის ფედერაციის წინაშე. და თუ სპორტის დეპარტამენტს ასეთი პასუხისმგებლობის აღება არ სურს, მაშინ მისი არსებობა საერთოდ აზრს კარგავს.

სხდომაზე გაიჟღერა ასეთმა მოსაზრებამაც. მთლიანად საქართველოს ნაკრებს ხომ არ ეთქვა უარი ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობაზე, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ეს აზრი უარყვეს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ საბოლოოდ დაადგინა ის მოჭადრაკეები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ.

ქალთა I გუნდი: ნინო ხურციძე, ქეთევან არახამია, სოფიკო ნიკოლაძე

II გუნდი (აჭარა): ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, დიანა დარჩია

III გუნდი: სოფიკო ტყეშელაშვილი, ინგა ჭარხალაშვილი, მაია ლომინეიშვილი

ვაჟთა გუნდი: გიორგაძე, სტურუა, ყაჭეიშვილი, გელაშვილი, ბაღათუროვი, ჯობავა, მჭედლიშვილი, ბახტაძე, ყაშაშვილი, გაფრინდაშვილი

ვაჟებიდან ვინ პირველ გუნდში ითამაშებს და ვინ მეორეში, 27 ნოემბერს გაირკვევა. რაც შეეხება ზურაბ აზმაიფარაშვილის მონაწილეობას, განაცხადა, რომ ისედაც უამრავი საქმე მექნება ტურნირის მსვლელობისას და თამაშს ვერ შევძლებო.

საბოლოოდ ჩამოყალიბდა შემდეგი აზრი: თუ არ მოგვარდა ის პრობლემები, რაც საკმაოდ ნათლად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული მაია ჩიბურდანიძის განცხადებაში, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს: საქართველოს ნაკრები არ მიიღებს მონაწილეობას უახლოეს საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც სტამბოლში გაიმართება. ამის შემდეგ კი, თუ იგივე განმეორდა, არც ერთ ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე აღარ გამოვა საქართველოს უპირველესი გუნდი.

საინტერესოა, რა შედეგს გამოიღებს ქართველი მოჭადრაკეების პრინციპულობა?

**ზაზა ბენიძე**

## საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს
## საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს ზურაბ აზმაიფარაშვილს
## საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმს



მაია ჩიბურდანიძე

გულისტკივილს გამოვთქვამ, რომ მონაწილეობას ვერ მივიღებ ევროპის გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც ბათუმში გაიმართება. შემდეგი მოსაზრების გამო:

1. სპორტის დეპარტამენტმა ვერ შეასრულა მოცემული პირობა და არ გასცა ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდებისთვის დაწესებული პრემიები, რომლებიც ელისტის 1998 წლის მსოფლიო ოლიმპიადის შედეგების მიხედვით გვეკუთვნოდა.

2. ბოლო ორი წლის განმავლობაში წამყვანმა მოჭადრაკეებმა ვერ მიიღეს კუთვნილი ხელფასები (ე.წ. კვების ფული) რამდენიმე თვის გამონაკლისით.

3. ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისა და მომზადებისთვის არ გამოყოფილა არავითარი თანხა, რომ არაფერი ვთქვათ პრემიების დაწესებაზე, რაც აუცილებელი პირობაა პროფესიონალი სპორტსმენების სტიმულისათვის.

4. ქრონიკულად არსებული ფინანსური პრობლემები, რომლებსაც სპორტის დეპარტამენტი ქმნის თითქმის ყოველი მნიშვნელოვანი შეჯიბრებისას, იწვევს ისეთი სიტუაციის შექმნას, როცა მოჭადრაკეები მეცადინეობისა და ვარჯიშის, შემოქმედებითი ძიებისა და ფსიქოლოგიური მომზადების მაგივრად (რაც ასე აუცილებელია მათთვის), იძულებულნი არიან ფუჭად ხარჯონ დრო და ნერვები დეპარტამენტში ჯდომასა და თითოეული თეთრის მათხოვრობაზე!

ახლაც იგივე სიტუაციაა. ევროპის ჩემპიონატამდე ერთი კვირაღა რჩება, პრობლემები კი იგივეენია და ნერვების ისეთივე დაძაბვას მოითხოვს. რა გამარჯვებებზე ან რა ფსიქოლოგიურ განწყობაზე შეიძლება იყოს საუბარი?

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე წამყვანი ქართველი მოჭადრაკეები მრავალგზის ვეცადეთ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით გვემცნო ფართო საზოგადოებისათვის იმ გადაუჭრელი პრობლემების შესახებ, რომლებიც ქართულ ჭადრაკს ემუქრება. ვითხოვდით შველას, მხარდაჭერას, რათა საერთო ძალისხმევით გადაგვერჩინა ის უნიკალური ფენომენი, რომელმაც შექმნა მთელი ეპოქა ჭადრაკის მსოფლიო ისტორიაში.

სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, წავაწყდით გულგრილობასა და ზოგჯერ დამამცირებელ დამოკიდებულებასაც, რაც ხალხის სიყვარულითა და ყურადღებით განებივრებული მოჭადრაკეებისთვის ძალიან მტკივნეული იყო და ეს მაშინ, როცა ჩვენ კიდევ შეგვწევს ძალა თუნდაც ელემენტარული პირობების შექმნის შემთხვევაში დავიბრუნოთ დაკარგული პოზიციები.

ამ უკიდურეს ნაბიჯს ვდგამ ხანგრძლივი განსჯის შემდეგ, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ახალგაზრდა თაობისა და ჭადრაკის მომავლის მიმართ. იქნებ ამ კარდინალურმა ზომებმა მაინც მიაქციოს ჩვენი საზოგადოების ყურადღება საჭადრაკო პრობლემებს.

**მაია ჩიბურდანიძე**
22 ნოემბერი



კახი ასათიანი



# ფული მათი არსობისა

საქართველოს ჩემპიონატი

დამთავრდა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის II ტური. ამ სახეობას ჩვენს ქვეყანაში საკმაო დაფასება და პატივისცემა ჰქონდა ყოველთვის. მართალია, დღეს საკმაოდ მძიმე სიტუაციაა საქართველოს ხელბურთის ასოციაციაში (პირველ რიგში ფინანსურად), მაგრამ საქართველოს ჩემპიონატი ტარდება, ქართული ხელბურთი ცოცხლობს, თუმცა სწორი იქნებოდა გვეთქვა, არსებობსო.

ჩემპიონატი ოთხ ტურად ეწყობა. პირველივე ტურში გამოიკვეთა პირველობის ლიდერი სტუ-„მართვე", რომელმაც ორი ტურის ჯამში 100-პროცენტიანი შედეგი აჩვენა — 10 თამაშიდან 20 ქულა. მას ორი გამარჯვებით ჩამორჩება ასკ (თბილისი), რომელიც აგრეთვე შედეგიანად თამაშობს და მისი წევრი მიხეილ კერესელიძე 133 ბურთით ბომბარდირთა სამეულსაც ლიდერობს. სტუდენტების ლიდერობა არავის უკვირს. ეს ხომ, ფაქტობრივად, იგივე „შევარდენია", საქართველოს უცვლელი ჩემპიონი. ქვეყნის უძლიერესი ხელბურთელები უმეტესად ამ გუნდში შეკრებილან. თან ჩემპიონებს სხვებთან შედარებით უკეთესი სავარჯიშო პირობები აქვთ, მართალია, ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის სხვა მონაწილეებსაც გააჩნიათ სავარჯიშო და სათამაშო დარბაზები, მაგრამ სტუდენტებისას მაინც ვერ შეედრება. ჩემპიონობისთვის ბრძოლაც ძირითადად ალბათ.ორ გუნდს, სტუ-„მართვესა" და თბილისელ არმიელებს შორის გაიმართება.

ჩემპიონატის გარდა ტარდება ტურნირები ბავშვების მონაწილეობით. აქ ცალ-ცალკე ასპარეზობენ 84-86 წლებში დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა გუნდები და 87 და მომდევნო წლებში დაბადებულ ვაჟთა კოლექტივები. აქაც II ტური დამთავრდა, რადგან ბავშვთა ტურნირი და ეროვნული ჩემპიონატი პარალელურად მიმდინარეობს ევროპული კალენდრის მიხედვით. მომდევნო ორი ტური 2000 წელს გაიმართება და მაისის დამდეგისთვის დამთავრდება. ამ დროისთვის გამოვლინდება საქართველოს ჩემპიონი და შესაძლოა ხელბურთის ეროვნული ასოციაციის დებულებაშიც შევიდეს შესწორებები. საქმე ეხება ბოლო ადგილზე გასულ გუნდს. თუ ქუთაისის, ან ფოთის, ან სულაც სამტრედიის გუნდმა გამოთქვა უმაღლეს ლიგაში თამაშის სურვილი, მაშინ სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე მყოფი გუნდი გადათამაშებას მოაწყობს პრეტენდენტთან და გამარჯვებული მომავალ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. დღესდღეობით ეს მხოლოდ ჩანაფიქრია, რადგან ქუთაისის, ფოთის და სამტრედიის გუნდების ამგვარი მონაწილეობა საქართველოს პირველობაზე უფულობის გამო ძალზე სათუოა. არადა, სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით საქართველოს სახელბურთო გუნდების საწევრო შესატანი პირველობაში მონაწილეობისთვის საკმაოდ მცირეა — 1500 ლარი. მაგრამ ხომ გაგიგონიათ — ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.

ჩემპიონატის მთავარ ბომბარდირზე უკვე ვთქვით. მიხეილ კერესელიძეს 133 ბურთი აქვს გატანილი, თუმცა ედნარ ქარცივაძემ (ბათუმის „მენავთობე") და გიორგი წივწივაძემაც (საუ-„მამული") მოიქაჩლეს თავი, შესაბამისად, 118 და 113 გატანილი ბურთით.

საერთოდ, ასოციაციის ინტერესებში ნამდვილად შედის ჩემპიონატის გაფართოება და პირველი ლიგის ჩამოყალიბება, მაგრამ ამას სახსრები უნდა. იმ 1500 ლარსაც ვერ შოულობენ გუნდები, ასოციაციას კი ანგარიშზე კაპიკი, უკაცრავად, თეთრიც არა აქვს. რომ არა ასოციაციის პრეზიდენტის თენგიზ გაზდელიანის თავგამოდება, ეროვნული ჩემპიონატი კარგა ხნის „ჩაძირული" იქნებოდა. ეს კაცი, რომ იტყვიან, თავისი ზურგით მიათრევს ქვეყნის პირველობას.

სპორტის დეპარტამენტი კი ხელებს შლის და ამბობს (მერამდენედ): რა ვქნა, არა მაქვს საშუალება და ვერ გეხმარებითო. არადა, ჩემპიონატის მეორე ტური ჩასატარებელია, ნაკრებმა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში უნდა მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ რა სახსრებით, კიდევ გაუგებარია.

მოკლედ, პრობლემები მარადიულია. საჭიროა ფული, რომელიც არ ჩანს.

**ზაზა ბენიძე**

### სატურნირო ვითარება

| | თ. | მ. | წ. | ფ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-„მართვე" | 10 | 10 | 0 | 0 | 20 |
| ასკ (თბილისი) | 10 | 8 | 2 | 0 | 16 |
| ასკ (თელავი) | 10 | 5 | 5 | 0 | 10 |
| „მენავთობე" | 10 | 4 | 6 | 0 | 8 |
| საუ-„მამული" | 10 | 3 | 7 | 0 | 6 |
| ზოოვეტი | 10 | 0 | 10 | 0 | 0 |


REUTERS

ჰერმან მაიერი

# გაჰყვება ალექსანდრა კატიასა და დებორას კვალს?

## ჰერმინატორი იწყებს და ჯერჯერობით იგებს კიდეც

ბივერ კრიკში (კოლორადოს შტატი) მსოფლიოს თასის გათამაშების მესამე ეტაპზე პროგრამაში იყო გიგანტური სლალომი. ეს სახეობა სამთო-სათხილამურო სპორტის ოთხი სახეობიდან (სლალომი, გიგანტური სლალომი, სუპერგიგანტი და სწრაფდაშვება) ყველაზე ტექნიკურად ითვლება. უფრო სწორედ გიგანტურ სლალომში მეტწილად ტექნიკით გამორჩეული სპორტსმენები იმარჯვებენ. ცხადია, არც გუშინდელი ასპარეზობა იყო გამონაკლისი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ავსტრიელმა ჰერმან მაიერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ სახეობაში მართლაც არ ჰყავს ბადალი. მეორე შედეგი აჩვენა შვეიცარიელმა მიხაელ გრუნიგენმა, მესამე — ავსტრიელმა ანდრეას შიფერერმა. მსოფლიოს თასის შარშანდელი გამარჯვებული, ნორვეგიელი ლასე კიური და ამავე თასის მოპოვების კიდევ ერთი მთავარი პრეტენდენტი, ასევე ნორვეგიელი კეტილ ამოდტი შესაბამისად მეშვიდე და მეექვსე ადგილებს დასჯერდნენ

საერთო ჩათვლაში ლიდერობს ჰერმან მაიერი — 200 ქულა, 164 ქულით მეორეა გრუნიგენი, ამოდტს 160 ქულა აქვს.

სათხილამურო სპორტის მოყვარულთ უთუოდ დაამწუხრებთ ის ფაქტი, რომ მსოფლიოს თასის შარშანდელი მფლობელი ავსტრიელი ალექსანდრა მაიზნიცერი ვარჯიშისას მძიმედ დაშავდა და როგორც ექიმები ვარაუდობენ სეზონის ბოლომდე ველარ გამოვა სტარტზე.

ალექსანდრას მუხლის დაწყვეტილი მყესების სამკურნალოდ საკურორტო ქალაქ ბარფში გაუკეთეს ოპერაცია, რის შემდეგაც სპეციალური რეისით გადააფრინეს ვენაში, სადაც გათვალისწინებულია მეორე და მთავარი ოპერაცია, მსგავსი ტრავმის შემდეგ სპორტსმენთა დაახლოებით ორმოცდაათი პროცენტი ემშვიდობება სპორტს. ასე დაასრულეს თავიანთი კარიერა იტალიელმა დებორა კამპანიონიმ და გერმანელმა კატია ზაიცინგერმა. იმედია მაიზნიცერი უფრო იღბლიანი აღმოჩნდება.

ირაკლი ბერიაშვილი



# რა დაებედებათ ათასწლეულის მარათონელებს?

მარათონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგის მფლობელი კენიელი ტეგლა ლორუპე მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მოწყობილ „ათასწლეულის მარათონში" გამოვა. ამ შეჯიბრებას 2000 წლის 1 იანვარს რომი უმასპინძლებს.

ლორუპემ, რომელიც ნიუ იორკის მარათონის ორგზის გამარჯვებულია, 26 სექტემბერს ბერლინში საუკეთესო შედეგი აჩვენა, როდესაც 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2:20.43 საათში გაირბინა, ერთი კვირის შემდეგ კი ზედიზედ მესამედ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ნახევარ მარათონურ გარბენში, რომელიც პალერმოში გაიმართა.

ეს ჩია კენიელი სარბენ ბილიკთა პირველი „დიდი ვარსკვლავთაგანია", რომელსაც „ათასწლეულის მარათონში" გარბენის სურვილი გამოუთქვამს. ეს შეჯიბრება სტარტს აიღებს ვატიკანში წმინდა პეტრეს ტაძართან და დასრულდება კოლიზეუმის კედელთან.

საინტერესოა, ახალი წლის პირველ დღეს რომ კაცი 42 კილომეტრს გაირბენს, მთელი წლის განმავლობაში რა დაებედება?

გიგა გურასაშვილი



ტეგლა ლორუპე

ვყიდი
„ფიშერის" უხმარ თხილამურებს
☎ 69 19 39



# თქვენ კიდევ აქა ხართ?!

24 ნოემბერი

**ბუფალო — ვაშინგტონი 5:2**
1:0 2:2 2:0
1:0 შატანი 15'44 (10); 1:1 დალინი 23'53 (1); 2:1 შატანი 27'03 (11); 3:1 ბრაუნი 28'16 (9); 3:2 დალინი 32'50 (2); 4:2 ბრაუნი 43'17 (10); 5:2 ჰოლცინგერი 55'19 (4)

**კაროლინა — ვანკუვერი 1:1**
0:1 1:0 0:0 0:0
0:1 ჯოზეფი 2'04 (2); 1:1 კაპანენი 26'54 (10)

**დეტროიტი — სენტ ლუისი 4:2**
2:0 1:1 1:1
1:0 ბრაუნი 12'44 (4); 2:0 დანდენო 15'17 (3); 2:1 კონროი 29'21 (3); 3:1 ვერბიკი 39'29 (1); 3:2 დემიტრა 44'23 (11); 4:2 შენაჰანი 59'29 (9)

**ფლორიდა — ფილადელფია 1:6**
0:3 0:2 1:1
0:1 მაკარტი 9'31 (4); 0:2 ლინდროსი 10'03 (9); 0:3 რენბერგი 12'43 (4); 0:4 დესჟარდენი (22'57 (7); 0:5 ლინდროსი 37'01 (10); 1:5 პერიში 50'37 (6); 1:6 ჰალი 52'31 (3)

**ტამპა — რეინჯერსი 3:6**
1:2 1:2 1:2
0:1 სტივენსი 2'40 (3); 1:1 გრეტონი 3'26 (6); 1:2 ნაბლი 18'58 (4); 1:3 შნაიდერი 21'39 (2); 2:3 კლაიმერი 35'11 (2); 2:4 იორკი 38'02 (8); 2:5 ნედვედი 46'32 (7); 3:5 მოდინი 51'33 (6); 3:6 დეიგლი 55'38 (1)

**ნეშვილი — ბოსტონი 2:5**
1:0 1:4 0:1
1:0 რონინგი 11'21 (7); 1:1 ბურკი 24'24 (4); 1:2 სამსონოვი 27'00 (6); 2:2 მილარი 29'57 (1); 2:3 ანდრეიჩუკი 35'17 (15); 2:4 ელორანტა 37'25 (4); 2:5 ჰალბიგი 54'34 (1)

**დალასი — ლოს ანჯელესი 3:2**
2:1 0:1 0:0 1:0
1:0 კინი 1'08 (3); 1:1 ბერი 11'45 (2); 2:1 ლანგებრუნერი 16'39 (4); 2:2 ჯ. ბლეიკი 27'31 (2); 3:2 მატვიჩუკი 62'55 (1)

**ედმონტონი — ჩიკაგო 2:3**
0:1 1:1 1:1
0:1 გილმორი 15'57 (5); 0:2 გილმორი 21'43 (6); 1:2 უეიტი 38'39 (3); 2:2 კილგერი 46'45 (2); 2:3 ჟამნოვი 49'30 (5)

**ანაჰაიმი — ნიუ ჯერსი 1:2**
1:1 0:1 0:0
1:0 ოლაუსონი 11'19 (5); 1:1 ჰოლიკი 18'28 (7); 1:2 ჰოლიკი 35'37 (8)



AP

ვანკუველმა ახალბედამ იარკო რუუტუმ თვით სახელოვან პოლ კოფიზე აღმართა ხელი

რეინჯერსის წარუმატებლობით გაბეზრებულმა ნიუიორკელმა ჟურნალისტებმა ოთხაშაბათის მატჩის შემდეგ გულისწყრომა ვერ დამალეს იმის გამო, რომ კლუბის მწვრთნელმა და გენერალურმა მენეჯერმა თავიანთი პოსტები შეინარჩუნეს. სპორტული მედიისგან ათვალწუნებული ჯონ მაკლერი და ნეილ სმიტი გუნდიდან წასვლისგან ტამპასთან დამაჯერებელმა გამარჯვებამ იხსნა, რომლის სულისჩამდგმელიც ალექსანდრ დეიგლი გახლდათ. დიახ, სწორედ ის დეიგლი, რომელიც სულ ახლახან, ოქტომბერში, ისე უნიათოდ თამაშობდა, კარიერის დასრულება დაემუქრა. კლუბის მესვეურებმა იგი შეიბრალეს და ჰოკეისტმაც არ დაივიწყა სიკეთე. არადა, ტამპასთან საგარეო შეხვედრა „რეინჯერსისთვის" არცთუ იოლად წარიმართა. მეორე პერიოდში მასპინძლებმა ტემპს უმატეს, ანგარიშში სხვაობაც შეამცირეს და ამ დროს იყო, დეიგლმა თავისი სიტყვა რომ თქვა. მან უზუსტესი პასით ახალბედა მაიკ იორკს გაატანინა და მატჩიც მეტად შთამბეჭდავი გოლით დაასრულა. ეს მოგება მით უფრო ფასობს, რომ რეინჯერსელებს თამაშისას ერთბაშად სამი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდათ — თუ სტეფან ქინტალი და კრის ტეილორი მსუბუქად დაშავდნენ, გუნდის ლიდერი ბრაიან ლიჩი ერთი თვე ვერ ითამაშებს.

ფავორიტმა დეტროიტმა უქმეებზე წაიფორხილა და კონკურენტ სენტ ლუისს თავისთან გატოლების შესაძლებლობა მისცა, თუმცა პირად შეხვედრაში „ბლუზმენებს" საკადრისი ადგილი მიუჩინა. კვლავ ზეიმობს სტივ აიზერმანი. დეტროიტის კაპიტანმა თავის 1200-ე მატჩში 2 პასი გააკეთა, აქედან ერთის ხარჯზე პეტ ვერბიკმა „წითელფრთიანთა" რიგებში პირველად გაიტანა.

აი, დალასს კი ნანატრი, ნჰლ-ში მე-1000 მოგების მოპოვება ძლიერ გაუჭირდა. 5-მატჩიანი წაგება-ფრის სერიის შემდეგ ჩემპიონმა ოვერტაიმში რის ვაივაგლახით იმარჯვა.

ფილადელფიის მესვეურები კი ორწლიანი ექსპერიმენტების შემდეგ მოთამაშეთა შეწყვილება-შეამხანაგების ძველებურ ვარიანტს დაუბრუნდნენ და არც ნანობენ. ერიკ ლინდროსსა (2+0) და ჯონ ლეკლერს ყოფილი პარტნიორი მიქაელ რენბერგი (1+1) დაუბრუნდათ და „საბედისწერო ლეგიონად" წოდებული სამეულიც სრულიად ამართლებს მეტსახელს.

ბუფალოს ზედიზედ მე-7 მოგება მორისლავ შატანისა (2+1) და სტიუ ბარნსის (3 პასი) დუეტმა მოუტანა. თანაც, შატანმა რიცხვმრავლობაში შეუგდო ვაშინგტონს, რომელსაც მანამდე ზედიზედ 12 მატჩში უმცირესობაში გოლი არ გაეშვა.

აღსანიშნავია დეივ ანდრეიჩუკის მორიგი გოლი. ჰოკეისტმა 15 შაიბით (სწორედ ამდენი გაიტანა მთელ შარშანდელ ჩემპიონატში) სნაიპერთა დავაში მეორე ადგილზე აინაცვლა.

ნიუჯერსელი ბობი ჰოლიკი კი, როგორც ჩანს, ისე აალელვა ზედიზედ 9 უგოლო მატჩის შემდეგ ანაჰაიმთან პაექრობაში გახერხებულმა დუბლმა, რომ „იხვ" სტივ რუჩინის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მოედნიდან გააძევეს.

# სელიანე ორი წლით დაჯდება?

ცუდად მიდის ანაჰაიმის სუპერფორვარდ ტეემუ სელიანეს საქმე. თითქოს ის არ ეყოფოდა, რომ 7 ნოემბრის შემდეგ, აგერ უკვე რვა თამაშია, არ გამორჩეულა, მერე სულაც დაშავდა და აი, კიდევ ერთი გასაჭირი — წინა ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლეს ძველი ცოდვები გაუხსენეს. ზაფხულში ფინეთში ყოფნისას, როცა იგი დაუშვებელი სიჩქარით მიქროდა, წინ მავალ ავტომანქანას დაეჯახა, რომელშიც ფინეთის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი კალერვო კუმოლა იჯდა. მას ფეხი მოსტყდა. თავად სელიანე უვნებლად გადარჩა. კვირას ჰოკეისტს ამ ინციდენტის გამო ოფიციალური ბრალდება წაუყენეს. კანონის თანახმად, ფორვარდს მაქსიმუმ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, თუმც საქმე ალბათ აქამდე არ მივა, მით უმეტეს, რომ მან უკვე აღიარა თავისი დანაშაული. დაშავებული პრეზიდენტის მანქანაში თურმე მისი მეგობრები ისხდნენ, მათ შორის ცნობილი ფინელი ჰოკეისტი რაიმო ჰელმინენი. მათგან არც ერთი სერიოზულად არ დაზარალებულა. ისე, ცნობილი ავტომოყვარული სელიანე (თავის დროზე ავტორბოლებშიც მონაწილეობდა) ალბათ ამის შემდეგ მაინც გაფრთხილდება.

# მეტი რა ექნა საწყალ მიხაილს?

დაიწყო ჩემპიონატი და მიხაილ შტალენკოვს პირველსავე თვეს საუკეთესო მოთამაშის ტიტული ერგო, მაგრამ ფინიქსის მესვეურები მაინც ვერ დაარწმუნა თავის სიძლიერეში. ამ დღეებში ოქტომბრის ყოჩი ფლორიდაში მეკარე შონ ბურკზე გაცვალეს. როგორც ჩანს, შტალენკოვი ახალ კლუბში ისევ „ბექაპი" ანუ დუბლიორი იქნება, რადგან „პანტერების" პირველი ნომრის, ტრევორ კიდის მიმართ კლუბის ხელმძღვანელობას ჯერჯერობით არავითარი პრეტენზია არა აქვს. ბოლო ორ სეზონში ეს მიხაილისთვის უკვე მეოთხე კლუბი იქნება, ხოლო შვიდწლიანი კარიერის განმავლობაში 34 წლის რუსს არც ერთ სეზონში 40 თამაშზე მეტი არ ჩაუტარებია.

შტალენკოვზე ერთი წლით უმცროსი ბურკი კი ამიერიდან ფინიქსის მთავარი საყრდენი იქნება — პირველი მეკარის „პოსტს" დაიკავებს. „კოიოტების" წარმომადგენელთა აზრით, შტალენკოვის ბურკით შეცვლა ორმა ფაქტორმა განაპირობა — ბურკს მეტი სათასო გამოცდილება აქვს და ფსიქოლოგიურადაც პირველი ნომრის როლს უკეთაა შეგუებული, თუმც 1989 წელს ლიგის საუკეთესო დებიუტანტ მეკარედ მიჩნეული ბურკის კარიერა, არც ისე ბრწყინვალედ წარიმართა.

ამ ფაქტმა ყველაზე მეტად ნიკოლაი ხაბიბულინი დააზარალა. ბურკის შეძენაში „კოიოტებს" დამატებით 1,1 მილიონი დაეხარჯათ. ასე რომ, გაფიცული ხაბიბულინის პრეტენზიებს კლუბი ვერაფრით დააკმაყოფილებს.

სამველ ლარიბიანი


მიხაილ შტალენკოვი

ელექტრონული ბიბლიოთეკა





# დაბმული და დასაბმელი

*ხურს ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. თამაში და განცდები იმგვარია, რომ ვერის ბალში ვერ ჩაეტევა.*
*ახლადგახსნილ „სტეიპლზში“ „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ „იუტა ჯაზს“ მასპინძლობს და ნახეთ რა ამბავია — „ლეიკერსის“ რიგითი და მაინც გამორჩეული გულშემატკივარი ჯექ ნიკოლსონი სტუმართა მწვრთნელ ჯერი სლოუნისკენ იწევს, დააბით ეგ კაცი. ჯერიმ მართლაც მიიღო ტექნიკური ფოლი, იუტამ კი რვა ქულით წააგო.*
*ფილადელფიაში კი სევდაა, იქაურ „სიქსერბის“ გიჟმაჟი ლიდერი ალენ აივერსონი ცერმოტეხილი ზის სკამზე და გამოჯანმრთელებას ელოდება. სამი კვირა უნდაო, საწყალი „ფილადელფია“ — ლიდერი დაბმულია.*

# სამხრეთის ტრავერსი



ამ ოთხ ვინმეს, ამ ნაღდ სპორტსმენებს, სრულიად გიჟური ტურისტული ლაშქრობა მოუგიათ. ამ ლაშქრობას სამხრეთის ტრავერსის სახელით იცნობენ და მისი მარშრუტი მთელს ახალ ზელანდიაში სამხრეთ კუნძულზე იკლაკნება, ჯამში 435 კილომეტრად. ხუთ დღეში ყველაფერი უნდა მოასწრო — ჰა, თუ, ნავით, ფეხით, ან ველოსიპედით. იაპონიის, ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის, ინგლისის, ოზების, ამერიკელების, მალაიზიელების, კანადელების და ბრაზილიელების 48 გუნდი ცდილობდა ტრავერსის მოგებას. მასპინძელთა „სტარ ენდ გარტერის“ კრებულმა არავის დაუთმო და მოდი ჩამოვთვალოთ მარცხნიდან მარჯვნივ — სტივ გარნი, ნათან ფაავე, კეიტი ლინჩი და არონ პრინსი, ასე ჩანან ისინი ნავში.



REUTERS მასალები



# გრეის თასისთვის



*ამერიკული ბურთაობა კანადაშიც ჯიგრის ამბავია — ავე, ოთხმოცდამეშვიდედ თამაშდება „გრეის თასი“, რისთვისაც გაცხარებით ემზადებიან „კალგარი სტემპედერზისა“ და „ჰამილტონ ტაიგერ-ქეთზის“ მობურთალნი. ამ ჯერზე „როიტერის“ ფოტოკამერა კალგარელთა ბანაკში ტრიალებს. მათი მწვრთნელი უოლი ბრუნო (ქვედა ფოტოზე), თავად აწვდის ბურთს მოთამაშეებს და აგულიანებს, მოთამაშე დერილ ჰოლი კი, ბოდიში და.. ისვენებს (ზედა ფოტოზე). შეხვედრა 28 ნოემბერს გაიმართება.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli